ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

[illegible] 1921 წლიდან

შაბათი 21 დეკემბერი 1991

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გაზეთი № 138-139-140 (11772-73-74)


# ღვთის სარწმუნოება და ზნეობა

დღეს ჩემის აზრით, არ არსებობს საღად მოაზროვნე ადამიანი, რომელსაც ღმერთის არსებობაში ეჭვი შეეპაროს. მაშ, რაშია საქმე. ამდენი პოლიტიკოსი, ამდენი ინტელიგენტი ნუთუ ვერ მიმხვდარა, რომ ღვთის სარწმუნოების და კონკრეტულად მართლმადიდებლობის გარეშე შეუძლებელია ერის ზნეობრივად ამაღლება, ნუთუ ასეთი ძნელი გასაგებია, რომ მორწმუნე ვერ ჩაიდენს უგვანო საქციელს ბევრ შემთხვევაში ვიდრე ურწმუნო. რომელი ადამიანი იტყვის, რომ მას არ სურს იცხოვროს ბედნიერად, ესე იგი დაიმკვიდროს საუკუნო ბედნიერება ანუ საუკუნე ცხოვრება: „ცხოვრება იგი გამოსცხადნა და ჩვენ ვიხილეთ და ვწამეთ, და გითხრობთ თქვენ ცხოვრებასა მას საუკუნესა, რომელი იყო მამისა თანა და გამოგვიჩნდა ჩვენ“ — ეს წმინდა სიტყვები ეკუთვნის ყველაზე დიდ ღვთისმეტყველს იოანე მახარებელს ქრისტეს მოციქულს. თურმე ცხოვრება ქრისტე ღმერთი ყოფილა, როგორც ამას მოციქული ბრძანებს: „ცხოვრებასა მას საუკუნესა, რომელი იყო მამისა თანა და გამოგვიჩნდა ჩვენ“. ჩვენი ერის თითქმის 99% ქრისტეს გარეშე ცხოვრობს, ესე იგი კი არ ცხოვრობს არამედ სულდგმულობს, ცოცხალ ლეშად გადაქცეულა. ეგებ მკითხველებში გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებსაც იოანე ღვთისმეტყველის შეგონება არ აკმაყოფილებთ. ქრისტე ღმერთს სად წაუხვალთ, მის ბრძანებას „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება, და სიცოცხლე“. ზემოთ მოგახსენეთ ერის 99% ქრისტეს გარეშე ცხოვრობს-მეთქი. აქაც შეუძლია მკითხველს შემომედავოს: შენ რა იცი, როგორ ცხოვრობს თითქმის მთელი ერიო; მოგახსენებთ, რომ ისევ თავად უფალი ბრძანებს „ვინც არ ეზიაროს ჩემს სისხლსა და ჩემს ხორცს ის ჩემთან ვერ მოვიდესო“, — გეკითხებით, როგორ გგონიათ, ერის რამდენი პროცენტი ცხოვრობს ალსარებითა და ზიარებით. აი, პასუხი იმისა, რომ ჩვენ ქრისტეს გარეშე ვირჩევთ ჩვენის საკუთარის ნებით ცხოვრებას. ბევრი მკითხველი განაწყენებული იტყვის, რა ჩვენი ბრალია, ესეთი დრო იყოო, კომუნისტები ეკლესიაში არ გვიშვებდნენო; ზოგმა, რომლებსაც საერთოდ წარმოდგენაც კი არა აქვთ მოძღვრებაზე, შეიძლება თქვან, რომ მოძღვრები არ ვარგოდნენო, ან უვარგისები არიანო, მე ჩემი უვარგისობის გამო დაგეთანხმებით — კი, მართალია, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, ქართველი ხალხი იმის გამო, რომ იგი მოშორდა ქრისტე ღმერთს, დღეს მკვდარია. რაც მოძღვრებს შეეხებათ, ისინიც ჩვენი ძმები, ბიძაშვილები, ნათესავები და ბოლოს და ბოლოს ჩვენი სისხლი და ხორცია. ამიტომ ჩავიხედოთ ჩვენს გულებში, შევეკითხოთ ჩვენს სინდისს და ვნახავთ, როგორი უმსგავსო ერიცა ვართ, ისეთივე მოძღვრებიც გვყავს. გაგიგონიათ ალბათ, „რაც ერიო ის ბერიო“. ღმერთს მადლობა შევწიროთ მათთვის, მათი მეშვეობით წირვა-ლოცვა, მაინც არ იქნა შეწყვეტილი საქართველოს ეკლესიებში. ნურც მაშინდელი კომუნისტური რეჟიმის დაწოლა დაგავიწყდებათ სწორედ ეკლესიაზე. ასეა თუ ისე ერი, რომელიც მართლად არ ადიდებს სამყაროს შემომქმედს ის ერი მკვდარია. საკმარისია უმრავლესობამ ჩვენი ერისამ ჩაიხედოს თავის გულში, მოძებნოს თავის შეცოდებანი, მივიდეს ღვთის სახლში, თქვას გულახდილი აღსარება, მიიღოს წმინდა ზიარება და მეყსეულად ცოცხალ იქმნეს. დღეს, ვითომ, ჩვენი ერი თავისუფლებისათვის იბრძვის, სინამდვილეში კი ეს ბრძოლა სხვა არაარს თუ არა წყლის ნაყვა. ამიტომაც გადავეკიდეთ ერთმანეთს კატა ძაღლებივით, ზოგს ანტიქრისტეთ ვრაცხთ, ზოგს ერის მტრად, თავისუფლება კი სინამდვილეში სხვას ჰქვია: ვისა? ვისა და ღმერთსა. საქმე ის არის, რომ თავისუფლებას თვალით ვერ დაინახავ, ხელით ვერ შეეხები, გემო და სუნი არა აქვს, ესეიგი სულიერია. თავისუფლება არის ის დიდება ღვთისა, რომელიც მან უბოძა ადამს სამოთხეში, ამიტომ ოჯახშია, წმინდანთა ცხოვრებები გვესწავლებინა ჩვენი შვილებისათვის, ვიდრე ვილაც უგუნურებს ერთმანეთი ვალანძვინოთ და უცხოელი ჯამბაზების შიშველ ცხოვრებას ვუყუროთ. უფრო დასაშვებია, დასავლეთი და აღმოსავლეთი გაერთიანდეს, ვიდრე ურწმუნო და მოუნანიებელმა კაცმა სიკეთის ნაყოფი გამოიღოს.

გოლგოთაზე, ქრისტე ღმერთი ორ ავაზაკს შორის აცვეს ჯვარზე. წმინდა მამების განმარტებით ეს სიმბოლოა კაცობრიობისა: ჩვენ ყველანი ავაზაკები ვართ. ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც მონანულ ავაზაკს დაემსგავსება და სთხოვს უფალს: „უფალო მომიხსენე სასუფეველსა შენსა“. გვახსოვდეს ყველას, რომ სასუფეველში პირველად მონანული ავაზაკი შევიდა. რა დროს ერთი მეორის ბრალდებები და ლანძღვა-გინებაა, ქვეყანა წალეკა ულმერთობამ, გავიხედ-გამოვიხედოთ: მექრთამეობით, მრუშებით, კაცის მკვლელებით, ნარკომანებით, ლოთებით, დედათმავლებით, მამათმავლებით და კიდევ ვინ იცის რით არა აღვსილა ჩვენი ქვეყანა. ამ ყველა სნეულებათა განკურნება შესაძლებელ არს, ხოლო არაჭეშმარიტ სარწმუნოებაში, ანუ — სექტებში, ბოლომდე ჩათრეული ადამიანის განკურნება შეუძლებლად მიმაჩნია. ამიტომ, როგორც კიბო, ან დაპალი ასო, ისე უნდა მოიკვეთოს ჩვენი ერიდან ეს საშინელი სენი. წმინდა იოანე ოქროპირი გვასწავლის: „გინდა ცხონება? იყავი ეკლესიაში და იგი არ გაგცემს შენ. ეკლესია ზღუდეა: და თუ ამ ზღუდის შიგნით იმყოფები, მგელი ვერ შეგეხება. ხოლო თუ გარეთ გახვალ, ნადირი მოგიტაცებს. ნუ განეშორები ეკლესიას, ქვეყნად მასზე ძლიერი არაფერია. ის არის შენი იმედი. მასშია შენი ცხონება“. ეს კარგად იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა, ამიტომაც აგებდნენ ზღუდეებს მგლისაგან დასაცავად. როგორ გგონიათ, სვეტიცხოველი ცუდი ზღუდე აუგიათ? ან რამდენი შეიძლება იყოს ჭეშმარიტება? მხოლოდ ერთი! მაშ, ამ ბოლო დროს ჩვენს სამშობლოში, გავრცელებული ბაპტისტები, ორმოცდაათიანელები, იეღოველები, კრიშნაიდები და სხვანი ვინ არიან, თუ არა მგლები, რომლებსაც სურთ შეჭამონ ჩვენი ერის შვილები. აი, ზუსტად ეგ მგლები (სექტანტები) ამბობენ, რომ ჩვენ მართლმადიდებლები, კერპთაყვანისმცემლები ვართ, ესეიგი ეშმაკის მსახურები. მთელი ჩვენი 15-საუკუნოვანი ღვთის მსახურება, რომელმაც დაბადა ჩვენი წმინდა მეფენი: მირიანი და ნანა დედოფალი, ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარი, დიმიტრი თავდადებული, არჩილი და ლუარსაბი, ქეთევან წამებული. ღირსი მამები: ილარიონ ქართველი, გრიგოლ ხანძთელი, სერაპიონ ზარზმელი, იოანე, ექვთიმე, გაბრიელ და გიორგი მთაწმინდელები და მრავალნი სხვანი. თურე, ნუ იტყვით, ესენი ყველანი ეშმაკის მსახურნი ყოფილან და ჩვენს წმინდა დედა ნინოს ეშმაკის საქმე უკეთებია. ამაზე დიდი უგუნურება ალბათ, არც არსებობს ქვეყანაზე.



ქართველებს ღმერთმა რა მიწა-წყალიც არგუნა, თითქმის ნახევარი ამჟამად სხვა სახელმწიფოებს ეკუთვნის, რაც ჩვენთან ფიქტიურად ითვლება, ფაქტიურად ჩვენი აღარ არის. ჯავახეთი თითქმის სხვა თესლს ეკუთვნის, მესხეთში ნახევარი სხვა ცხოვრობს, ქვემო ქართლის უმრავლესობა თათრების სათარეშოა, სამაჩაბლოს ოსები იჩემებენ, შავი ზღვის ნაპირებიც ნახევარზე მეტი ალბათ, სხვა ერმა დაიპყრო. თავად თბილისშიც ნახევარი სხვაა. ისე არ გამიგოთ თითქოს არაქართველებს რამეს ვერჩოდე, ღმერთმა დალოცოს ყველა ერი. ეტყობა ქართველებს არ სჭირდებათ ეს ადგილები, თორემ მათ, რომ თავიანთი მამული უყვარდეთ და მისი მოვლა უნდოდეთ, ერთ წელიწადში დაახლოებით 300000 ბავშვს არ მოკლავდნენ უმოწყალოთ და კანალიზაციას არ გააყოლებდნენ ჩვენი დედები, დები, ცოლები. მოკლედ, ქართველი ქალები მტრად გადაგვექცნენ და სისხლიდან ცლიან ერს. დღეიდან ეს საშინელი ოპერაცია (აბორტი) რომ აღარ გაიკეთონ ქალებმა, ერთ წელიწადში ნახევარი მილიონი ქართველი დაიბადება, ხოლო 15 წელიწადში ისინი ვაჟკაცები და ქალიშვილები იქნებიან. აი, ამ ნამატით დავიბრუნებთ უეჭველად ჩვენს დაკარგულ მიწებს, სხვა შემთხვევაში ვერაფერი ვერ გვიშველის. ყოვლად წმინდაო ღვთისმშობელო მარიამ, გევედრები, მიეცი გონიერება ჩვენს ქალებსა; ნუ დალუპავ შენს წილხვედრ ქვეყანას. აი, ეს არის საქმის კეთება. აი, ამას უნდა ჩავძახოდეთ ერთმანეთს. ღმერთმა ერთი ბავშვი ასად გვიქციოს.

ჩემი ცოდვილი ქადაგება მინდა დავამთავრო ერთი შეგონებით: სასწრაფოდ მივიდეთ ეკლესიაში, ვისწავლოთ მართლმადიდებლური სარწმუნოება, რამეთუ ის არის ცხოვრება უკუნისამდე.

— „გარნა არათუ უბიწოებასა ქართველთა სარწმუნოებისასა ბიწი რაიმე შეჰხებოდა, ნუ იყოფინ ესე! არა გეცრუვნეთ შენ, სიწმინდით მშობელო ჩვენო კათოლიკე (საყოველთაო) ეკლესიაო, არცა განქცეთ შენ სიქადულო ჩვენო მართლმადიდებლო, რომლისა არცა განმცემელქმნილი ვართ, ვინაითგან შემეცნებასა შენსა ღისქმნილ ვართ — მოწამე არს ჭეშმარიტება“ (ძეგლისწერა რუის-ურბნისის წმიდისა და ღმრთივ შეკრებულისა კრებისა).

ამინ!

ბერი გიორგი

# ცრუშობა და ქრისტეშობა

მოახლოვდა ახალი სტილით 25 დეკემბერი და თბილისის „ელიტარული“ საზოგადოებრიობა შემართებით ემზადება „ქრისთმასის“ აღსანიშნავად: ბორდელებად ქცეულ სასტუმროებში იგეგმება „საშობაო“ გასართობი შოუები თავისი „სანტა კლაუსებით“, კურტიზანი ქალებით, შამპანურის მდინარეებით, აღვირახსნილი როკვითა და ჯოჯოხეთური როკით; სატანისტ ჯონ ლენონსა და ჰომოსექსუალისტ ფრედ მერკურიზე მლოციარე ახალგაზრდები ერთი დღით „გამოდარებას“ აპირებენ; ვრცელდება მისალოცი ბარათები, რომელთა გაფორმებაც ისეთსავე სულიერ სიახლოვეშია ჭეშმარიტ შობის დღესასწაულთან როგორც ვთქვათ, ხუთქიმიანი ვარსკვლავი (შავი მაგიის პენტაგრამა) — ქრისტიანულ სიმბოლიკასთან... — ერთი სიტყვით, ბაბილონი ზეიმს იზრახვის და რატომღაც სახელსდებს ამას — „ქრისტეშობად“...

ხოლო ქართველი ხალხი მადლიან, ჭეშმარიტ ქრისტეშობას ელოდება: საქართველოს გული — ქართული სოფელი არ ცნობს დასავლურ „ახალ სტილს“; ერის ცნობიერებამ უარყო მართლმადიდებლობის წიაღში დედა ეკლესიის დასარღვევად გადმონერგილი უცხო ორგანიზმი; ქართველი გლეხი სულიერი არისტოკრატი გახლავთ და მშვენიერი პლებეებისაგან განსხვავებით სამეუფო დღესასწაულის უტყუარ თარიღს — ძველი სტილით 25 დეკემბერს მოელის, რათა წმიდა ეკლესია-მონასტრებთან ერთად გალობით ადიდოს მაცხოვარი: „ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსა...“ და „შობამან შენმან ქრისტე ღმერთო აღმოუბრწყინა სოფელსა ნათელი...“

რა თანხმობაა ქრისტესი ბელიართან?! რა აქვს საერთო ღვთის ქალაქს ეშმაკის ქალაქთან?!

გიორგი გაბაშვილი

### საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის

# განცხადება

ჩვენი საზოგადოებრიობისთვის ცნობილია, რომ იმპერიული ცენტრის დეზინფორმაციებისადმი პროტესტის ნიშნად გაეროს შტაბბინისკენ ფეხით გამგზავრებას აპირებს მოქალაქეთა ჯგუფი, მათ შორის, სამაჩაბლოდან ლტოლვილნიც.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თხოვნით, მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით გაიხსნა სპეციალური ანგარიში საპროტესტო მსვლელობის დასაფინანსებლად. ვთხოვთ კერძო პირებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს, საზოგადოებებს, ასოციაციებს, კოოპერატივებს, საერთოდ ყველას, ვისაც სურვილი აქვს თავისი წვლილი შეიტანოს ამ კეთილშობილურ აქციის მოწყობაში, შეძლებისდაგვარად თანხა გადარიცხონ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკის განყოფილებაში, ქ. თბილისში, შემდეგ ანგარიშზე:

სავალუტო — 7.0000032, მანეთები — 60900164.

კოდი — 805227.

# ოპოზიციის პოლიტიკური პორტრეტი ინტერიერში...

## როგორია მისი ჭეშმარიტი ეროვნული ინდექსი?! ნეიტრალიტეტი?

## შეურიგებელი, რადიკალური ოპოზიციონერობა? თუ სხვა რამ „ინდექსი"?

დღეს, ამჟამად შეურიგებელმა, რადიკალურმა ოპოზიციამ ხელისუფლების, პრეზიდენტის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ფორმას, — „საინფორმაციო ომს" მიმართა.

— „ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო", — ამ პოზიციით მოქმედებენ მავანი დღევანდელი ოპოზიციონერები. მათი სარეკელადან დაფქვული აზრებიდან გამომცხვარი არსობის პური, კუტი პურივით ცვივიან ცხოვრების თონეში.

ამბობენ სირცხვილი — საკუთარ არსებაში ჩამარხული აღშფოთებააო.

კაცს ყვირილი აღგება ყელში. აქამდე სად იყავით, ხალხნო!

ყველა ახლა როგორ გახდით რობესპიერები? თავისუფლება, დემოკრატია, დამოუკიდებლობა მოინდომეთ ერთ წელიწადში.

ყველაფერი ბლეფია.

თავისუფლება მაშინ მიიღწევა, როდესაც პირადი, კერძო საკუთრება გექნება, მდიდარი, შეძლებული კაცი იქნები მატერიალურად. მაშინ კანონიც იკანონებს და ადამიანიც დამოუკიდებელი შეიქმნება. ლატაკ ქვეყანაში, ყოველთვის დამონებულნი ვიქნებით, სულიც ფრთაშეკრილი გვექნება.

მკაფიოდ, აშკარად დასანახს ვერ ვხედავთ? ვერ ვამჩნევთ? იქნებ ქათმის ავადმყოფობა დაგვემართა?

ჭეშმარიტება — ყველაფერზე ძვირფასია.

ვის შეუძლია გაავლოს ზღვარი ცდომილებასა და ჭეშმარიტებას შორის?! ამას მხოლოდ გონება, ნიჭი, ერთგულება, სამართლიანობის მეტ-ნაკლებად რთული პრინციპების შეფარდება, — ვითარებების „სიმრავლესთან", პრაქტიკასთან დამოკიდებულება განსაზღვრავს.

განა ძნელი შესამჩნევი, გასარკვევია, რომ ზოგიერთი მოფილოსოფოსო ორთოდოქსი ნეოპოლიტიკოსები ხშირად „დაუკრეფავში" გადასულან და დღესაც გადადიან?

ნურავინ ეცდება დღეს ესოდენ მოდაში შემოსული იაფფასიანი სიტყვები, მოსაზრებები მივაწეროთ ერთმანეთს: „გაყიდა", „ჩაუშვა", ა. შ.

დღეს არცერთ მხარეს, არავის არ აწყობს, თუ დამიჯერებთ, არც „ჩამშვებები", „გამყიდველები" და არც „ჩამოწერილი საქონელი". ის დრო წავიდა. ჩვენით ქვეყანა არც დანგრეულა და არც აშენებულა, უფრო გონიერნი, ჭკვიანნი, განგებისაგან დამღადასმული პიროვნებები, რომელთა რიცხვი, საქართველოში, ღმერთსა მადლი, საკმარისნი არიან.

კოსმოპოლიტ თუ ნაციონალისტ ოპოზიციონერთა. ეგრეთწოდებულ შეურიგებელი, რადიკალურ ოპოზიციონერთა ავანგარდისტულად განწყობილი გაზეთები „დრონი", „საქართველო" სხვები, მათში გამოქვეყნებული ზოგიერთი იდეოლოგის, ინტელიგენტის, მწერლის, ჟურნალისტის ფსევდოთეორიული ხასიათის, დანიშნულების პასკვილებზე სერიოზული რეაგირება, გამოძახილი, „პასუხის-პასუხი", — ჩიტი ბდღვნად არ ღირს. დღევანდელობა, ახლო თუ შორეული მომავალი ყველას, ყველაფერს თავის თაროზე განალაგებს.

ჩიტი ვახსენე...

გონებაში გუგული ამოტივტივდა, ის გუგული, რომელიც საკუთარი ბიოლოგიური ჯიშის შესანარჩუნებლად, მთელი თავისი ცხოვრება, დღე და მოსწრება სხვის ბუდეში სდებს კვერცხებს, რითაც ჯიშსა და ჯილაგს ინარჩუნებს.

ყურადღებით მიმოვიხედოთ ირგვლივ, ჩვენს გარშემო, სინამდვილეში და დავინახავთ, ჩვენს გვერდით მრავლადაა „გუგული-ადამიანი", რომელიც მთელი თავისი ცხოვრება, დღე და მოსწრება სხვის ბუდეში სდებდა და სდებს კვერცხებს, რითაც საკუთარ „სახეს" ინარჩუნებს.

„გუგული-ადამიანი"...

გაუკვალავია ბუნების საიდუმლო ბილიკები, ღმერთმანი, ხშირად ძნელად გამოსაცნობი და ასახსნელი.

ამბობენ ძველ დროში, „პერესტროიკამდე" „გლასნოსტამდე" ჟურნალისტთა წრეში. სარედაქციო დერეფნებში, სამუშაო ოთახებში, ერთი ასეთი ანეგდოტი დაიარებოდა:

მოსკოვში, წითელ მოედანზე მორიგი დღესასწაული, სამხედრო აღლუმი მიმდინარეობდა. სტუმრებისათვის განკუთვნილ ტრიბუნაზე საფრანგეთის სამხედრო დელეგაცია, — ნაპოლეონ ბონაპარტე და რამდენიმე გენერალი იყო. ნაპოლეონი საბჭოთა გაზეთს კითხულობდა, გენერლები ცდილობდნენ მისი ყურადღება სამარშო ჯარებისათვის, სამხედრო ტექნიკისათვის მიეპყროთ.

— ჩვენ რომ ასეთი ჯარისკაცები გვყოლოდა, — ამბობს ერთი გენერალი, — ალბათ ვატერლოოს ბრძოლას არ წავაგებდით.

ნაპოლეონი გაზეთის კითხვას განაგრძობდა.

— ჩვენ რომ ასეთი არტილერია გვქონოდა, — შენიშნა მეორე გენერალმა, — ვატერლოოს ბრძოლას არ წავაგებდით.

ნაპოლეონი გაზეთის კითხვას განაგრძობდა.

— ჩვენ რომ ასეთი რაკეტები გვქონოდა, — ამბობს მესამე გენერალი, — რაღა თქმა უნდა, ვატერლოოს ბრძოლას არ წავაგებდით...

ნაპოლეონი გაზეთის კითხვას შეწყვეტს და იტყვის:

— ჩვენ რომ ასეთი გაზეთები გვქონოდა, არავინ არასდროს არ შეიტყობდა, რომ ჩვენ ვატერლოოს ბრძოლა წავაგეთ...

მრავლისმანიშნებელი ანეგდოტია.

გასააზრებელი და ყურადსაღები. საინტერესოა, ნაპოლეონ ბონაპარტე, ჩვენს დღევანდელ ზოგიერთ გაზეთზე რას იტყოდა? როგორ შეაფასებდა?

საქართველოს რესპუბლიკის დღევანდელ სოციალურ-პოლიტიკურ, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაზე, მოძრაობაზე, მის ხელისუფლებაზე, პრეზიდენტზე, ხალხზე, საზოგადოებაზე, ოპოზიციაზე როგორი წარმოდგენა შეექმნებოდა?

ნაპოლეონისა რა მოგახსენოთ, ოღონდაც ჩვენს საზოგადოებას, ქართველ ხალხს, მკითხველს, ამ საგაზეთო ბუმის ჟამს, ყველა გაზეთის მიმართ, თავისი მოსაზრება, საზომი, შეფასება რომ აქვს, სადავო არ უნდა იყოს.

მაგრამ მემატიანეს, მომავალ თაობებს, ისტორიკოსებს, ზოგიერთი ჩვენი გაზეთის წაკითხვისას, დღევანდელი საქართველოს დამოუკიდებლობის ძნელი, ბედისგანმსაზღვრელი ბრძოლის ჭეშმარიტი სურათის წარმოდგენა, ვფიქრობ, ნამდვილად გაუჭირდება, რამეთუ, ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ მრუდე სარკეშია დანახული და წარმოდგენილი.

რადიკალურმა ოპოზიციამ, მისმა მიმდევრებმა, ხელისუფლების, პრეზიდენტის მიმართ მკაცრ, დაუნდობელ რეჟიმში „მუშაობა" აირჩია.

ხომ უნდა გაირკვეს, დადგინდეს, ვინ არის ვინ? რატომ? რისთვის?

ოპოზიცია საერთოდ, კერძოდ საგაზეთო ოპოზიცია, — ხალხის, საზოგადოების, მისგან არჩეული პრეზიდენტის, ქვეყნის ინტერესების დაცვას, დახმარებას გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, და არა ფსევდოპატრიოტთა მიერ დაუფიქრებელი, გაუაზრებელი მოქმედებით, გამძაფრებული ვითარებით „ტკბობას".

რადიკალური ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი. მომენტის ხარჯზე. მათი გამოყენებით, ხელისუფლების, პრეზიდენტის, საზოგადოების, — ერთის მხრივ და ცალკეული პიროვნებების, პარტია-ორგანიზაციების, მათი ლიდერების, — მეორეს მხრივ, ურთიერთდაპირისპირებებით, საზოგადოებაში არაჯანსაღი აჟიოტაჟის შექმნის ინიციატორად გვევლინება, მკითხველის, საზოგადოების გარკვეული ჯგუფის, ნაწილის ავტორიტეტის მოხვეჭას, თანადგომას ცდილობს. უნდა ვივარაუდოთ, რიგ შემთხვევებში, მიზანსაც აღწევს. მავნეა ეს „ტაქტიკა", მსგავსი ალტერნატიულობით, ოპოზიციონერობით — მოვლენების ტალღაზე მოქცევა. ყურადღების მიქცევა უდღეურია, დასაგმობი.

დიაგნოზი დასმულია:

ნაციონალ-პოპულიზმი, — დღევანდელი ქართველი შეურიგებელი, რადიკალური ოპოზიციის ავადმყოფობაა, რომელიც განკურნებას ემორჩილება. საამისოდ სწორი მკურნალობაა საჭირო. როგორი? კომპლექსური, კლინიკური. იმედია ეროვნული გადარჩენის ინსტინქტი, თავის გადამწყვეტ სიტყვას იტყვის, ავანტიურაც ნაწილობრივ მაინც განიკურნება, უკან დაიხევს.



რაში გამოიხატება დღევანდელი ქართული პრესის, გაზეთების, ჟურნალისტების პუბლიკაციების ავკარგი? სირთულეები? როგორ გვესახება ჩვენი ახლო მომავლის პოლიტიკური, ეროვნული, სოციალური პორტრეტი?

ჩვენს დარგს, პროფესიას, — ჟურნალისტობას, სანამდე ამპარტავნული თავმოყვარეობით შეპყრობილი კარიერისტები, ცოდვილი მედროვენი აკრძალული ხერხებით, მეთოდებით საზოგადოებას, ხალხს ხელისუფლების, პრეზიდენტის წინააღმდეგ ამხედრებენ, — „...ეს დანაშაულზე უარესია, ეს შეცდომაა", (ტალეირანი).

თავად განსაჯეთ.

პატივმოყვარეობა და ასეთი?

პათოლოგიურობის ზღვარს მიახლოვებული ეგოცენტრიზმი, გარშემომყოფთათვის, საზოგადოებისათვის სახიფათოა, სოციალურ საშიშროებას წარმოადგენს.

ჩვენი ყველაზე დიდი უბედურება. სისუსტე, — ჩვენი საკუთარი წარსულის, მოქალაქეობრივი, პროფესიული შესაძლებლობების თვითშეფასების არაობიექტურობაა.

კაცი, რომელიც თავის კანში, — მასშტაბებში არ ეტევა, პრეზიდენტად თუ არა. პარლამენტის წევრად, ანდა რომელიმე მინისტრად მაინც გაგვიმწესებინა, თითონაც დაწყნარდებოდა და... ჩვენც გვეშველებოდა.

დაფიქრება გვმართებს, ხალხნო!..

რუსეთის იმპერიის დანგრევამ, — „გეოლოგიური გადატრიალება" მოახდინა. ცენტრი, იმპერია აღარ არსებობს. რესპუბლიკებმა პოლიტიკური, ეროვნული, ეკონომიკური დამოუკიდებლობები მიიღეს და გამოაცხადეს. კითხვა ისმის: ეროვნული ოპოზიცია ვიღას ებრძვის? რესპუბლიკის ხელისუფლებას? პრეზიდენტს? ხალხს? მას „მწარე აბის" გადაყლაპვა, დაწყნარება მოუწევს.

სეპარატიზმი — სარისკო, წამგებიანი თამაშია.

პიროვნება, ვინც თავის დროს გაუსწრო, მომავალი განსაზღვრა, შემდგომში იძულებული იყო ყველაზე მკაცრ დილეგებში დალოდებოდა მას, — ახალ დროს...

რესპუბლიკის პრეზიდენტი...

რა გინდათ მისგან? რას მოითხოვთ? შეუძლებელს?

იმედი და შიში ერთად ვლიან?

სამყარო დინამიკურ თანაფარდობაში მოსასვლელია, რაც საზოგადოების შემეცნებაზეა დამოკიდებული. ხალხმა, ცალკეულმა პიროვნებებმა უნდა სცადონ ოპოზიციური ნისლით დაბურულ თანამედროვეობაში შეღწევა, სადი აზრის გამოტანა. ხშირ შემთხვევებში ჩვენ იმ ყმაწვილს ჩამოვგავართ, რომელიც მშობლებს შეკითხვით აწუხებდა: ჩემს დაბადებამდე მე სად ვიყავიო?

ადამიანის ჭკუა-გონება, დღელამის განმავლობაში, რაციონალურ დონეზე, მხოლოდ ორ საათს მუშაობს თურმე, და რომ ადამიანის აზრი, ადამიანის ჭკუის უდიდეს შავ ოთახში შეღწეული სინათლის მწირი სხივია. ნურავის ეგონება, ვითომდა მისი გონება ოცდაოთხი საათის განმავლობაში რაციონალურად მუშაობს და წარუვალ ფასეულობებს, უკვდავ მოსაზრებებს აფრქვევს ირგვლივ.

რა არის სინამდვილე? ჩვენი თანამედროვეობა?

ნაკლებად სანდო, მერყევი სამყაროა? შესაძლოა.

რამეთუ ჩვენ მდიდრები, ძლიერები ვართ ჩვენი პატარა ქვეყნით და მცირე ხალხით, ამაყი, თვითმყოფადი ადამიანებით, თავისი დამოუკიდებელი სამყაროთი, ხასიათით, შესაძლოა, — პრეტენზიებითაც.

ქართველი ერი, უდიდესი სიმდიდრის, სიძლიერის გამნიავებელნი ვართ ხშირად, იმიტომ, რომ ჩვენს ყოფას, ურთიერთობებს, რიგ შემთხვევებში, გამოვლინებებში შეცდომებზე ვაგებთ, მოვლენებს, სამყაროს ბრმად შევყურებთ და ურთიერთის „ნეკროლოგს" ველით გაზეთებში..

გაზეთი და საზოგადოება...

ჟურნალისტი, რედაქტორი და ხალხი, საზოგადოება, თანამედროვეობა. მათ შორის მყარი, საპასუხისმგებლო, ზოგჯერ ბედის განმსაზღვრელი კავშირია გაბმული.

ბატონები ჭაბუა ამირეჯიბი, გურამ გეგეშიძე, რეზო მიშველაძე, გურამ ფანჯიკიძე, თამაზ წივწივაძე, ნოდარ ნათაძე, თამაზ კვაჭანტირაძე, სხვები გაზეთებში „დრონი", „საქართველო", მწვავე პოლიტიკური, პუბლიცისტური ხასიათის წერილებს აქვეყნებენ.

მათმა ავტორიტეტულმა, მძიმეწონიანმა სიტყვამ. მიმართვამ, პოზიციამ. ჩემი ღრმა რწმენით, საზოგადოება დამუხტა, ააფორიაქა, ინტელიგენცია, ხალხი არსებული კონსტიტუციური, კანონიერი ხელისუფლების, პრეზიდენტის გარკვეულწილ საწინააღმდეგოდ განაწყო, შექმნილი არასასურველი ვითარების კატალიზატორად მოგვევლინა.

ის, რაც 20 სექტემბრის შემდეგ თბილისში მოხდა, ყველას კარგად მოგვეხსენება.

იყო ანტიკონსტიტუციური, ანტისამართლებრივი, ანტიჰუმანური საოპოზიციო გადატრიალების მცდელობა, რაშიც გაზეთმა „დრონი", სხვა გაზეთებმა, არც თუ მეორეხარისხოვანი, უკანასკნელი როლი ითამაშეს.

ქართველი მწერლობა, ჟურნალისტიკა, ეროვნული კულტურა — არისტოკრატიული, ჰუმანურია თავის არსით, ფორმით.

დღევანდელ პოლიტიზირებულ ვითარებაში, როდესაც პლატონს, სოკრატეს, ესქილეს აღარ ვკითხულობთ, გაზეთებში დასტამბულ ფსევდოპოლიტიკოსების, ნეოდემოკრატების ოპოზიციურ პასკვილებს დავაცქერით, ჰუმანიზმმაც, შემწყნარებლობამაც უკან დაიხია, მისი ნაყოფიც თვალსა და ხელს შუა ჩამოხმა. ქრისტიანული მრწამსიც, ხმაც ჩაიკარგა.

მრავალათეულწლიანი აზრის დამბლას — სიტყვების ბუნტი მოჰყვა. ადამიანის სიქველემაც თავი აიშვა, აიწყვიტა. ვინც სულიერი თავისუფლების ჰაერის მცირე ულუფა შეისუნთქა, ძნელია ისევ აზრის დილეგს დაუბრუნდეს, ხუნდები დაიდოს, ყრუ-მუნჯად იქცეს, ეროვნული, პოლიტიკური მზერა დაკარგოს.

მაშინ, როდესაც საქართველო ორ შეურიგებელ ბანაკად გაიყო, — რომელთაც ურთიერთის არაფერი გაეგებათ და არც სურთ გაიგონ, ამოუვსებელი, გადაულახავი უფსკრული სულ უფრო და უფრო ღრმავდება. გაზეთის, მისი რედაქტორის ჯანსაღ მამულიშვილურ პოზიციას, ხალხთან, საზოგადოებასთან, მთავრობასთან, პრეზიდენტთან ერთად გაზრდილი პასუხისმგებლობა, შესაძლოა საბედისწერო განაწესი, ამოცანა აკისრია.

მწერალი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი — საზოგადოების შემეცნებას აყალიბებენ, ხალხს რაზმავენ, განაწყობენ, სამშვიდობო მოქმედებისაკენ, სიქველისაკენ მოუწოდებენ.

თანამედროვე დემონები, — გამონაგონნი არ გახლავან. მათი ცინიზმის ნიღაბი ქრისტიანობით, ღმერთით ოპერირებს, დემოკრატიის, თავისუფლების, ეროვნულობის თამაში, — ეშმაკის ცეკვას ემსგავსება. იუდას ალერსს უდრის.

გაზეთი ამა თუ იმ სხვა პრობლემების წარმოჩენისას. საზოგადოების, ხალხის დამრაზმველი, განმანათლებელია.

ბატონი ჭაბუა, ბატონი რევაზი. ბატონი გურამი, სხვები, ცნობილი ქართველი მწერლები გახლავან. ჩემი თაობის წარმომადგენლები არიან. მე მათ შემოქმედებას, საზოგადოებრივ მოღვაწეობას, დამიჯერეთ. კარგად ვიცნობ, არაერთხელ დამისტამბავს მათ შემოქმედებაზე, პროზაული ნაწარმოებების საფუძველზე შექმნილ მხატვრულ ფილმებზე წერილები. მკითხველი საზოგადოებისათვის გამოცხენია, წარმიდგენია.

მჯერა მათი მოქალაქეობრივი, რაცური მრწამსი, პატივს ვცემ მათ პროფესიულ ნიჭს, კალამს, ეროვნულ ერთგულებას და. რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ჩემთვის, როგორც მოქალაქისათვის და ჟურნალისტისათვის, მჯერა მათი ჭეშმარიტი მამულიშვილობისა.

მჯერა, თუმცა მრავალ პოლიტიკურ, სხვა საკითხებში მათ არ ვეთანხმები, რომელთა ირგვლივაც თითოეულ მათგანთან არაერთი დავა-კამათი მქონია. ისინი ამა თუ იმ საკითხებში კატეგორიულად არ დათანხმებიან ჩემს მოსაზრებას. რას იზამ? თუ პლურალიზმია, — პლურალიზმი იყოს.

რამეთუ პრობლემა უფრო ფართოდ წარმოჩნდება:

დღევანდელი საქართველო და მისი მომავალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ უკვე „პიროვნული“, „პროფესიული“ კადნიერება, მხარში დგომა, თანადგომა თუ განდგომა, „უპატივცემლობა“, ზოგიერთებს რაგინდ მკრეხელობადაც არ უნდა მოეჩვენოს, უკანა პლანზე გადაიწევს, ძალას კარგავს.

მკითხველს უყვარს პილპილმოყრილი სენსაციები, მით უმეტეს პოლიტიკური ხასიათის სათავგადასავლო, დეტექტური სიუჟეტით განზავებული საკითხავი.

გუგულმა ბუდეს ამჯერადაც გადაუფრინა...

გაზეთი, ჟურნალისტი, რედაქტორი, სულითა და ხორცით, მომზადებით და ნიჭით, მამულიშვილობით, ადამიანობით, მოწოდებით, — ქვეყნის, საზოგადოების ინტელექტუალურ ელიტას განეკუთვნებიან, — უნდა განეკუთვნებოდნენ. მხოლოდ ის, და სხვა არავინ, — წერილის ავტორის ჩათვლით. უნდა გრძნობდნენ ტექსტის საზოგადოებრივ, საქვეყნო მნიშვნელობას, ფასსა და დანიშნულებას, განსაზღვრონ მისი მთავარი არსი, გზა მისცენ საზოგადოებას, მკითხველს სიახლე ასმინოს, საზრუნავი მისცეს, მოქმედებისაკენ დამუხტოს. გაზეთს საკუთარი სახე, მიმართულება შეძინოს, თვითმყოფადობა, გამორჩეულობა დააკვებოს. ყველაფერი ეს საზოგადოების, ხალხის, ქვეყნის სასარგებლოდ უნდა ხდებოდეს, მუშაობდეს.

დილეტანტური კრიტიკიდან, ნეგატიური ოპოზიციონერობიდან — პროფესიულ, პოზიტიურ კრიტიკამდე ამაღლება, ძნელად გადასალახავი მანძილია, რაც ფუნდამენტურ განსწავლულობას, პროფესიონალიზმს, კოლეგების თანადგომას, მხარდაჭერას, თანაზიარს მოითხოვენ. კიდევ სიახლის, დროის შეგრძნებაა საჭირო, მომენტის, ვითარების სწორი განსაზღვრა, მისი სამსახური.

გაზეთის მთავარი რედაქტორის უფლება-მოვალეობები, მოწოდება, — რომელთა ამქარი, ჩვენს სინამდვილეში, თითქმის ყოველკვარტალურად იცვლება და განახლებას განიცდის, მესიანობას უნდა უტოლდებოდეს, რადგან საზოგადოების, მომზადებული, დაინტერესებული, საქმეში ჩახედული მკითხველის ცნობიერებას აყალიბებს, განაახლებს და წარმართავს.

გაზეთის ზოგიერთ მთავარ რედაქტორს ოღონდაც საკუთარ „სარკეში“, საკუთარ გაზეთში ჩაიხედე, საკუთარი „კოპწია“ პერსონა დაინახვე, სხვას არაფრად დაგიდევს, უკადრისსაც იკადრებს, ასეთ „მთავარს“ მკითხველი საზოგადოების მიერ „თოკის ყულფი“ აქვს კისერზე ჩამოცმული, ერთ მშვენიერ დღეს „სკამს“ ფეხს წაჰკრავს და...

ცხოვრების „დრონის“ ამგვარი მთავარი რედაქტორის, ავთვისებიანი აპოლიტიკოს-ოპოზიციონერის, ნარცისიზმის „მკურნალობაც“ ფუჭი მცდელობაა. გეუბნება: ჩამოდექ გზიდან, ფეხებში ნუ მებლანდებიო. ამ დროს (ისევ „დრო“) თვითონვეა ფეხებში გაბლანდული. მკითხველს აიძულებს თავის ქვეყანაში უცხოელი, გადამთიელი იყოს.

მედროვეებს, პოტენციურ ოპონენტებს, მოწინააღმდეგეებს ვთხოვ ყურად იღონ, გაითვალისწინონ:

თუ გაწყრა ღმერთი და ქვეყანა უკან შემობრუნდა, ისევ თქვენი „დრონი“ დადგება, გარწმუნებთ, ისევე, როგორც უწინ, ყოველთვის, ჩემი დღე და მოსწრება იყო, თხოვნით არავის შეგაწუხებთ, ისევე გავლევ განგებისაგან ნაბოძებ ჩემსა წილ, არცთუ საიმედო და, საბედნიეროდ, დარჩენილ ხანმოკლე ცხოვრებას...

ყველამ ერთად ვილოცოთ...

ალსარება ვთქვათ...

მოვინანიოთ...

განვიწმინდოთ...

მაშინ ჩვენ ყველას ერთად გვეშველება...

დრონი იცვლებიან.

რედაქტორები მიდიან და მოდიან, გაზეთი, მკითხველი რჩება.

ყველაფერი დაცხრება.

საქართველო დარჩება.

ეს წერილი — ალსარება უფროა, ამიტომ განსაკუთრებით მტკივნეული, დასანანია, რამეთუ ჩვენ, გაზეთს, ჟურნალისტებს შეგვეხე-[illegible]:

ვიცი, კოპები, დამფრთხალი ძილი მელის.

რას იზამ, მივეჩვიე...

**ავთანდილ გველესიანი**

# გაერო-ს ახალი მეთაური ჰყავს



**გაერთიანებული** ერების ორგანიზაციის ახალი ხელმძღვანელის ბუტროს გალის პიროვნება მრავალმხრივაა საინტერესო. პირდაპირ შეიძლება ითქვას, მისი დანიშვნით იწყება ახალი ერა მსოფლიო პოლიტიკაში. მის პიროვნებაში სრულიად გამოჩნდა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების განმსაზღვრელი მიმართულებანი, პრიორიტეტები, გლობალური პროცესების განმსაზღვრელი კალაპოტი.

როგორც ქართული საზოგადოებისთვისაა ცნობილი, ამ თანამდებობის დაკავების კანდიდატებად მრავალი ცნობილი პოლიტიკოსი იყო დასახელებული, მარგარეთ თეთჩერით დაწყებული ედუარდ შევარდნაძით დამთავრებული. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პოსტისთვის ბრძოლაში განსაკუთრებული აქტივობა აფრიკის კონტინენტმა გამოიჩინა. აფრიკული ქვეყნებიდან ექვსი პრეტენდენტი იყო დასახელებული, ხოლო ძლიერთა ამა ქვეყნისას მოწონება კი ბუტროს გალიმ დაიმსახურა. დიდი ხუთეულის ასეთ გადაწყვეტილებას რამდენიმე განმსაზღვრელი ფაქტორი გააჩნდა. ჩვენის აზრით კი ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი თავად ბუტროს გალის პიროვნებამ, წარმოშობამ, ოჯახურმა მდგომარეობამ და მსოფლმხედველობამ ითამაშა.

ბუტროს გალი დაიბადა ეგვიპტელი კოპტების არისტოკრატულ ოჯახში, მისი ბაბუა თავის დროზე ეგვიპტის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრიც კი გახლდათ, კაიროს ერთ-ერთ გარეუბნის ქუჩა ახლაც ატარებს მის სახელს. ბუტროს გალი დაქორწინებულია ამჟამადაც საკმაოდ მომხიბვლელ, მიუხედავად ასაკისა, ებრაელ ქალზე ლიაზე, რომელმაც კოპტური წესით ნათლობის შემდეგ მარიამის სახელი მიიღო. ლია-მარიამის თქმით მათ საკმაოდ ხანდაზმულ წყვილს სიყვარული ეხლაც არ განელებია. თავად გენერალური მდივანი თავისუფლად მეტყველებს და აზროვნებს ინგლისურად და ფრანგულად, რაც უთუოდ სორბონული განათლების დამსახურებაცაა. მის პიროვნებაში შერწყმულა რამდენიმე რასობრივი, კულტურული, გეოგრაფიული და ენობრივი პლასტი. თეთრი აფრიკელი, კოპტი არაბი, ებრაელის მეუღლე. ამ ნამდვილად ინტერნაციონალურ სულისკვეთებას ემატება რამდენიმე გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობა, საუცხოო სამეცნიერო კარიერა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორობა. ბუტროს გალის ასეთმა მრავალმხრივობამ მარტო დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკის ლიდერები კი არ მოხიბლა, არამედ ეგვიპტის რესპუბლიკის პრეზიდენტიც ანვარ სადატიც, რომლის რეკომენდაციითაც 1974 წელს დაინიშნა ისრაელ-ეგვიპტის ურთულესი მოლაპარაკების, ეგვიპტის დელეგაციის ერთ-ერთ წამყვან წევრად. ასეთ საპასუხისმგებლო დავალებას მომავალმა გენერალურმა მდივანმა თავი ღირსეულად გაართვა. გალის როგორც მოქნილი დიპლომატის სახე კიდევ უფრო გამოიკვეთა მრავალ არაბულ თუ აფრიკულ კონფლიქტების მოგვარების უმადურ ხელოვნებაში.

ბუტროს გალის კანდიდატურა პირველად მხოლოდ აფრიკული ერთობის კონფერენციაზე გამოჩნდა, რომელიც წელს ივლისში ნიგერიაში გაიმართა. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ გადამწყვეტი როლი გალის ფრანგულენოვანობამ ითამაშა. რადგან საფრანგეთი ყოველთვის მხარს უჭერდა ფრანგულენოვანი გენერალური მდივნის არსებობას.

მაშ ასე, ეგვიპტის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე საერთაშორისო ურთიერთობებში და ემიგრაციისა და საზღვარგარეთ მყოფი ეგვიპტელების საქმეთა სახელმწიფო მინისტრი—ბუტროს გალი, მიუხედავად ირანის და ისრაელის პროტესტისა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანია.

**ზაზა ხოზბერიძე**

# ქრონიკა, ინფორმაცია

## შინ

**18 დეკემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო უკრაინის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების ოფიციალურ დოკუმენტი.**

კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქში გაიმართა ზეიმი ინვალიდი ბავშვებისათვის. ზეიმის ორგანიზატორი იყო საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი.

**საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განცხადებით მიმართა ამერიკის სახელმწიფო მდივანს ჯეიმს ბეიკერს მის მიერ ამა წლის 12 დეკემბერს პრინსტონის უნვერსიტეტში წარმოთქმული სიტყვის გამო.**

17 დეკემბერს საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროში ხელი მოაწერეს შეთანხმებას თურქეთსა და საქართველოს შორის სატელეფონო კავშირის დამყარებაზე. ეს იქნება დამოუკიდებელი საერთაშორისო სატელეფონო კავშირი.

**კარგი წინასაახალწლო საჩუქარი მიიღეს ჭიათურელებმა. ახლახან აქ გაიხსნა „ჭიათურმანგანუმის“ სანიტარული [illegible] ხაავადმყოფო, რომელიც მიწისძვრამ დაანგრია.**



## გარეთ

ბერლინში სენატის გადაწყვეტილებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უნდა გაწმინდოს „ბერლინის“ საპატიო მოქალაქის“ წოდების მატარებელ პიროვნებათა სია იმათგან, ვინც ამის ღირსი არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ დროის კონიუნქტურობის გამო მიენიჭათ. თავის დროზე ბერლინის საპატიო მოქალაქეობა ებოძათ ბისმარკს, შლიმანს, მენცელს და სხვებს. 30-იან წლებში ბუნებრივია ეს წოდება მიენიჭათ ჰიტლერს, გერინგს, გებელსს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ბერლინის საპატიო მოქალაქე გახდა გენერალი ჟუკოვი. ექსპერტებს არც ეეჭვებათ, რომ სამუშაო ჯგუფი მკაცრად გაცხრილავს ამ სიას და მასში მოჰყვება ჟუკოვი, მით უფრო, რომ ეს წოდება ორი წლის წინათ ჩამოართვეს ერიხ ჰონეკერსაც.

**რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსიდან გაქრა მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა გარკვეულ სასჯელს მამათმავლობისა და მათხოვრობისათვის. ასე რომ, დღეის ამას იქით რუსეთში მამათმავლებისა და მათხოვრებისათვის „დიდი, შეუზღუდავი“ ასპარეზი იშლება.**

16 დეკემბერს ალმა-ათაში ყაზახეთის დამოუკიდებლობა სცნო თურქეთმა.

**რსფსრ-ს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც სსრკ-ს უზენაესი საბჭოს ქონება გამოცხადდა რუსეთის კუთვნილებად.**

აზერბაიჯანის პრეზიდენტის ბრძანებულებით, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დისლოცირებული სსრკ სამხედრო ძალები, გარდა სტრატეგიული დანიშნულებისა, 16 დეკემბრიდან დაექვემდებარება პრეზიდენტ აიაზ მუტალიბოვს.

**მოსკოვში დაფუძნდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემია. პირველი პრეზიდენტი გახდა აკადემიკოსი ოსიპოვი.**

საკუთარი განცხადებით გადადგა მოსკოვის მერი გავრილ პოპოვი.

**დიდი ბრიტანეთის კონტრდაზვერვის ხელმძღვანელი პირველად ქვეყნის ისტორიაში გახდა ქალი, 56 წლის სტელა რიმინგტონი. იგი თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგება მომავალი წლის თებერვლიდან.**

ყოფილი სსრკ-სა და რუსეთის საგრეო საქმეთა სამინისტროების ცნობით, ისინი არ შეუშლიან ხელს ერიხ ჰონეკერს კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამგზავრებაში, მაგრამ იქ წასვლა თავად გდრ-ის ყოფილმა ხელმძღვანელმა უნდა გადაწყვიტოს.

**ბელორუსიაში ე. წ. „საზოგადოებრივი აზრის“ სამსახურმა მოაწყო მოსახლეობის გამოკითხვა. გამოკითხული 1000 კაციდან კითხვაზე — „მხარს უჭერთ თუ არა რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის რესპუბლიკების ბრესტის ხელშეკრულებას“, 69 პროცენტმა უპასუხა დადებითად, უარყოფითად შეაფასა ეს ხელშეკრულება 10 პროცენტმა. თავი შეიკავა მხოლოდ 5 პროცენტმა.**

გერმანულმა გაზეთმა „ბილდმა“ მიხეილ გორბაჩოვი გამოაცხადა 1991 წლის „საპატიო გერმანელად“. ეს „წოდება“ მას მიენიჭა გერმანიის გაერთიანებაში დიდი დამსახურებისათვის.

**ყოფილ სსრკ-ში მოსწავლე ინდოელი სტუდენტების მშობლებმა თხოვნით მიმართეს ინდოეთის მთავრობას, რომ დაიცვან თავიანთი შვილები იმ ქაოსისა და გაურკვევლობისაგან, რაც დღეისათვის ყოფილ სსრკ-შია შექმნილი. ცნობილია, რომ ინდოელ სტუდენტთა რიცხვი დღეისათვის 4 ათასს აღემატება.**

რამდენიმე კვირის წინათ ჩეჩნეთის პრეზიდენტმა [illegible] დუდაევმა განაცხადა, [illegible] ერიხ ჰონეკერი მოისურვებდა, პოლიტიკურ თავშესაფარს მისცემდა მას, მაგრამ ამ უკანასკნელმა ამაზე რეაგირება არ მოახდინა. სამაგიეროდ, შვეციის მოქალაქემ იაკა კონომ თხოვნით მიმართა პრეზიდენტ დუდაევს, მიეცათ მისთვის ჩეჩნეთის მოქალაქეობა. ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ დუდაევმა დააკმაყოფილა შვედის თხოვნა. გენერალის თქმით, კიდევ სამმა უცხოელმა გამოთქვა ამის სურვილი.

**ყირგიზეთში პრეზიდენტ ასკარ აკაევის ბრძანებულებით იქმნება ეროვნული გვარდია.**

ლატვიისა და ბელორუსიის ხელმძღვანელობამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას კეთილმეზობლური დამოკიდებულების შესახებ.

**ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი აგრძელებს თავის ვიზიტს ყოფილ სსრკ-ში. ბეიკერი უკვე შეხვდა ბორის ელცინს, ასკარ აკაევს. მას დაგეგმილი აქვს აგრეთვე, შეხვედრები უკრაინასა და ბელორუსიაში, ამ რესპუბლიკების ხელმძღვანელებთან.**

ჩრდილოეთ ოსეთის სსრ უზენაესმა საბჭომ გააგრძელა ვლადიკავკაზში საგანგებო წესების რეჟიმი 1992 წლის 19 თებერვლამდე.

# ახალი წიგნი

გამოვიდა და იყიდება მწერალ **ჯემალ ქირიას** ახალი საყმაწვილო წიგნი „ბაციკუკუ“.

— ეს არის მინი-რომანი, პატარა დეტექტივი, მხიარული, ფათერაკებით აღსავსე ზღაპარი!

— ეს არის შესანიშნავი საჩუქარი სხვადასხვა ასაკის ბავშვებისათვის!

— ეს ლამაზი, ლალი მელაშვილის მიერ ილუსტრირებული წიგნი იყიდება კოოპერატივების („წყარო-3“, „ქალდეა“, „სადარა“), აგრეთვე ჟურნალ-გაზეთების ჯიხურებში, „მერანის“ საფირმო მაღაზიაში.

— ფასი მხოლოდ 8 მანეთია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰოლანდიელი ამაყობს თავისი სამედიცინო მომსახურებით

ქართველი საზოგადოებრიობისათვის პრესისა და ტელევიზიის საშუალებით კარგადაა ცნობილი საზოგადოების „ტექსელ-ჯორჯია კონტაქტის" არსებობისა და ნაყოფიერი მოღვაწეობის შესახებ. ამ საზოგადოების მესვეურთა (ქალბატონების მარია დე გრააფისა და ჰეთი ვან-დეიკის) და ქალაქ დენ ჰელდერის „ტყუპების ჰოსპიტლის" მეან-გინეკოლოგთა კოლექტივის მიწვევით ა. წ. აგვისტოში ერთთვიანი მივლინებით გახლდით ჰოლანდიაში — ქალაქებში დენ ჰელდერში, ალკმაარში, ამსტერდამსა და როტერდამში. ვიზიტის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო გავცნობოდი უშუალოდ პრაქტიკული ჯანდაცვის მუშაობას სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში.

ამ წერილით შევეცდები გავაკეთო მოკლე მიმოხილვა იმისა, რაც ტიპიურია ევროპის ერთ-ერთ ყველაზე მაღალგანვითარებული ქვეყნის სამედიცინო სამსახურის კულტურისა და ტრადიციებისათვის. ეს ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ქართველი საზოგადოებისათვის იმიტომაც, რომ ჰოლანდია არის ქვეყანა, რომლის ტერიტორია ორჯერ პატარაა საქართველოზე (36,7 ათასი კვ. კმ.), ხოლო მოსახლეობა სამჯერ მეტი (16 მილიონამდე).

მრავალი ათწლეულის მანძილზე შემუშავებული და ძალზე დახვეწილი პრაქტიული ჯანდაცვის ქსელის სამი უმნიშვნელოვანესი ელემენტია ოჯახის ექიმი, რეგიონალური საავადმყოფო და აკადემიური ჰოსპიტალი. საჭირო სამედიცინო დახმარების სპეციფიკისა და ავადმყოფის სურვილის გათვალისწინებით ყოველ მოქალაქეს შეუძლია მიიღოს სამედიცინო დახმარება ჯანდაცვის ამ სამი რგოლიდან ნებისმიერში.

გამოკვლევისა და მკურნალობის მოსახლეობასთან ყველაზე მიახლოებულ რგოლს წარმოადგენს ოჯახის ექიმი, რომლის ოფისი, როგორც წესი მდებარეობს მის საცხოვრებელ ბინასა თუ სახლში ან მასთან ახლოს. ყოველი ქალაქის ტურისტულ გეგმაზე, რომლებიც ადგილობრივ ჯიხურებში იყიდება, დატანილია ყველა ოჯახის ექიმის ოფისი მათი მიგნების გასაიოლებლად. ოჯახის ექიმის უძველესმა ინსტიტუტმა ჯანდაცვის სადაზღვევო სისტემის პირობებში განვითარების ძლიერი სტიმული მიიღო. იგი აღმოჩნდა ყველაზე ეკონომიური სტრუქტურა ავადმყოფ[illegible] და კვალიფიციური [illegible] აღმოსაჩენად და ძვირადღირებული სტაციონალური მკურნალობის დროის გამოსათავისუფლებლად მძიმე ავადმყოფებისათვის. აღსანიშნავია, რომ ოჯახის ექიმები ფართო პროფილის სპეციალისტები არიან და მათზე მთელი სამედიცინო სამსახურის [illegible]ობის წილი მოდის. ჰოლანდიელი მედიკოსები თავიანთი ჯანდაცვის წარმატებებს მნიშვნელოვან წილად სწორედ ოჯახის ექიმთა დიდი არმიის მაღალ კვალიფიკაციას, შრომისმოყვარეობასა და კეთილსინდისიერებას უმადლიან.

ოჯახის ექიმთან, მისული ავადმყო[illegible] ძირითადი ნაწილი დახმარებას იქვე იღებს, განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში კი ავადმყოფი იგზავნება რეგიონალურ საავადმყოფოში (ჰოსპიტალში), რომელიც მასზე განპირობებულ რეგიონს ემსახურება. ავადმყოფს საავადმყოფოსა და ექიმის არჩევანში არავითარი შეზღუდვა არა აქვს, მაგრამ ძირითადად მოსახლეობა საკუთარ რეგიონალურ საავადმყოფოს მიმართავს. ის საავადმყოფოები, რომელთა ნახვა მე მომიხდა, მათი ხელმძღვანელების თქმით, საშუალო სიდიდისანი არიან (150-250 საწოლზე). სწორედ ამ ტიპის საავადმყოფოთა მუშაობაზე მოგახსენებთ ქვემოთ.

ტიპიური თანამედროვე რეგიონალური საავადმყოფო საკომუნიკაციო ინტერესებიდან გამომდინარე ქალაქის განაპირას მდებარეობს. ჰოლანდიური ქალაქების დიდი უმრავლესობის მოსახლეობა არ აღემატება რამდენიმე ათეულ ათასს, ამიტომ ასეთ პატარა ქალაქში მის გარეთ მდებარე საავადმყოფოსთან ტრანსპორტით დაკავშირება ნებისმიერი ადგილიდან რამდენიმე წუთს საჭიროებს. საავადმყოფოს იმდენად მძლავრი სატელეფონო, კომპიუტერული, ტელე- და რადიო-კომუნიკაციები აკავშირებს ქალაქთან, ქვეყანასთან და მთელ ევროპასთან, რომ იგი სამყაროსაგან მოწყვეტილად არამც და არამც არ შეიძლება ჩაითვალოს. ამასთანავე სანავია სამსახურისათვის გამკუთვნილი ვერტოდრომის ექსპლუატაცია (რომელიც თანამედროვე რეგიონალური საავადმყოფოს განუყოფელი ნაწილია) ქალაქში ხმაურს არ ზრდის.

მნიშვნელოვანი მომენტია საავადმყოფოს შენობის ექსტერიერისა და ინტერიერის დიზაინი. საავადმყოფო ძირითადად შენდება ბაღებში ან მათთან ახლოს კომფორტისა და დასვენების ატმოსფეროს შესაქმნელად. მომსახურეობის გასაადვილებლად საავტომობილო ტრანსპორტი საავადმყოფოს შენობას მრავალი მხრიდან ყოველგვარი შეფერხების გარეშე



უდგება. შენობის ინტერიერი არაფრით ჰგავს ჩვენთვის ცნობილ ტრადიციულ საავადმყოფოს. მისი ფართე და ნათელი ჰოლები, სპეციალური მოსაცდელი ოთახები, საკონფერენციო და კინოდარბაზი, ოთახები საქმიანი შეხვედრებისათვის, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სასადილო გაწყობილია რბილი ხალიჩებით, მოხერხებული ავეჯით, მორთულია ყვავილებითა და სხვადასხვა დეკორაციებით. კომფორტული, გემოვნებიანი დიზაინითა და მშვიდი, საქმიანი ატმოსფეროთი საავადმყოფო დასასვენებელ და ბიზნესცენტრებთან იწვევს ასოციაციას.

ექიმთან ამბულატორიულ მიღებაზე წინასწარ დანიშნულ დროზე მოსული ავადმყოფი სპეციალურ სალონში იცდის. აქ მას შეუძლია მოისვენოს ღრმა სავარძელში, თვალი გადაავლოს პრესას, მისთვის სპეციალურად მომზადებულ პოპულარულ ლიტერატურას სხვადასხვა დაავადების პროფილაქტიკისა და თვითკონტროლის, ჯანდაცვის სადაზღვევო სისტემის საქმიანობის, სამედიცინო მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევების შესახებ, აქვს საშუალება უყუროს ტელევიზიას და სამეცნიერო-პოპულარულ ვიდეო-მასალას. იქვე მოსაცდელ სალონებთან არის ბავშვის ოთახი, სადაც პატარები მშობლების მოლოდინში ათასგვარი სათამაშოებით ერთობიან, უყურებენ ვიდეოფილმებს, ხატავენ, ძერწავენ და ა. შ. ხშირად ბავშვები ესწრებიან ექიმის მიერ მშობლის გასინჯვას.

ასეთ გარემოში ხვდება საავადმყოფოს ამბულატორიაში დახმარების მისაღებად მისული ავადმყოფი. ასეთ გარემოში მუშაობს სამედიცინო პერსონალი. უნდა ითქვას, რომ საავადმყოფოს ეს ატმოსფერო სრულ ჰარმონიაშია მთელს იმ გარემოსთან, რომელშიც ჰოლანდიის მოსახლეობა ცხოვრობს და ამიტომ იგი ყოველი მოქალაქისათვის განსაკუთრებულობის გარეშე აღიქმება. ასეთ მოწყობაში, როგორც მთელი პერსონალი მიიჩნევს, არაფერია ზედმეტი. ყველაფერი ეს ნაკარნახევია აუცილებლობით სამედიცინო სამსახურის ნორმალური ორგანიზებისათვის. ამ აკომოდაციებს სრულად იყენებს საავადმყოფოს შტატი თავის საქმიანობაში ავადმყოფის ინტერესების უზენაესობის პრინციპის დაცვით.

ექიმის მდივანი მომლოდინე პაციენტს ჰქვა ყავით ან ჩაით უმასპინძლდება, ამზადებს მის შესახებ მთელ დოკუმენტაციას და აწვდის ექიმს. ავადმყოფის ლოდინის დრო შეზღუდულია. ექიმი ვალდებულია მიღებაზე მოსულ ავადმყოფს საჭირო დახმარება აღმოუჩინოს ნახევარი საათის განმავლობაში. ავადმყოფის სხვა უფლებებთან ერთად ამ უკანასკნელსაც პედანტურად იცავს საავადმყოფოს პერსონალი. როგორც წესი, პაციენტს ექიმის კაბინეტში იწვევენ არა უგვიანეს 10-15 წუთისა.

ექიმის კაბინეტი აღჭურვილია უამრავი სადიაგნოსტიკო საშუალებით, რათა ავადმყოფს ერთი ვიზიტის 5-10 წუთის განმავლობაში ჩაუტარდეს მაქსიმალურად სრულყოფილი გამოკვლევა, მიეცეს სათანადო რეკომენდაციები, დაენიშნოს მკურნალობა. ავადმყოფი მისთვის გამოყოფილი დროის და საავადმყოფოს შესაძლებლობების მის ინტერესებში სრული გამოყენების უფლებით სარგებლობს. ექიმი კი მისი ინტერესების დამცველის როლში გამოდის, რომელიც ხელმძღვანელობს გამოკვლევებს, იღებს გადაწყვეტილებებს მკურნალობის ტაქტიკის შესახებ, უხსნის და უსაბუთებს ავადმყოფს გამოკვლევისა და მკურნალობის კონკრეტული ნაბიჯების მიზანშეწონილებას. თვით ავადმყოფი აქტიურად მონაწილეობს საკუთარი გამოკვლევისა და მკურნალობის მსვლელობაში. მას შეუძლია უარი განაცხადოს ნებისმიერი გამოკვლევისა და სამკურნალო ჩარევაზე თუ მას არასაკმარისად დასაბუთებულად ან თავისთვის მიუღებლად მიიჩნევს. ექიმის პროფესიონალიზმი — ფართე და ღრმა სამედიცინო განათლებასა და პრაქტიკულ გამოცდილებასთან ერთად მდგომარეობს იმაში, რომ შესძლოს დაიყოლიოს ავადმყოფი მკურნალობის სწორ და მისთვის მისაღებ გზაზე. ამავე დროს კანონი ექიმის უფლებებსაც იცავს ავადმყოფის წინაშე. ნათქვამის საილუსტრაციოდ გამოდგება ასეთი მაგალითი: ავადმყოფს შეუძლია უარი განაცხადოს ისეთ გამოკვლევაზეც კი, როგორიცაა შიდსის ვირუსის მატარებლობის გამოვლენა (ამით ხორციელდება ავადმყოფის პიროვნების თავისუფლების პრინციპი), მაგრამ ამავე დროს ექიმი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ასეთი ავადმყოფისათვის იმ სამკურნალო და დიაგნოსტიკური მანიპულაციების ჩატარებაზე, რომლებითაც შეიძლება მისი დაინფიცირება მოხდეს.

თუ ავადმყოფს ესაჭიროება ჰოსპიტალიზაცია, ექიმი სელექტორით უკავშირდება მდივანს და ატყობინებს ამ საჭიროების შესახებ. ყოველგვარი დამატებითი ფორმალობების გარეშე ავადმყოფი რამდენიმე წუთში ჰოსპიტალიზდება. აქ ნახევარი-ერთი საათის განმავლობაში მას უკეთდება ექიმის მიერ დანიშნული ყველა აუცილებელი გამოკვლევა და ეძლევა დანიშნულება სამკურნალოდ. საჭირო წამლების ნუსხა ექიმის მიერ იკრიბება კომპიუტერზე, რომელიც შიდა საავადმყოფოს ელექტროსაკომუნიკაციო ქსელშია ჩართული. მისი საშუალებით ექიმის შეკვეთა მედიკამენტებზე საავადმყოფოს აფთიაქს გადაეცემა. აფთიაქში არსებული წამალი შესაბამისი დღიური დოზით იგზავნება განყოფილებაში, ხოლო თუ გამოწერილია იშვიათად ხმარებული ან ვარგისიანობის მოკლე ვადის მქონე პრეპარატი, რომელიც საავადმყოფოში არ მზადდება, შეტყობინება სპეციალური საკომუნიკაციო ხაზით იგზავნება საავადმყოფოშორისო აფთიაქში, საიდანაც ნებისმიერი წამალი ავადმყოფისათვის მოტანილი იქნება შეტყობინებიდან არაუგვიანეს 5 საათისა. სტაციონარში მოთავსებიდან ვიდრე გაწერამდე ავადმყოფი იმყოფება ექთნის ან ექიმის ასისტენტის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ, რომლებიც მითითებებს იღებენ ექიმისაგან.

პალატები, რომლებშიც ავადმყოფს ათავსებენ ერთი ან ორადგილიანია (სპეციალური დანიშნულების პალატების გარდა). პალატა ფაქტიურად საცხოვრებელი ოთახია, საკუთარი სანიტარიული კვანძითა და სხვა აკომოდაციებით, სადაც საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ავადმყოფის იზოლირება მეზობლისაგან. ავადმყოფს აქვს ოთახში განათების, ტელევიზიის, სამედიცინო პერსონალთან კონტაქტის სამართავი პულტი. მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალზე იშვიათად რჩება სტაციონალური მკურნალობისათვის 5-7 დღეზე მეტ ხანს, მნახველებისათვის საოპერაციო ბლოკის გარდა შესვლა ყველგან თავისუფალია. ამდენად ავადმყოფი შინაურ ატმოსფეროში ცხოვრობს.

ძალზე საინტერესოა სამშობიარო განყოფილების მუშაობა. საავადმყოფოს პირობებში მშობიარობენ მხოლოდ ის ქალები, რომელთა მშობიარობისას მოსალოდნელია გართულება (მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კი მშობიარობს საკუთარ სახლში ოჯახის ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ). ქალი მშობიარობს თავის პალატაში სპეციალურ საწოლში. მშობიარობას მართავს ექიმის ასისტენტი ან ექიმი (ექიმის შეხედულების შესაბამისად). და მას ყოველთვის ესწრება მეუღლე, ხოლო თუ მშობლები ჩათვლიან მიზანშეწონილად — მათი უფროსი შვილებიც. ბავშვის დაბადებას მომავალი მამა ხშირად ფოტო ან ვიდეო ფირზე აღბეჭდავს. იგი თავის მეუღლის გვერდითაა იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მეუღლეს უკეთდება საკეისრო კვეთა. ბავშვის დაბადების შემდეგ ტრადიციის შესაბამისად დედ-მამა და ახალშობილის და-ძმა ღია ბარათებს უგზავნიან თავიანთ ახლობლებს ბედნიერი მოვლენის შეტყობინებით. დედა და შვილი დაბადების მომენტიდან ერთად არიან გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ახალშობილი სპეციალურ კვალიფიციურ მეთვალყურეობასა და მკურნალობას საჭიროებს.

ჯანდაცვის სფეროში მოქმედ კანონმდებლობაში გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ ექიმის მომზადებაზე სახელმწიფოს დიდი დრო, ენერგია და სახსრები ეხარჯება. ამიტომ ექიმი ერთ-ერთი ყველაზე უფრო პრესტიჟული და კარგად უზრუნველყოფილი პროფესიაა. სამედიცინო განათლებისა და წვრთნის ძალზე დახვეწილი სისტემის შედეგია ჰოლანდიელი ექიმების საუცხოო პროფესიონალიზმი, შრომის უნარი და მაღალი ზნეობა. დიპლომირებულ ექიმს აქვს ფართე და საკმაოდ ღრმა განათლება ფუნდამენტურ და გამოყენებით ბიოლოგიურ და სამედიცინო მეცნიერებაში. იგი სრულყოფილად ფლობს თავის დისციპლინაში ყველა მეტ-ნაკლებად ფართოდ გამოყენებულ სადიაგნოსტიკო და სამკურნალო მეთოდს, ოპერაციების ტექნიკას. ეს კი ქმნის იმის საფუძველს, რომ მოქმედი კანონმდებლობით ექიმის კვალიფიკაცია განიხილება როგორც ეკონომიკური კატეგორია, რომელიც ეფექტურად უნდა იქნას ათვისებული. ამაში ხედავს თავის დანიშნულებას საავადმყოფოს ადმინისტრაციაც, რაც ფიქსირდება ექიმსა და ადმინისტრაციას შორის დადებულ ხელშეკრულებაში (კონტრაქტში). ხელშეკრულება ზუსტად განსაზღვრავს ექიმისა და ადმინისტრაციის უფლება-მოვალეობებს ერთმანეთის წინაშე. აღებულ ვალდებულებებს უმკაცრესად იცავს ორივე მხარე.

სამედიცინო პერსონალისთვის მუშაობისა და დასვენების საუცხოო პირობებია შექმნილი საავადმყოფოში. ექიმის სამუშაო დრო კვირაში 5 დღეს 8 საათიდან 17 საათამდე გრძელდება. შუა დღეზე კი 1-საათიანი შესვენება აქვს, რომელსაც იგი იყენებს საუზმისათვის, საქმიანი შეხვედრებისათვის, ზოგჯერ სპორტული ტამ-აუტისათვის. სამუშაო დღე ისეთნაირად იგეგმება, რომ ექიმი ამბულატორიის გარდა მუშაობს სტაციონარის შესაბამის განყოფილებაში, საოპერაციო ბლოკში. ქირურგიულ დისციპლინებში მომუშავე ექიმის ოპერაციული აქტივობა მაღალია — ქირურგი ყოველთვიურად [illegible] 60-მდე სხვადასხვა მასშტაბის ოპერაციას აკეთებს უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით. საოპერაციო ბლოკში კომფორტული, მშვიდი და საქმიანი ატმოსფეროა. ადმინისტრაცია ფხიზლად ადევნებს თვალყურს, რომ აქ მუდმივად ინერგებოდეს ტექნიკური სიახლეები, რომლებიც ხელს შეუწყობს ერთის მხრივ ავადმყოფის ოპტიმალურ მომსახურებას, მეორეს მხრივ, საოპერაციო ბლოკის შესაძლებლობების გაფართოებასა და ექიმის კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებას.

გარდა საკუთრივ სამკურნალო სამუშაოებისა, ექიმი ასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ დავალებებს, რომლებიც საავადმყოფოს ადმინისტრატორებს ეხმარება სამუშაოთა ოპტიმიზაციაში; საკუთარი შეხედულებებისა და სურვილის მიხედვით მონაწილეობს სამეცნიერო და პრაქტიკული ჯანდაცვის რეგიონალურ თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში; თანამშრომლობს სამკურნალო პრეპარატების, სამედიცინო აპარატურისა და ტექნოლოგიების ფირმების პროდუქციის გამოცდაში და სხვა.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მომენტია ჯანდაცვის სამსახურში სამკურნალო დაწესებულების, ავადმყოფის და ექიმის უფლება-მოვალეობათა დაცვისა და განხორციელების სისტემა, რომელსაც თითოეული მხარე ძალზე კარგად იცნობს და სარგებლობს კიდეც მისთვის მინიჭებული უფლებებით. იგი შედეგია ჰოლანდიელ მედიკოსთა, იურისტთა და ორგანიზატორთა არაერთი თაობის დაუღალავი შრომისა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის ძალზე დახვეწილი და სრულქმნილი სისტემა თავისი განვითარებული სტრუქტურებით, რომელშიც განსაზღვრულია თითოეული მხარისათვის ფართე არჩევანის უფლება და აღებულ ვალდებულებაზე პასუხისმგებლობის ზომა. მათ შესრულებას მკაცრად ადევნებს თვალყურს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები (პროფკავშირები, ექიმთა და საავადმყოფოთა ასოციაციები და სხვა), რომლებსაც ავალიათ ან ნებაყოფლობით იღებენ საკუთარ თავზე ამ ფუნქციას. ექიმის ან საავადმყოფოს ადმინისტრაციისათვის კანონით განსაზღვრულ ან სხვადასხვა ხელშეკრულებებში ფიქსირებული ვალდებულებების დარღვევას, როგორც წესი, კონტრაქტის გაწყვეტა, დიდი მატერიალური ზარალი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რეპუტაციის შელახვა მოსდევს. მიუხედავად ხსენებული სტრუქტურების ძალზე პედანტური საქმიანობისა მათი ჩარევა სისტემის „ავადმყოფი-ექიმი-საავადმყოფოს ადმინისტრაცია" საქმიანობაში ძალზე იშვიათად ხდება საჭირო, რადგან ეს ურთიერთობები დამყარებულია საყოველთაო ზნეობრივი პრინციპების განუხრელ დაცვაზე. ამ საზოგადოებაში კეთილსინდისიერი ადამიანისა და მაღალზნეობრივი პროფესიონალის სახელი გარდაუვალ ფასეულობას წარმოადგენს. უმნიშვნელოვანეს წილად სწორედ ის განსაზღვრავს ყველა პირის მომავალს საზოგადოებაში, რომელიც საიმედო პარტნიორობას მთელი საზოგადოების კეთილდღეობის საფუძვლად მიიჩნევს.

ძალზე მაღალი სტანდარტები და ზნეობრივობა — აი ის ორი ბურჯი, რომელზედაც ჰოლანდიელი ხალხის დიდი და საამაყო მონაპოვარი — მათი ჯანდაცვის სამსახური დაფუძნებული.

შეუძლებელია ერთ საგაზეთო წერილში სრულყოფილად აღიწეროს ჯანმრთელობის დაცვის სისტემა, რომელიც მრავალი ათწლეულის მანძილზე დაუღალავმა ფიქრმა და შრომამ შექმნა (ამიტომ ვიწრო პროფესიონალურ ასპექტებს მე არ შევეხებიარ). მაგრამ, ვფიქრობ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ დღეს ჩვენ, თავისუფლების გზაზე მდგომ ერს ამ გამოცდილებიდან ბევრი რამის გამოყენება შეგვიძლია საკუთარი ინტერესების შესაბამისად და ჩვენი ბუნებისა და ტრადიციების ულალატოდ.

ა. მეხი

ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტი

# ურთიერთთანხმობა იხსნის საქართველოს

1991 წლის 11 დეკემბერს მინისტრთა კაბინეტის სხდომათა დარბაზში საქართველოს პრეზიდენტი შეხვდა სტუდენტთა გარკვეულ ნაწილს. სუდენტებმა ბატონ ზვიად გამსახურდიას შემდეგი მოთხოვნები წაუყენეს:

1. გახდეს თავისუფალი მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი.

2. გათავისუფლდნენ პოლიტპატიმრები.

3. სტუდენტ ახალგაზრდობას მიეცეს ტელევიზიით გამოსვლის საშუალება.

მოთხოვნებს ხელს აწერენ: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ პრესკლუბი, ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური კავშირი, სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის პროფკავშირების ორგანიზაცია, სამხატვრო აკადემიის, თეატრალური, სამედიცინო და სხვა ინსტიტუტების სტუდენტთა ერთი ჯგუფი.

ამ სამ ძირითად მოთხოვნასთან ერთად მათ დასვეს რამოდენიმე საკითხიც. კერძოდ, შეიცვალოს პრეზიდენტის დადგენილება რექტორატის არჩევის შესახებ.

სტუდენტებმა ისაუბრეს პროფკავშირების თაობაზე. სტუდენტური კავშირის პრეზიდენტმა, ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტმა, მამუკა კაციტაძემ აღნიშნა, რომ უნდა არსებობდეს იმდენი პროფკავშირი, რამდენი პროფესიაცაა. დაუშვებელია ერთი პროფკავშირის არსებობა. მანვე გამოთქვა აზრი, უმაღლეს სასწავლებლებში ეროვნულ-იდეოლოგიური კათედრის გაუქმების შესახებ.

სტუდენტების ერთ-ერთი მოთხოვნაა სტიპენდიების გაზრდა. ზემოთჩამოთვლილი მოთხოვნების გარშემო ბატონი პრეზიდენტი მათ დიდხანს ესაუბრა;

ბატონი ზ. გამსახურდია: ტელევიზიაში არსებობს ალტერნატიული საათი, სადაც ყველას შეუძლია აზრის გამოთქმა, ოღონდ ეთიკის ნორმების დაცვით. ოპოზიციას თუ იგი ხელისუფლების დამხობისაკენ მოუწოდებს ხალხს, უეჭველად აეკრძალება გამოსვლა. შეგიძლიათ შეამოწმოთ დემოკრატიული ქვეყნების სატელევიზიო პრაქტიკა და თქვენ თვითონ დარწმუნდებით, საერთოდ პოლიტიკურ პარტიებს ტელევიზიით გამოსვლის უფლება მხოლოდ არჩევნების წინ აქვთ.

მართალია, დღევანდელ ტელევიზიას არა აქვს სასურველი დონე, მაგრამ იგი გამოწვეულია არსებული გარდამავალი პერიოდითა და შექმნილი მძიმე მდგომარეობით. ტელევიზიის მუშაობას სრულყოფა ესაჭიროება, ამისათვის ტარდება რიგი ღონისძიებანი. კერძოდ, მას მიეცა თავისუფალი კომპანიის შექმნის უფლება.

პრეზიდენტმა აღნიშნა, საქართველოში არსებობს 25 გაზეთი 8 ჟურნალი, და ორი ტელეკომპანია. არსებულ პირობებში ეს ბევრს ნიშნავს.

ბატონმა ზ. გამსახურდიამ ისაუბრა ე. წ. პოლიტპატიმართა შესახებ: — ისინი, ვისაც თქვენ პოლიტპატიმრებს უწოდებთ, პოლიტპატიმრები არ არიან. თქვენ სწორად არ გესმით პოლიტპატიმრის სტატუსი. პოლიტპატიმარია ის, ვინც აზრით, სიტყვით იბრძვის.

დედაქალაქის ცენტრალური ქუჩის გადაკეტვა, ტელევიზიის პიკეტირება და დარბევა ეს უკვე სისხლის სამართლის დანაშაულია. მიუხედავად ამისა ისინი გათავისუფლდებიან. ოღონდ ეს დამოკიდებულია მდგომარეობის სტაბილიზაციაზე. მოსკოვი გეგმავს ახალ სამოქალაქო ომს და ჩვენ თვითონ ნუ შევუწყობთ ხელს მათი გეგმის განხორციელებას.

უზენაეს საბჭოში შექმნილია ოპოზიციური საბჭო, მაგრამ იქ არავინ მოსულა, რატომღაც ბარიკადებიდან ბრძოლა ამჯობინეს.

რაც შეეხება რექტორის დანიშვნის საკითხს, ხელისუფლებამ კომპრომისული ნაბიჯი გადადგა. ჯერ მოხდება რექტორის კანდიდატურის წარდგენა უმაღლესი სასწავლებლის მიერ, შემდეგ კი მას პრეზიდენტი დაამტკიცებს.

სტიპენდიის გაზრდის თაობაზე პრეზიდენტი დაპირდა სტუდენტებს, რომ ფინანსთა მინისტრთან ერთად მაქსიმუმს იღონებს და ეს ალბათ მოხდება ახალი წლიდან.

ზ. გამსახურდია დათანხმდა მათ მოთხოვნას — შედგეს მორიგი შეხვედრები ხელისუფლებასთან. ეს გაცილებით შედეგიანი იქნება, ვიდრე უკიდურესი ფორმის აქციები.

სტუდენტებმა თავიანთ მოთხოვნებზე შეძლებისდაგვარად დამაკმაყოფილებელი პასუხები მიიღეს. არასერიოზული განცხადებები და შეკითხვები კი საფუძვლიანად განემარტათ მათ პრეზიდენტისაგან.

●

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, განხეთქილება სტუდენტებშიც მოხდა. ამის თაობაზე შევხვდით და ვესაუბრეთ ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის პრეზიდენტს, თსუ სტუდენტს სანდრო ბრეგაძეს.

— სანდრო, რადგანაც ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, მოდით თავიდან დავიწყოთ;

ს. ბრეგაძე: — საქართველოში ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი 1990 წლის იანვარში შეიქმნა თსუ-ს სააქტო დარბაზში მოწვეულ დამფუძნებელ კრებაზე. ამავე კრებაზე არჩეულ იქნა კავშირის პრეზიდენტი და სათათბირო ცხრა კაცის შემადგენლობით. ესენი კავშირში არსებული კოლეგიების თავმჯდომარეები არიან.

— კერძოდ, რომელი კოლეგიების?

— 1. საგარეო ურთიერთობათა, 2. სამართლებრივი, 3. კულტურულ-საგანმანათლებლო, 4. ეკონომიური.

თვითონ ცნებას — ქრისტიანულ დემოკრატიას — მეტად საინტერესო მისია აქვს. —დიახ, იგი ემყარება ქრისტიანულ მორალსა და დემოკრატიულ პრინციპებს, თუ ვინმეს სჭირდება, ჩვენც გვჭირდება ქრისტიანული, დემოკრატიული პრინციპების გატარება. ურთიერთპატივისცემა, სიყვარული, შენდობისა და პატიების უნარი თუ გადაარჩენს დღეს საქართველოს.

— კონკრეტულად თქვენი საქმიანობის შესახებ.

გადავდგით ნაბიჯები კულტურულ-საგანმანათლებლო დარგში. ამაზე წინასწარ არაფერს ვიტყვი, უახლოეს მომავალში თქვენ თვითონ შეიტყობთ. საერთოდ, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე ვერც ჩვენ გვეძლევა მუშაობის საშუალება. პარლამენტს გვერდით დგომა და მხარდაჭერა, ჩვენდა საუბედუროდ, დაცვაც კი ესაჭიროება. გაპარტახებულ ქვეყანაში ყველაფერი თავიდანაა დასაწყები. ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, სამარცხვინოა და ნამდვილად არ უნდა ხდებოდეს. ოპოზიციისა და პარლამენტის ასეთი დამოკიდებულება ცხადია წინ ვერ წაგვიყვანს.

— თქვენი კავშირი ახლახანს „მრგვალი მაგიდის“ შემადგენლობაში შევიდა.

— ბლოკ-„მრგვალ მაგიდაში“ ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი დამოუკიდებელ წევრად შევიდა. აქვე აღვნიშნავ, რომ ვიბრძვით ჩვენი კავშირის საერთაშორისო ქრისტიანულ-დემოკრატიულ ინტერნაციონალში გაწევრიანებისათვის. ამის შესახებ მიმდინარეობს მოლაპარაკება ბელგიის და საერთოდ მსოფლიოს ქრისტიან დემოკრატებთან.

— რამდენი წევრია კავშირში და საერთოდ გაწევრიანების წესის შესახებ.

— გაწევრიანება სათათბიროს სხდომაზე ხდება, სათათბიროს რომელიმე წევრის რეკომენდაციის ან პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე. საერთოდ გაწევრიანება ძალზე შეზღუდულია. ვცდილობთ ავიშოროთ კავშირში შემთხვევით მოხვედრილი პიროვნება და მივიღოთ მხოლოდ ინტელექტუალური ახალგაზრდები: რაც შეეხება წევრთა რაოდენობას, რეგიონებსაც თუ გავითვალისწინებთ, ჩვენი კავშირი 300-მდე წევრს ითვლის.

— რეგიონებშიც გაქვთ ფილიალები?

— დიახ, ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდსა და დუშეთში.

— სანდრო, საკუთარი გაზეთი თუ გაქვთ?

— კავშირს გაზეთი ჯერჯერობით არ აქვს. ფინანსურად ძალიან გვიჭირს. ისე სტუდენტი ჟურნალისტები კი გვყავს და არ გაგვიძნელდება გაზეთის გამოშვება. ალბათ პირველ ნომერს საზოგადოება ერთ-ორ თვეში იხილავს.

— ვუახლოვდები მიზეზს, რამაც თქვენთან შეხვედრა გადამაწყვეტინა.

11 დეკემბერს პრეზიდენტი სტუდენტთა გარკვეულ ნაწილს შეხვდა. ვერც თქვენ და საერთოდ პრეზიდენტის მომხრე სტუდენტები ამ შეხვედრაზე ვერ მოხვედით. ჩვენ მივედით შეხვედრაზე, მაგრამ ამ შეხვედრის ინიციატორებმა დარბაზი დაგვატოვებინეს. თუკი დემოკრატიისაკენ მოვუწოდებთ ერთმანეთს, ცხადია, ასეთ მოთხოვნებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ჩემი აზრით საერთო ენის გამონახვისათვის დემოკრატიული პრინციპების დაცვა საუკეთესო გარანტი იქნებოდა.

მიუხედავად ამისა, თქვენ მაინც მოახერხეთ ამ შეხვედრის მოსმენა, ტელევიზიითაც გადაიცა. რას გვეტყოდით სტუდენტთა მოთხოვნების შესახებ? მათ მოთხოვნებში არის რაციონალური, გამართლებული, აი თუნდაც პროფკავშირებთან რექტორატის არჩევასთან დაკავშირებით. სტიპენდიების გაზრდის თაობაზეც, მაგრამ დღევანდელ საქართველოში სტიპენდიის მომატებაზე პრეტენზია მაინცდამაინც არ მიმაჩნია მართებულად. რაც შეეხება რექტორატის არჩევას, მე ვფიქრობ, ხელისუფლებამ მეტად კომპრომისული და სწორი ნაბიჯი გადადგა.

— იქ იყო საუბარი მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა თავისუფლების შესახებ.

— ჯერ პრესაზე შევჩერდები. გამოდის უამრავი ოპოზიციური გაზეთი, სადაც უსამართლოდაც კი აკრიტიკებენ ხელისუფლებას.

— ერთ-ერთმა სტუდენტმა, აღნიშნა, რომ ოპოზიციური პრესის არსებობა არ ნიშნავს პრესის თავისუფლებას.

— ვიმეორებ, ამდენი ოპოზიციური გაზეთი გამოდის, მოკლედ, ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, მე მიმაჩნია, რომ დღევანდელი პრესა თავისუფალია.

— ტელევიზიაც?

—საქართველოს ტელევიზიას არა აქვს მუშაობის სათანადო პირობები, ეს ერთი. მეორეც, ტელევიზიით გამომსვლელი ოპოზიციონერები ნაკლებად თუ იცავენ ეთიკის ნორმებს, თან ხელისუფლების დამხობისაკენ მოუწოდებენ ხალხს. მიუხედავად ამისა, ტელევიზიაში არსებობს ალტერნატიული საათი. ხომ გამოვიდნენ ჩვენი თანატოლები, სტუდენტთა იმ ჯგუფის წარმომადგენლები და ისაუბრეს თავიანთ სატკივარზე?

— კიდევ რას იტყოდით სტუდენტთა მოთხოვნების შესახებ.

— მე არ ვეთანხმები მათ პოლიტპატიმართა საკითხში. პირადად კავშირის პოზიცია ასეთია, საქართველოში პოლიტპატიმრები არ არიან. ისე კი კარგს ვიზამდით, სამართალდამცავი ორგანოების მიერ დასკვნების გამოტანას თუ დაველოდებით.

— ყოფილა თუ არა მოლაპარაკების მცდელობა სტუდენტთა ამ ორ მხარეს შორის?

— მოლაპარაკება რამოდენიმეჯერ შედგა. გადავწყვიტეთ, ორთავე მხარემ თავიანთი ნააზრევი გააშუქოს ტელედებატების საშუალებით. საზოგადოება უკეთ დაინახავს სიმართლეს და იგი უკეთ განსჯის მტყუანსა და მართალს.

— ფიქრია ჩიხრაძემ თქვა, სიმართლის გაურკვევლად შერიგებაზე ლაპარაკი აბსურდად მიმაჩნიაო.

— ვეთანხმები, სიმართლე უნდა გაირკვეს.

— თქვენ ახალგაზრდობის ერთ-ერთი ლიდერი ხართ, ამასთანავე თქვენ ქრისტიან-დემოკრატი ბრძანდებით, გიფიქრიათ თუ არა თქვენს მოვალეობაზე ყოველივე აქედან გამომდინარე?

— გასაგებია, რასაც მეკითხებით. ურთიერთდაპირისპირებული ეს ორი მხარე, აუცილებლად უნდა შერიგდეს. ჩვენ არა გვაქვს ერთმანეთის მიმართ უპატივცემულობის, მითუმეტეს სიძულვილის უფლება. სტუდენტობა, ყოველნაირად ვცდილობთ პოზიცია-ოპოზიციის შერიგებას, შერწყმას, ეს აუცილებლად მოხდება, დღეს თუ არა ხვალ მაინც.

სტუდენტთა ეს აქცია დაძაბულობას იწვევს ქალაქში. შეხვედრაზე დასმული საკითხები გადაწყვეტილი უნდა იქნეს არა უკიდურესი აქციების ფასად, არამედ მოლაპარაკების გზით. ჩემი აზრით, საქართველოს ხელისუფლებას დღეს კრიზაში ჩადგომა კი არა, თანადგომა ესაჭიროება. მე მგონი მათ ეს გაითვითცნობიერეს შეხვედრაზე. სულ მალე მოვა დრო, როდესაც სტუდენტობა ერთად დავდგებით ქართველი ერის სადარაჯოზე.

— ღმერთმა გისმინოთ.

●

დღევანდელი სტუდენტობა ის სტუდენტობაა, რომლის მხრებზეც გადაიარა ბევრმა პრობლემამ. სტუდენტობა ყოველთვის არის საქართველოში ეროვნული მოძრაობის დასაყრდენი, — გავყვირივართ ბევრი რამ შეგვძლებია და იმიტომ შემრიგებლები უნდა გავხდეთ, ესეც უნდა შევიძლოთ აუცილებლად.

სიმართლე აუცილებლად უნდა ითქვას, გაირკვეს მტყუან-მართალი. ნიშნის მოგებით არ ველაპარაკებით ოპოზიციას, მაგრამ ვინც 12 დეკემბერს მთავრობის სახლთან გამართულ მიტინგს ესწრებოდა, ადვილად გაარკვევდა, ვინ უფრო ახლოს დგას ჭეშმარიტებასთან.

დავფიქრდეთ, რას ჩავდივართ. ჩვენ ყველანი ამა სოფლის მხოლოდ სტუმრები ვართ. ჩვენ წავალთ, საქართველო დარჩება.

საქართველო ერთია, არ არსებობს „ჩემი“, „შენი“, არსებობს მხოლოდ ჩვენი საქართველო. ეს „ჩვენი“ არამცდაარამც არ უნდა იყოს გახლეჩილი. მამული ერთადერთია, მისი მსახურნიც ერთნი უნდა ვიყოთ.

გონს მოვეგოთ ქართველებო! სად მივდივართ ავტომატებით და ვის უნდა ვესროლოთ ეს ავტომატები ვის წინააღმდეგ?! ვისი ხელით ვკლავთ ქართველ კაცს?!

შერიგება გადაგვარჩენს, ერთიანობა გვიხსნის, მთლიანობა გაგვამარჯვებინებს და ეს დღე უფრო ამაღლებული, უფრო სასიკეთო იქნება, ვიდრე თავისუფლების მომტანი ნებისმიერი დღე.

ჩვენ ძლიერი ერი ვართ. ჩვენ გამორჩეული მოდგმისანი ვართ. ჩვენ სასწაულების მომხდენი ხალხი ვართ. ეშმაკიც ძლიერს ებრძვის დღემუდამ. და გვებრძვის სატანა ჩვეულებისამებრ. უსათუოდ უნდა დავამარცხოთ იგი, რამეთუ ჩვენში ზეციური ძალა არის უდიდესი.

**ზაირა მიქატაძე,**
**თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.**

# გვჭირდება კაზინო?!

პატივცემულო რედაქცია! დიდი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტეთ თქვენი შეწუხება, რადგან საქმე ახალგაზრდობის გადარჩენას ეხება. ვცხოვრობთ დიღმის მასივის IV კვარტალში. ჩვენი კორპუსების შუაში, თავისუფალ ტერიტორიაზე აშენდა პატარა შენობა, სადაც უნდა მოთავსებულიყო სათემო საბჭო. მის გარშემო იყო სპორტული მოედანი. შენობა აშენდა, მაგრამ საბჭოს მაგიერ იქ ადგილი დაიდო ე. წ. „ქიმერიონმა“. ჩვენ გვეგონა, რომ იქნებოდა ლიტერატურული შეხვედრები, მაგრამ შევცდით, ეს შენობა გადაიქცა ფულიანი ხალხის თავშეყრისა და ქეიფის ადგილად. იყო ჩხუბი, გინება, ვიდრე ვილაცა არ დაჭრეს და არ დახურეს. ჩვენ იმედი გაგვიჩნდა, მაგრამ, რაც გინდა, უარესი გაიხსნა. ორი თვის თავზე გახსნეს კაზინო, სადაც თავს იყრიან ქალაქის ფულიანი ბობოლები (და ასეთი კი ძალიან ბევრი ყოფილა, ისიც თანამდებობის პირები). საღამოს 5 საათიდან დაწყებული დილის 5 საათამდე აქ თავშეყრილი მანქანები და მოთამაშენი მოსვენებას გვიკარგავენ. თქვენ იცით, რომ დიღომი სულ სოფლებიდან ჩამოსახლებულებითაა დასახლებული და მათთვის (განსაკუთრებით ახალგაზრდობისთვის) ეს სიახლე ერთობ მიმზიდველია. მათ იქ მოხვედრის საშუალება არა აქვთ, რადგან მარტო შესვლა 300 მანეთი ღირს. ისინიც იძულებულნი არიან იქურდონ, იყაჩაღონ და ფული იშოვონ... აი, აქეთკენ უბიძგა ჩვენს შვილებს იმან, ვინც ნებართვა გასცა ამ კაზინოს გახსნისა.

კაზინოში მარტო ერთ ღამეს გათამაშდა 15000 მანეთი. ეს იმ დროს, როცა ამდენი გაჭირვებული, ლტოლვილი, სტიქიით დაზარალებული გვყავს, რომელთაც თავშესაფარიც არა აქვთ და კარიკარ დადიან დახმარების სათხოვნელად...

რადიო-ტელევიზია სისტემატურად შეგვახსენებს ელექტროენერგიის ეკონომიას და ამ კაზინოში კი უამრავი ნათურა ანთია დღე და [illegible] ვიდეოჩვენებებით?!. საიდან, რატომ?!.

გასაოცარი ისიცაა, რომ ამ კაზინოს იცავენ მილიცია და შეიარაღებული გვარდიელები.

განა ვართ იმ დონეზე (სოციალურად), რომ კაზინო გვქონდეს?! ქვეყანა ომის მდგომარეობაშია, ვშიმშილობთ და ამ დროს კაზინო?!

თქვენ იმიტომ გწერთ, რომ დღეს ახალგაზრდობის ქომაგად და გადამრჩენად გვეგულებით. გთხოვთ გულთან ახლოს მიიტანოთ ჩვენი გასაჭირი და რაიმე უშველოთ.

**ნ. ხარაძე, ზ. ბეჟანიშვილი, პ. იმნაძე, თ. ხაბაზარაძე, ლ. მაისურაძე.**
**დიღმის მასივის IV კვარტლის მცხოვრებნი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიცოდეთ ჩვენი ისტორია

# საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა



1917 წ. თებერვლის დემოკრატიულმა რევოლუციამ დაამხო მეფის თვითმპყრობელური რეჟიმი და იმედი მისცა იმპერიაში შემავალ არარუს ხალხებს მოეპოვებინათ ეროვნული დამოუკიდებლობა. პოლონეთში, ფინეთში, უკრაინაში, ბალტიისპირეთში იწყებენ ბრძოლას ეროვნული სახელმწიფოების შექმნისათვის. ოდნავ განსხვავებული მდგომარეობა შეიქნა საქართველოში. ზურაბ ავალიშვილის დაკვირვებით, რუსეთში თებერვლის რევოლუციის შემდეგ „ბუნებრივად მიმდინარეობდა საზოგადოებრივი აზრის პოლიტიკური კრისტალიზაცია თვით საქართველოში და მთელ რუსეთში გაფანტულ ქართულ კოლონიებში. ამ კრისტალიზაციის ღერძი სწორედ დამოუკიდებელი საქართველოს იდეა იყო, ე. ი. საქართველოში საკუთარი სახელმწიფოებრივი მმართველობის შექმნა. ოღონდ საქართველო უნდა დარჩენილიყო საერთო რუსულ სახელმწიფოებრივ კავშირში“.

საქართველოს პოლიტიკური პარტიების გაერთიანებისა და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის განსაკუთრებით აქტიურად იბრძოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. 1917 წ. აპრილში ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალ-დემოკრატიული პარტიების ინიციატივით შეიქმნა „ინტერპარტიული საბჭო“, ხოლო აგვისტოში შედგა ამ საბჭოს დამფუძნებელი კონფერენცია. „ინტერპარტიულ საბჭოში“ გაერთიანდნენ სოციალ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები, ეროვნული დემოკრატები და სხვა პოლიტიკური პარტიები, გარდა ბოლშევიკური პარტიისა.

1917 წ. 12 მარტს აღდგენილ იქნა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, რომელიც გაუქმებულ იყო საქართველოში რუსეთის ბატონობის დასაწყისში: სექტემბერში მოწვეულ სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებაზე არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

1917 წ. ნოემბერში ქართველ თავად-აზნაურობის საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება — მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება უსასყიდლოდ გადაეცათ ქართველი საზოგადოებისათვის.

ყოველივე ეს დღის წესრიგში აყენებდა ეროვნული ყრილობის მოწვევის აუცილებლობას.

1917 წ. 19 ნოემბერს თბილისში — „ინტერპარტიული საბჭოს“ ინიციატივით გაიხსნა საქართველოს ეროვნული ყრილობა. მას გადამწყვეტი ხმით 324 დელეგატი ესწრებოდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა (გარდა ბოლშევიკებისა) და ორგანიზაციებიდან.

ყრილობა „ინტერპარტიული საბჭოს“ სახელით გახსნა აკაკი ჩხენკელმა. იგი მიესალმა სტუმრებს სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან. პოლონეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. თავის შესავალ სიტყვაში მან აღნიშნა, რომ ეს პირველი ყრილობაა მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა. რუსეთში, განაცხადა ა. ჩხენკელმა, ყველა ერი თვითგამორკვევას და თავის ინტერესებს იცავს, საჭიროა ქართველი ერიც ამავე გზას დაადგეს.

ა. ჩხენკელმა შესავალი სიტყვის შემდეგ წაიკითხა „ინტერპარტიული საბჭოს“ მიერ შემუშავებული სია პრეზიდიუმის წევრებისა, ყრილობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნოე ჟორ[illegible]ნია.

დამ[illegible]ცებულ [illegible] იქნა ყრილობის [illegible]ლის [illegible]სრიგი: 1. თანამედროვე [illegible]მენტ[illegible] და ქა[illegible]თველი ერი. [illegible]ხსენება თავ[illegible]-ა[illegible]აურთა ქონ[illegible]ბის შესახებ. 3. მიმდინარე საკითხები (ერობა, ჯარის საკითხი, საბჭოს არჩევნები).

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა ნოე ჟორდანიამ. თავის სიტყვაში მან აღნიშნა, რომ საქართველოს ინტერესები გადახლართული იყო რუსეთის ინტერესებთან, ამდენად. „როცა ვარკვევთ ჩვენი ერის მდგომარეობას, გამოვდივართ რუსეთის საერთო ინტერესებიდან“. ნ. ჟორდანიას მიაჩნდა, რომ ახლა საქართველოს წინაშე იგივე დილემა იდგა, რაც ასი წლის წინათ, ე. ი. საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე: „ან დასავლეთი, მაშასადამე, რუსეთი ან აღმოსავლეთი... ჩვენმა წინაპრებმა გადაწყვიტეს გაშორებოდნენ აღმოსავლეთს და მიემართათ დასავლეთისათვის. დასავლეთისაკენ გზა კი გადიოდა რუსეთზე, მაშასადამე დასავლეთისაკენ სვლა ნიშნავდა რუსეთთან შეერთებას. ჩვენ ასი წელია ვდგავართ ამ ნიადაგზე“.

შემდეგ ნ. ჟორდანიამ ილაპარაკა იმ მოთხოვნილებათა შესახებ, რომლითაც უნდა წარმდგარიყვნენ რუსეთის დამფუძნებელი კრების წინაშე.

„ყველა პოლიტიკურ პარტიას, — თქვა ნ. ჟორდანიამ, — თავისი პროგრამა აქვს. მაგრამ ინტერპარტიულ საბჭოში ჩვენ შევთანხმდით ერთგვარ მინიმუმზე. უნდა მოვითხოვოთ, რომ საქართველოს მიენიჭოს სრული შინაური თვითმმართველობა, უნდა ჰქონდეს უფლება საკუთარ საჭიროებებზე გამოსცეს კანონები, უნდა ჰყავდეს თავისი ნაციონალური ადმინისტრაცია, თუ იმ დროისათვის იქნება რუსეთში ჯარი, აქ უნდა იდგეს ჩვენი ჯარი, თუ იქნება რუსეთში სისტემა მილიციისა, აქ უნდა მოეწყოს საკუთარი მილიცია. უნდა გვქონდეს სასამართლო, სკოლა, ერთი სიტყვით, უნდა მოხდეს ყველა დაწესებულებათა ნაციონალიზაცია“.

გრ. რცხილაძემ (ს. — ფედერალისტი) აღნიშნა ის საერთო ერთსულოვნება, რომელიც ნ. ჟორდანიას მოხსენებამ გამოიწვია. შემდეგ მან იმედი გამოთქვა, რომ საქართველო შესძლებს განახორციელოს თავისი პოლიტიკური მიზნები, გადაიქცეს პოლიტიკურ თვითმმართველ ერთეულად. „ჩვენ ს. — ფედერალისტები, დღიდან ჩვენი მოღვაწეობის დაწყებისა მომხრე ვიყავით, რომ გამონახულიყო საერთო ნიადაგი. ეს ხსრულდა დღეს, და ს. — ფედერალისტებმა გადაწყვიტეს ცალკე გამოსვლა არ მოამზადონ, ვინაიდან ის, თუ რა განსხვავებს ჩვენ — ყველამ იცის. ვუსურვებთ ქართველ ერს მიაღწიოს თავის მიზნების განხორციელებას“.

ს. — რევოლუციონერების სახელით ილაპარაკა გ. ნათაძემ: „საქართველოს მოქალაქენო! არის წუთები, როდესაც გრძნობ, რომ სიტყვა მეტია, აღფრთოვანება ისე დიდი და ძლიერია, რომ გინდა ხმა გაკმინდო, რადგანაც იცი, რომ ვერაფერს ვერ მიუმატებ არსებულ აღფრთოვანებას. 117 წელია რაც საქართველო, როგორც ასეთი, არ არ[illegible]ებობდა, იყვნენ მხოლოდ თფი[illegible]სისა და ქუთაისის გუბერნიის „ინორო[illegible]“ [illegible] გარ[illegible]დაიქცნენ [illegible] ერთ ძთლი[illegible] პოლი[illegible]ტიკურ ერთეულათ. ისტორიულად კავკასია მი[illegible]ტვოდა გა[illegible]ერთიანებისაკენ, მ[illegible] უხეში ძალა უშლიდა ხელს ამ გაერთიანებას. ამ მიზანს დღეს ანხორციელებს ახალი სიო, ერთა შორის სოლიდარობა. ამ ნიადაგზე ვდგევართ ჩვენც, იგი შეგვაკავშირებს ჩვენ. კავკასიაში უნდა დაარსდეს ინტერნაციონალი, რომელშიაც საქართველო შევა ტერიტორიულ ავტონომიურ ნიადაგზე. ჩვენი ფრაქცია ზედმეტად სთვლის რაიმე დაუმატოს მოხსენებას და სავსებით უერთდება მას“.

„ალიონის“ ჯგუფის სახელით გამოვიდა კ. ქარცივაძე. მან თქვა: „როგორც სოციალ-დემოკრატიული გაზ. „ალიონისა“ და მის გარშემო შემოკრებილ ჯგუფის წარმომადგენელმა უნდა განვაცხადო შემდეგი: ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა მიგველო მონაწილეობა კამათში, მაგრამ მომხსენებლის მიერ წარმოდგენილ რეზოლუციისათვის მაინც მხარი დაგვეჭირა. მაგრამ როცა მოვისმინეთ ამიერიდან ისტორიული, გამაერთიანებელი სიტყვა მომხსენებლისა, ჩვენ უარს ვამბობთ ჩვენს განზრახვაზე. დაქსასულ ქართველ ერს თავი მოუყარა დემოკრატიის მოძრაობამ, მან გააერთიანა ერი“.

ეროვნულ-დემოკრატების სახელით გ. გვაზავამ განაცხადა: „თუ დღევანდელი ამბით ვინმე გრძნობს ბედნიერათ თავს, უპირველესად ყოვლისა ჩვენი პარტია. ჩვენ ყოველთვის ვიბრძოდით მთლიანობისათვის. ნ. ჟორდანიას სიტყვა გვახარებს ყველას. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ შორის არ არსებობს უთანხმოება. მაგრამ ამ ჟამათ სავსებით უერთდებით მოხსენებას და არ გამოვდივარ სპეციალური განცხადებით“.

ზაქათალის ოლქის წარმომადგენელმა სულიმანოვმა აღნიშნა, მართალია, ზაქათალის ოლქი შედის მთიულთა კავშირში, მაგრამ ის ყოველთვის მეზობლურ[illegible] ქეთილგანწყობილებაში იქნება საქართველოსთან, რომ ზაქათალის ოლქის მცხოვრებნი ქართველებისაგან ისწავლიან თავისუფლებისათვის ბრძოლას.

მეტად მგზნებარე და შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა აჭარიდან ცივაძემ, რომელსაც დარბაზში მსხდომნი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ: „პატივცემულო ჩვენო ძვირფასო ძმებო, — განაცხადა მან, — პირველად ვადიდებ იმ უზენაეს და ყოვლისშემძლე ღმერთს, რომელიც ბრძანდება როგორც გამთიშველი, ისე გათიშული მოძრაობის შემრიგებელი, გულითად მადლობას გიძღვნით იმ დახმარებისათვის, რომელიც თქვენ აღმოუჩინეთ აჭარლებს ომის დროს. ამის მიზეზია ის, რომ ჩვენ დღეს თქვენთან ვართ აქ. დიდი მადლობა ძმური და ნაინამებრივი სიტყვისათვის, რომლითაც თქვენ მშვიდდებოდით სხვადასხვა ისტორიული პირობებით დაჭრილ და დამახინჯებულ ჩვენს გულს. მართალია, დაშორებული ვიყავით, მარა ფიზიკურათ დაშორებამ ვერ მოახერხა სულიერათ დაშორება. პირიქით დაგვიმტკიცა. რომ თუ თქვენთან არა ვართ, ჩვენი არსებობა შეუძლებელია. ჩვენ შეგვრჩა ქართული სული, ენა, ის სამშობლო, რომელმაც გამოზარდა ჩვენი გენიოსი შოთა, ის შოთა, რომელიც ტკბილ ჰანგებზე აგებულ „ვეფხისტყაოსნით“ ასწავლიდა მთელ კაცობრიობას ჩაგრულ-გვემულთა შევრდომას, რომელმაც სთქვა „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა, ვით ქვიტკირსაო“. მართალია, არიან ზოგიერთი ვაჟბატონები, რომელთა ხელობაა ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერა და ამბობენ, ვითომ ჩვენ სამხრეთისაკენ გვიჭირავს თვალი, მაგრამ ეს არ არის მართალი.

ჩვენ გვინდა დავრჩეთ საქართველოში და რუსეთის საშუალებით დავეწაფოთ დასავლეთის კულტურას.

შემდეგ ორატორმა მოიყვანა მთელი ტაეპი აკაკის „ღამურადან“

„კრულია მისი ხსენება
ვინც [illegible] დედა-ენას:
თვის ტომს [illegible] და მით
თვით ფიქრობს მაღლა
ფრენასა“...

დიდი დისონანსი შეიტანა ბოლშევიკი ფილიპე მახარაძის სიტყვამ: „ყველას პირადად დიდ პატივს გცემთ, — განაცხადა მან, — მაგრამ იძულებული ვარ განვაცხადო, რომ აქ თავი მოგიყრიათ მკვდარი და მომაკვდავი ორგანიზაციის რწმუნებულებს, ამიტომ აქ არ გაისმის რევოლუციის მამოძრავებელი ძალების—მუშათა კლასის, გლეხების და ჯარისკაცთა ხმაო“.

ფ. მახარაძის ყველა დებულება დამაჯერებლად გააბათილა ნ. ჟორდანიამ თავის საბოლოო სიტყვაში: „მახარაძემ სთქვა, არა მგონია ნ. ჟორდანიას ღირსებას რაიმე მოუმატოს იმ გარემოებამ, რომ მის მოხსენებამ აქ გააერთიანა ყველა პარტიებიო. მე ვიტყოდი, რომ ეს სწორედ დიდი ღირსებაა მაგრამ მე ამას ჩემს თავს არ მივაწერ, ეს თვით პარტიის ღირსებით უნდა ჩაითვალოს. ჩვენ თავიდანვე გვინდოდა ნაციონალური კითხვის, ე. ი. ისეთი კითხვის, რომელიც მთელს ნაციას ეხება, გადაჭრა შეთანხმებით და არა ბრძანებით. ჩვენ ვიბრძოდით მაშინ, როცა პრესაში, ლიტერატურაში ვიკვლევდით მას. დღეს სიტყვის დრო წავიდა. დღეს საქმის კეთების დროა, დღეს ღვევის და შენების დროა და რასაც დღეს ვერ მოვასწრებ, შეიძლება ვერასოდეს ვერ მოასწრო იგი. საჭირო და სასურველია არა მარტო ნაციონალური ძალების შეთანხმება ამ საკითხის გარშემო, ჩვენ გვინდა ერების შეთანხმებაც. და მაკვირვებს, როცა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი გამოდის ამ ელემენტარულ ჭეშმარიტების წინააღმდეგ და დაობს.

ფ. მახარაძე გვირჩევს მხარი დავუჭიროთ ლენინის მთავრობას. ეს ავანტურა იქნებოდა. ლენინის მთავრობა არ უცნია არც ერთ ერს, იგი არ უცვნია არც თვით რუსეთის ერს) ეს რომ ასე არ ყოფილიყო, დღეს რუსეთში სამოქალაქო ომიც არ იქნებოდა. ახლა ვედათოთ ჩვენც, მოვექცეთ ამ სამოქალაქო ომში და თუ რას ნიშნავს ეს თქვენ კარგად იცით. ჩვენ ვიცნობთ იმ მთავრობას, რომელსაც იცნობს რუსეთი. მახარაძე კი სეპარატულ გზას ადგია, რუსეთს არ უცვნია ლენინის მთავრობა და ჩვენ ვიცნოთ ეს ავანტურაა და ამ გზაზე შედგომა ერს დაღუპავს. მახარაძე აცხადებს. რომ ისინი მომხრენი არიან ერთა თვითგამორკვევის. მაგრამ ეს სიტყვებით და როცა ჯერი საქმეზე მიდგება, ისინი არასოდეს არ უჭერენ მხარს ერთა თვითგამორკვევის უფლებას. სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უდევს დიდი ზღვარი!

ყრილობის მუშაობის უკეთ წარმართვის მიზნით ჩამოყალიბებულ იქნა შემდეგი სექციები: 1. ეროვნული საკითხის სექცია — თავმჯდომარე ივ. გობეჩია; 2. საერობო რეფორმების — თავმჯდომარე გ. მაჩაბელი; 3. ჯარის ნაციონალიზაციის — ი. გედევანიშვილი; 4. სკოლისა და უნივერსიტეტის — თავმჯდომარე — გ. ნათაძე (ამ სექციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო პროფ. ივ. ჯავახიშვილმა); 5. ადმინისტრაციის — თავმჯდომარე გ. გიორგაძე; 6. იუსტიციის — შ. მესხიშვილი; 7. საფინანსო — ნ. ნიკოლაძე; 8. სასურსათო — თავმჯდომარე — ილ. ქარცივაძე; 9 თავად-აზნაურობის ქონების საკითხის — აკ. ჩხენკელი.

21 ნოემბერს პლენარულ სხდომაზე, რომელსაც ნ. ჟორდანია თავმჯდომარეობდა, თავად-აზანაურთა კოლექტიური ქონების შესახებ მოხსენება გააკეთა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალმა კოტე აფხაზმა.

29 ოქტომბრის დადგენილებით. — განაცხადა კოტე აფხაზმა, — თავად-აზნაურობის ქონება უსასყიდლოდ გადაეცა ქართველ ხალხს. შემდეგ მან ილაპარაკა ამ ფაქტის ისტორიულ მნიშვნელობაზე და ამ ქონების წყაროებზე. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ დღეს მთელი ეს [illegible]-მოძრავი ქონება წელიწადში [illegible] მილიონ მანეთ შემოსავალს.

კოტე აფხაზის მოხსენების შემდეგ ნ. ჟორდანიამ შემდეგი სიტყვებით მიმართა ყრილობას: „მე მგონია, თქვენს სურვილს გამოვსთქვამ, თუ ვიტყვი, რომ პირველი ეროვნული ყრილობა უცხადებს ქართველ თავად-აზნაურობას მადლობას იმ ძღვენისათვის, რომელიც მან ქართველ ერს უძღვნა. ყრილობა იმედს გამოსთქვამს, რომ ქართველი თავად-აზნაურობა გაითქვიფება ქართველ ხალხში, ამოუდგება მას გვერდში და ერთად გასწევენ ჭირსა და ლხინს. ამიერიდან საქართველოში პრივილეგიური წოდება აღარ არსებობს“.

ყრილობაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე მოეთხოვათ საქართველოსათვის ფართო თვითმართველობა, რათა მიეღოთ უფლება გამოეცათ საკუთარი კანონები, შეექმნათ ეროვნული ადმინისტრაცია, ჯარი, სკოლა, სასამართლო. საქართველოს ეროვნულითვითგამორკვევა უნდა განხორციელებულიყო რუსეთის ფარგლებში პოლიტიკური ავტონომიის აღიარებით. ყრილობის დროს ცხარე კამათი გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. ბევრი ფიქრობდა, რომ ეს საკითხი მომწიფებულია. ზოგი კი თვლიდა, რომ ამისათვის ჯერ კიდევ არაა ხელსაყრელი პირობები.

ყრილობამ აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრები მენშევიკებიდან — ნ. ჟორდანია, აკ. ჩხენკელი, სილ. ჯიბლაძე, ევგ. გეგეჭკორი, ნ. რამიშვილი, ვლ. ჯუღელი, დ. ონიაშვილი, პ. აბაშიძე, კ. გვარჯალაძე, ს. მაისურაძე, ა. ჭიაბრიშვილი, პ. გელეშვილი, რ. არსენიძე, ბ. ჩხიკვიშვილი, ნ. ელიავა, მ. ტოროშელიძე, ს. ჯაფარიძე, გ. ურატაძე, ა. ფარნიაშვილი, გ. გიორგაძე, ვ. როგავა, კ. კლიმიაშვილი, ვ. თევზაია, ე. სირბილაძე, ნ. ხომერიკი.

სოციალ-ფედერალისტებიდან — გ. ლასხიშვილი, გ. რცხილაძე, შ. მესხიშვილი, ი. გედევანიშვილი, ს. ფირცხალავა, დ. უზნაძე, ი. ბარათაშვილი, ი. ბაქრაძე, ი. მდივანი, ა. წერეთელი.

ეროვნულ-დემოკრატებიდან — ნიკო ნიკოლაძე, გერონტი ქიქოძე, ი. დადიანი, გ. ჟურული, გ. გვაზავა, შ. ამირაჯიბი, გ. მაჩაბელი. ს. კედია, გრ. ვეშაპელი.

სოციალ-რევოლუციონერებიდან — კ. მესხი, ვ. გობეჩია, გ. ნათაძე, ვ. ჩურქეზიშვილი, იოსებ გობეჩია, ივ. გობეჩია.

„ალიონის“ ჯგუფიდან — პ. ქარცივაძე, ი. გომართელი, ნ. ქარცივაძე, პ. საყვარელიძე.

რევოლუციონერ-დემოკრატებიდან — დ. ჩიქოვანი.

უტოპისტებიდან — კ. აფხაზი, კ. მაყაშვილი.

აჭარიდან — ჯიბილ ბეგ ხიმშიაშვილი, მეჰმედ ბეგ აბაშიძე, რეჯებ ნიჟარაძე.

აფხაზეთის, ზაქათალის ოლქსა და ოსებს ყრილობის დამთავრების დროისათვის თავიანთი კანდიდატები არ დაუსახელებიათ.

26 ნოემბერს ეროვნულ საბჭოს სხდომაზე არჩეულ იქნა, 15 კაცისაგან შემდგარი აღმასრულებელი კომიტეტი, ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. მის შემადგენლობაში შევიდნენ სოციალ-დემოკრატებიდან 8 კაცი: ნ. ჟორდანია, აკ. ჩხენკელი, სილბ. ჯიბლაძე, ნ. რამიშვილი, ალ. ლომთაძე, ჰაიდარ აბაშიძე, ალ. ფარნიაშვილი და პ. საყვარელიძე.

„ალიონის“ ჯგუფიდან კანდიდატები: — პ. გელეშვილი, ან. ჭაბიაშვილი, ი. წულუკიძე და კ. ქარცივაძე.

სოციალ-რევოლუციონერებიდან — 2 კაცი: ვლ. გობეჩია და კ. მესხი. სოციალ-ფედერალისტებიდან — გრ. რცხილაძე და ი. გედევანიშვილი. კანდიდატები: ი. ბარათაშვილი და დ. უზნაძე. ეროვნულ-დემოკრატებიდან: გ. გვაზავა და გრ. ვეშაპელი. სამაჰმადიანო საქართველოდან მეჰმედ ბეგ აბაშიძე.

ჩვენი დაკვირვებით. ყრილობის მიერ არჩეული ეროვნული საბჭო, ფაქტიურად, საქართველოს რესპუბლიკის გამოცხადებამდე (1918 წ. 26 მაისი) ასრულებდა პარლამენტის ფუნქციას, ხოლო აღმასრულებელი კომიტეტი კი — მთავრობის.

ამრიგად, შეიქმნა ეროვნული დაწესებულება, რომელსაც, ჯერ კიდევ არ გააჩნდა რეალური ძალაუფლება, მაგრამ მოწოდებული იყო მომავალში გა[illegible]დ[illegible]იყო საქართველოს ხელისუფლების დამფუძნებელი.

**მიხეილ სვანიძე,**
**პროფესორი.**

ვიცოდეთ ჩვენი ისტორია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მინდა სიყვარული გთხოვო...



მე ახლა მხოლოდ გნატრობ... ბედნიერებაა მონატრება საყვარელი ადამიანისა... უდიდეს სიამოვნებას განვიცდი ამ ნატვრის გამო.

დილაა...

წვიმს.

ისევ ძილ-ღვიძილში ვარ, მინდა გავიხსენო ცისფერი სიზმარი... შენი სახე რომ მედგა თვალწინ, ლურჯი თვალები... თითქოს ისევ ჩემს გვერდით ხარ... მერე თანდათან დაცარიელდა ქვეყანა და დავრჩი მარტო...

გამომეღვიძა.

ვწრიალებ. ადგილს ვერ ვპოულობ.

ზედად, საღამოს ერთ-ერთ წვეულებაზე ცხადად გიხილე. ბარიდან მთაში ავარდნილ მყვირალ ირემს ჰგავდი. თავმომწონე, ამაყი, ამპარტავანი, მაგრამ ნალველიც მოგქონდა. დაგინახე და მუხლები ამიკანკალდა. შენც ხარბად შემათვალიერე. მომეჩვენა რომ ეს მუშტრის თვალი იყო. ქალები გამომწვევად გიმზერდნენ.

მზერას მარიდებდი, მაგრამ იმასაც ვგრძნობდი, ზოგჯერ როგორ შემომაპარებდი ზღვისფერი თვალების სითბოს, რომელიც ნელ-ნელა ქრებოდა. როგორ მინდოდა მეთქვა სიმართლე, რომ შენთვის სიცოცხლეს დავთმობდი, მაგრამ ვერ გავბედე.

დავშორდით ერთმანეთს... შენ სხვა გააცილე. მე დავრჩი მარტო. გაძარცვულ ხეს ვგავდი...

ახლა კი, ჩვენი ქალაქის ქუჩებში დაგეძებ. დავეძებ შენს ლურჯ, დიდრონ, სიცოცხლით სავსე თვალებს.

ძლიერი ხარ! დიდი და კეთილშობილი! ამავე სიძლიერით მიყვარხარ... თითქოს ვგრძნობ, რომ ისევ მეფერებიან შენი თითები. სიცოცხლის ხალისს მიბრუნებს ეს მოგონება.

მენატრები...

მახსოვს ერთხელ, როცა ეკლესიაში შევედით, მათხოვარს მთლიანად მიეცი ჯიბის ფული. როგორ მეამაყებოდი ასეთი საქციელით, ამას ყველაფერს შენგან დამოუკიდებლად, ბუნებრივად, ბავშვური გულუბრყვილობით აკეთებდი.

სიყრმე... ჩვენი ბავშვობა ჩემი დილის სიზმარივით გაფრინდა. როგორ მინდა ერთხელ მაინც განახო და რაიმე მითხრა საიმედო. ძველებურად მესაუბრო პოეზიაზე. თეატრზე, კინოზე, მუსიკაზე, ლიტერატურაზე.

ვიცი, რომ გული გატკინე, ცუდად მოგექეცი, ახლა ვხვდები რომ გაწყენინე. როგორ მიმზერდი მაშინ, როცა დავშორდით... როგორი სევდიანი თვალები გქონდა. ნუთუ გიყვარდი? სული მოგტირის, ჩემი ფაქიზი, ნაიარევი სული.

ამ წმინდა ბარათით მინდა სიყვარული გთხოვო. უშენოდ ყველაფერი მოსაწყენია. ზოგჯერ თვითმკვლელობამდეც კი მივდივარ, მაგრამ ამას ხომ დიდი სიძლიერე სჭირდება, რომელიც მე არ გამაჩნია. სუსტი ვარ. ამის გამო საკუთარი თავი მებრალება.

ერთხელ ძალიან დიდხანს გიმზერე თვალებში, მინდოდა შენი სული ამომეცნო, მაგრამ ვერ მოვახერხე ეს. ვერ ჩაგწვდი. ვერ შევავსეთ ერთმანეთი. ნეტავ ახლა რას ფიქრობ ჩემზე?

საბოლოოდ მაინც წაზვედი... მიდიოდი მხრებჩამოყრილი, სევდიანი, უიმედო, მაგრამ სიამაყე მაინც არ გაგიყიდია.

ჩვენი დაშორება ჩემი მიზეზით მოხდა. მეგონა ყველაფერი მშვიდად ჩაივლიდა, მაგრამ არა, გულმა ვერ დაგთმო. მეგონა ყველა წყენა დაგავიწყდებოდა, მაგრამ მწარედ შევცდი. მეგონა შევრიგდებოდით. სიყვარულის დროს ასე იციან, მაგრამ შენ არ მაპატიე...

დღეს შენი დაბადების დღეა... ნეტავ ვისთან ხვდები ამ დღეს? მე კი ვზივარ სუფრასთან, ახალგაცნობილ კავალერთან და შენზე ვფიქრობ... ის ცდილობს და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ რამეთი გამახალისოს, მაგრამ ჩემი ფიქრები ისევ შენკენ გარბიან, და უფრო სევდიანი ვხდები. აქ ახალგაცნობილის მეგობრებიც სხედან. სევდა ყველას გადაედო. მე ისინი ყველანი მეზიზღებიან, უბრალოდ უშენობით დროს ვკლავ. თვალები ცრემლებით მევსება... ვსვამ შენს სადღეგრძელოს და ვტოვებ იქაურობას.

ვერ გაგიფრთხილდი, მეგონა დაგივიწყებდი, მაგრამ რაც დრო გადის, მით უფრო უახლოვდები ჩემს გულს და ერთბაშად ვნანობ შენს დაკარგვას. თუ ოდესმე მოგენატრო, შეხედე მზეს და იქ ჩემს სითბოს დაინახავ. ღამე კი, მთვარეს და იქ ჩემს ერთგულებას დაინახავ.

ჩუმად ვიცრემლები...

მესამე დღეა წვიმს დედაქალაქში. აქ ყველაფერი შენს თავს მაგონებს. მარტო ვარ, მიუსაფარი...

სად წავიდა ჩვენი წმინდა სიყმაწვილე? მთაში დაკარგული წყაროს წყალივით რომ დავკარგეთ... ღმერთია მოწმე რომ არ მინდოდა ამ წყაროს გაქრობა. ჩვენი სიწმინდეც იმ წყაროს წყალივით კამკამებს.

მიხარია რომ შენ არსებობ ამქვეყნად.

სიტყვაძვირი იყავი მუდამ. თუმცა რა აზრი ჰქონდა სიტყვას, როცა შენი თვალები ყველაფერს ლაპარაკობდნენ.

ჩვენი საერთო მეგობრებიც მენატრება. რა კარგები არიან. ტკბილად მაგონდება მათთან გატარებული დღეები.

ჩემი გამოცდილებიდან მინდა რჩევა მივცე ახალგაზრდებს, გულს ნუ ატკენენ ერთმანეთს, გაუფრთხილდნენ წმინდა გრძნობებს, სიყვარულს. ხელი არ ჰკრან, სითბო არ მოაკლონ საყვარელ ადამიანს, რათა ცოტა მაინც გაუადვილონ ისედაც გაძნელებული წუთისოფელი.

მე ისევ შენით ვამაყობ. რადგან ერთდროს შენს გვერდით ვიყავი. შენეული ბევრი რამ გამომყვა, სევდის ნაწილი, ღიმილი... შენი სიკეთის ნაწილი, თვალების ფერი...

მთელი დღე გზააბნეულმა ქუჩაში ვიხეტიალე და საღამოს მაინც დაგირეკე, ვერ მოვითმინე. შენი ხმის გაგონებას დავშურდი...

ძალიან მომენატრე.

თუმცა ტელეფონში არაფერი მითქვამს. შენი სუნთქვა მესმოდა მხოლოდ და მეშვიდე ცაზე ვიყავი სიხარულით.

რა კარგი იქნებოდა სამყარო, ადამიანები ქვეყნად მხოლოდ სიკეთისათვის, სიყვარულისათვის რომ არსებობდნენ.

ისევ წვიმს...

ფანჯარასთან ვდგავარ. ცრემლებივით ჩამოეკიდა მინას წვიმის წვეთები. სარკმლიდან წყნეთის სოფარი მოსჩანს...

გარბიან ადამიანები. წვიმის ეშინიათ... წვიმა იმ დროს იყო კარგი, როცა ერთად გვასველებდა, რა ბედნიერი ვყოფილვარ მაშინ... როგორ მინდა ქუჩაში ახლაც დაგინახო ერთიანად დასველებული, მაგრამ აუჩქარებელი, უშიშარი, როგორც გჩვევია ხოლმე.

გელოდები...

მე ხომ სიყვარული გთხოვე...

**ლანდა მასხულია.**

# „ფრესკების" ვედრება-გალობანი

„ჩვენ გვსურს სამშობლო თავისუფალი, ღმერთო გვისმინე, გვისმინე, ამინ..." ასე მღეროდნენ იმ დღეს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართულ კონცერტზე თეატრ-სტუდია „ვახტანგკონცერტთან" არსებული ვოკალური ანსამბლ „ფრესკების" (ხელმძღვანელები მედეა ხუხუნაშვილი და გოჩა გოჩიაშვილი) ნორჩი შემსრულებლები.

კონცერტზე მოსული უამრავი მსმენელი და გულშემატკივარი პატარა „ფრესკელებმა" ნამდვილად გაახარეს თავიანთი შემოქმედებით. ანსამბლის თითოეულმა მონაწილემ მაყურებელთა წრფელი ტაში დაიმსახურა იმ სიმღერებისა და ცეკვებისათვის. უნდა ითქვას, რომ მათი გარკვეული ნაწილის ავტორები თავად ანსამბლის ხელმძღვანელები არიან. ქორეოგრაფია კი ეკუთვნის ბიჭიკო გაწერელიას.

„ფრესკებმა" ნამდვილად მშვენიერი საღამო აჩუქეს დამსწრეებს. უნდა ითქვას ისიც, რომ კონცერტს ესწრებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის მწერალთა დამოუკიდებელი ასოციაცია „გულანის" წარმომადგენლები, რომლებმაც იქვე სცენაზე აღნიშნეს „ფრესკების" მაღალმხატვრული დონე და კონცერტის ყველა მონაწილეს საჩუქრად გადასცეს ასოციაციის მიერ გამოცემული საბავშვო წიგნები და დაულოცეს გზა შემდგომი წარმატებებისაკენ.

უდაოდ მადლობის ღირსია ანსამბლის ყველა მონაწილე. პირველ რიგში, კი მათი ხელმძღვანელები მედეა ხუხუნაშვილი და გოჩა გოჩიაშვილი. სულ ორი წელი გავიდა ანსამბლის შექმნიდან, მაგრამ ნიჭიერი პედაგოგების ხელდასმით უკვე მრავალი წარმატებაა მიღწეული და მრავალიც წინ ელოდებათ. აკი ანსამბლის სამომავლო პროგრამაა — „ჩვენ მომავლები ვართ". მომავალი მართლაც საინტერესო აქვთ, რადგან ანსამბლის ყველაზე პატარა მონაწილე ჯერ ხუთი წლისაც კი არაა. ამ მცირე ხანში ანსამბლის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს მრავალ სატელევიზიო გადაცემასა და კონკურსში. ჩატარებული აქვთ საქველმოქმედო კონცერტები მიწისძვრით დაზარალებულ რაიონებში და სხვა.

ამჟამად „ფრესკები" ემზადება საზღვარგარეთ გასტროლებზე გასამგზავრებლად.

**ლალი ზანგალაძე**

**ჯანო დემეტრაშვილის ფოტო**



## ყურადღება!

პირველად საქართველოში გამოიცა წიგნი „საქმოსნები და თაღლითები", ეს არის მსოფლიოში ცნობილი და ყველაზე უფრო გახმაურებული ძარცვის, ყაჩაღობის, მოტყუების, თუ ექსპროპრიაციის 5... დოკუმენტური ფაქტის ორტომეული.

ქართველი მკითხველისთვის პირველად ქვეყნდება დღემდე უცნობი ამბავი იმის თაობაზე, თუ როგორ გამოიტანა და მიითვისა ესპანეთის სამოქალაქო ომის დაწყების წინ სტალინმა ესპანური ოქროს მარაგის ძირითადი ნაწილი.

აქვე დეტალურადაა მოთხრობილი ინგლისში მომხდარი საფოსტო მატარებლის გატაცების ამბავი, რომელიც „საუკუნის ძარცვის" სახელწოდებითაა ცნობილი.

ამ სენსაციურ 51 შემთხვევაში შესულია თბილისელი სომეხის ეშმაკობის ფაქტიც.

ასე რომ, იჩქარეთ, წიგნის შეძენის მსურველებს შეუძლიათ მოგვმართონ მისამართზე: ლერმონტოვის 18 „ახალგაზრდული ინიციატივის ფონდი". ტელ.: 93-67-06.

## ყურადღება!

ახლოვდება საახალწლო დღესასწაული. კულტურის სახლებში, სკოლებში, საბავშვო სახლებსა და დაწესებულებებში მრავალი საახალწლო მასობრივი ნაძვისხე აკიაფდება.

ყველა ხელმძღვანელს შევახსენებთ, რომ სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საახალწლო ნაძვისხის მოწყობა შეთანხმებული უნდა იყოს ადგილობრივი სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებთან.

სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ობიექტების ხელმძღვანელებს.

სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის [illegible] კონსულტაციისათვის მიმართეთ ადგილობრივ სახანძრო დაცვის ორგანოებსა და სახანძრო საზოგადოების გამგეობებს.

**საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველო.**

**საქართველოს სახანძრო საზოგადოება.**

## ვყიდი

ერთსართულიან გასარემონტებელ აგურის ოთხოთახიან კერძო სახლს ყველა სათავსოთი; ორი დიდი სარდაფით, ტელეფონით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით, დიდუბეში სტადიონთან ახლოს. ცნობებისათვის გთხოვთ დარეკოთ: 22-46-58.

## ვქირავებ

ნახევარსარდაფს ან სარდაფს კომერციული საქმიანობისათვის. სასურველია ვაკის რაიონში. გთხოვთ დარეკოთ ტელეფონზე: 30-03-46 (ზვიადი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ის იყო მარტო, უფრო მარტო...“



ამ სტრიქონების ავტორი, ირაკლი კოსტავა, დღეს ცოცხალი აღარ არის. ჯერ კიდევ ყმაწვილკაცმა, საკუთარი ნებით თქვა უარი ჩვენს შორის ცხოვრებაზე, ვეღარ გაუძლო სულიერ ტკივილებს, სულიერ ტრაგიზმს, გაგვეცალა და სამუდამოდ გაგვშორდა მარადიულ საუფლოში განსასვენებლად, დაგვტოვა მხოლოდ საიდუმლოებით მოცულ ირეალურ პიროვნებასთან, რომელიც ყოველ წამს შეგვახსენებს ხოლმე თავს, როგორც კი ხელში ავიღებთ ლექსების პატარა კრებულს. ახდა ახალგაზრდა პოეტის წინასწარმეტყველება. დრომ მოიტანა და დღეს მის ლექსებს მხოლოდ „ვიღაც“ კი არა, მთელი საქართველო კითხულობს, კითხულობს სხვადასხვა თაობა. მეც პირველად მომეცა საშუალება ირაკლი კოსტავას ლექსები წამეკითხა და მის სულიერ სამყაროს ჩავწვდომოდი. ამ სულიერი სამყაროდან გამოყოლილი შთაბეჭდილებები ვცადე ჩემს წერილში გამომეხატა.

იმ დროს, როდესაც მთელ თბილისს პირზე ეკერა მოულოდნელი სიკვდილი ახალგაზრდა კაცისა, ალბათ უფრო მისახვედრი და ადვილად მისაწვდომი იქნებოდა მიზეზიც ყმაწვილის სულისა, ბორგვა და ფორიაქი ეული ადამიანისა, გრძნეული ტატო ბარათაშვილივით ღამის იდუმალ ხევულებში რომ იკარგება და მწარედ დასტირის საკუთარ თავს;— ტარა უფლისწულის მსგავსად, საკუთარ თავისუფლების კუნძულთან გამოთხოვებაც ვერ მოასწრო... ირგვლივ მხოლოდ მარტოობის ვიწრო ჩარჩოები, ამაოებისთვის მიგდებული სული... ყოველი ფეხის გადადგმაზე რეჟიმი, რეჟიმი... შინ და გარეთ მხოლოდ სიცარიელის მეუფება, დამონებული პიროვნება, დათრგუნვა გულწრფელობისა, ბორკილი სინანულისა, მხოლოდ სიცივე და ახალგაზრდული ქედმაღლობების დაოკება. როდემდე გაძლებს სული ამ სიცარიელეში, როდემდე აიტანს დამზრალი მიწის უნაყოფობას, ვინ მისცემს შვებას,— „ხალხი არა ხართ?, რა დაგიშავეთ, ხომ შეგიძლიათ უჩუმოდ იყოთ? დარჩენილ ფერებს ნუ გამიშავებთ, ჭკუის სწავლება აღარ დამიწყოთ“... წამოსცდება ახლობელთა მზრუნველობისგან გაფითრებულ ყარიბ პოეტს. ეს არის კივილი ზრდადასრულებული, გრძნობამოჭარბებული ახალგაზრდა კაცისა, რომლისთვისაც:

**„უაზროდ ყოფნა ჯობია**
**გეგმებს**
**აწყობილს ზუსტი საათივით“...**
**[illegible] მართლა გლეჯა**
**როდია,**
**უცებ გაქრება ათინათივით“...**

და [illegible] წამოსცდება, გრძნობს, მართლაც როგორ ყირაზე დგას და დამოუღუპველ უფსკრულში მიექანება მისი ყოფიერების გამზიარებელი „ვის შევჩივლო მარტოობა სულისა“... ანუ — „სად არის მალამო, წყლულებს რომ გააქრობს, მოდით, მეგობრებო, კარებთან მოგელით“...

მეგობრები კი, როგორც ყოველთვის ბედისწერის საზღვარზე იგვიანებენ და მხოლოდ მერე, ტრაგედიისგან გაოგნებულებს, სასოწარკვეთით აღმოხდებათ!

— ირაკლი მოკვდა?!

დაუჯერებელი, მოულოდნელი ელდა გაფატრავს გულებს, მაგრამ შემრიგებლური სტრიქონი „მომლიმარრითმებიანი მეგობრისა“ აწმყოსთან შეარიგებთ და სინანულით გაიმეორებს ცხოვრების ფილოსოფიასთან წილნაყარ ჭაბუკის პოეტურ სიტყვებს:

**„მოხევა, შემოხევა და წაგება**
**ყველაფერს გადავიტანთ,**
**სიკვდილის ნაპირთან გემი**
**მოდგება**
**ამასაც ავიტანთ!“**

რამხელა სიმშვიდე და მიმტევებლური უბრალოებაა ჩაქსოვილი ამ პატარა სტრიქონებში. **რა უნდა წაგლიჯოს ცხოვრებას, საკუთარი თავის გარდა. რას უნდა მოელოდეს უსახელო პოეტი თავისუფლების გაუცნობიერებელი სურვილების გარდა, რა უნდა გამოსტყუოს სულს?** მან ხომ პაჰრელი სამყარო, საზოგადოება, რომლის გვერდით ის ცხოვრობს და იტანჯება.

— ო, ჩემო ბედკრულო ქვეყანავ! — გმინავს ბორკილებში ჩასმული სული „თავისუფალი მონისა:“ ირგვლივ მხოლოდ ბიუროკრატიული იერარქია, ჩინოვნიკური რეჟიმი იმპერიისა, ადამიანები მფრთხალნი და საკუთარ კეთილდღეობაში ჩაფლულნი.. მხოლოდ განცხრომა, ფუფუნება, სტომაქი. „სურვილების ასრულება“, ქაოსური ქოტურობა სულგაყიდული კაენებისა, ალზევება სკამიდან სკამებზე, ხალხი ქედწახრილი, მორჩილი, დაბეჩავებული, სიმძღრით ავსილი:

**მკვდარი ქალაქი დაჩოქილი,**
**მიუსაფარი**
**სიცოცხლე ორად გაპობილი**
**და ისევ უბედობა ჩვეული...**
**გაუცხოება,**
**სიბრალული,**
**ცხოვრების გზაზე გადაფენილი**
**შეფერხებული ალტაცება**
**და სადღაც საბოლოოდ**
**წათრევა...**

საკვირველია სული ახალგაზრდა კაცისა. მისი შემოქმედება ხანდაზმულობის სამკუთხედშია გავლილი და გამოვლენილი... ცა და დედამიწაა!... სულის ფრაგმენტია სიცოცხლისუნარიანი, ჭაბუკური ქარტეხილებით მოჯადოებული პოეტურობისა:

**„აღარ ელიან ჩემგან არაფერს**
**ცხვირწინ მიხევენ ციხფერ**
**ბარათებს...**
**დაგორდა ბავშვობა ჩატეხილ**
**კიბეზე**
**აკორდი ავიღე დაწყვეტილ**
**სიმებზე...“**

რას ნიშნავს ეს სითამამე, ეს სულმოუსწრაფებელი სიტყვიერება, საიდან მოედინება მგრძნობიარება შემოქმედისა, ნუთუ „მართლა მძიმე სენია ლექსები ტანზე გამონაყარი“... ეს ხომ საოცრებაა, არსებულ სინამდვილესთან დაუმორჩილებელი, „ტანზე ლექსებგამონაყარი“ ჭეშმარიტი მუზის მსახურისა. საიდან მოდის სინამდვილე? საიდან იღებს სათავეს აზრთა ლაკონური პროპორციები ლექსთა წყობისა, პრიმიტივიზმის მაგიურობა, საიდან იღებს სათავეს იდილიურობა ერაზისა...

„მომღიმარ რითმებიანი“ პოეტი ერთი შეხედვით თითქოს მართლაც ეთამაშება ძველ, ნაცად ბეზერ რითმებს, „გაკვალული გზა“ ურჩევნია, კლასიკური ლექსის ტრადიციებს მიჰყვება, თითქოს არც ეძებს, მაგრამ მალე თავისით შემოცურდება ახალი რითმა, გაჰკვეთს კალმის წვერს:

**„მაგრამ ჯერ მოდის, ჯერაც**
**გზაშია,**
**ჯერ არ მოსულა და**
**მალოდინებს,**
**ცოტაც მოიცათ, ბებია ქალი**
**ახალ ღვთისმშობელს**
**მოალოგინებს...“**

„ახალი ღვთისმშობლის“ რწმენა და იდეალი განუყოფელია ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებაში. ბავშვური უშუალობა და სილაღე, მომხიბლავი, მაგრამ ერთგვარად მჭმუნვარე, აბსოლუტიზმში გაურკვეველი, შეწუხებული მორწმუნის ლალადისი გამოსჭვივის სტრიქონებში: „არ აშენდება:

**„წყლისგან ტაძრები**
**პატარა გუბე ისევ ივსება“.**

— „წყლისგან ტაძრები“!. არარაობისგან არარაობა! უზენაესის შეუცნობელობა, ყმაწვილური გულის რელიგიურ-მისტიკური ფუესვიანობა იგრძნობა სტრიქონებს შორის...

— „მგოსნები სულ სხვა ვარსკვლავზე დაბადებული ხალხია, ამ ხელოვნებას მართლაც რომ რაღაც საოცრება სჭირს“... —ამბობს იდუმალებათა მეუფე, ცისფერი ყვავილის მესაიდუმლე ფრანგი პოეტი, ხოლო საქართველოში, „სულ სხვა ვარსკვლავზე დაბადებული“ ახალგაზრდა კაცი, კვლავ ელეგიასა და მჭმუნვარებაში ეძებს „განკითხვის დღეს“.

**„მოდის ულმობელი წუთი,**
**მის იქუ[illegible]ითხვის დღეა,**
**გაწყდება ცხოვრების მრუდი,**
**იქ ჩემი მეორე მეა...**
**ამოშრა ძარღვებში სისხლი,**
**გაფანტა გრიგალმა ნისლი**
**გვამი გადაიქცა მძორად“...**

„განკითხვის დღე“!..

რაოდენ წინასწარმეტყველურია დღევანდელი საქართველოსთვის. სიცოცხლე ერისა გაიყო ორად, ჯერაც გასაფანტ გრიგალსა და ნისლში უკვე მოჩანს გახრწნილი იმპერიის მძორი, მძორი იუდის და კაენისა...

**„სინაგოგაში ბრძენმა რაბინმა**
**შეწყვიტა ლოცვა**
**და გაჩნდა ქვეყნად ახალი**
**ღმერთი**
**— იუდას კოცნა!“**

გვაფრთხილებს ახალგაზრდა პოეტი და უცებ შეშფოთებით, ჰორიზონტს დაყურადებული კაცის სასოწარკვეთით აღმოხდება:

**„ქრისტიანებო, დაიხსენით**
**საფლავი ღმერთის,**
**ურწმუნოთაგან არ დასტოვოთ**
**ცოცხალი ერთიც!“**

ეს შემაშფოთებელი მოწოდება, დღეს, გახლეჩილი რელიგიური აღდგინების გზაზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. საოცრად ზუსტად და ნათლად არის გამოხატული ამჟამინდელი სურათი:

პოემა „სამოთხეში დაბრუნება“ მხურვალე სუნთქვაა თანამედროვეობისა:

**„ნატვრა გამოყვა საუკუნეებს,**
**ეს ოცნებათა თეთრი ქარია,**
**საქანელაზე შავად მორთული**
**მაგდალინელი იდგა მარია“.**

იწყება სიმბოლური გარდასახვა ცნობიერების ხატისა. „შავით მორთული მაგდალინელი“ დამარცხებული სიკეთის ნიშანია. რელიგიურ-სულიერი კრიზისი აპოთეოზს აღწევს. სკეპტიციზმი და უსასოობა ეძალება მარტვილ სულს, მირაჟი ეფინება სამზერს და ამ მირაჟში ისევ შემოიჭრება გუნდი მგალობელთა, ისევ გაიმედიანდება გული, აღივსება ილუზიური ცისფერი ხატის ხილვით:

**„ჩამოვა ჩვენთან უფალი**
**ღმერთი**
**ცისფერი ხატით,**
**ნეტავ ეს იყოს, არა მირაჟი**
**არამედ ცხადი!“**

ოცნებობს ჭაბუკის მღელვარე გული, მაგრამ მისი მახვილი თვალი კარგად გრძნობს, რომ ჯერ კიდევ ზეიმობს ქიმერების სამეფო, ჯერ კიდევ ტოტალიტარულ რეჟიმს ებრძოლება სამართლის მუზა, ჯერ კიდევ ფხიზლობს ურჩხული და თეთრი გიორგის წმინდა დროშას მხამიანი ამონასუნთქით ემუქრება... თითქოს ჩაიკეტა სამყარო, საშველი აღარ ჩანს, იწყება კონვულსიური კრუნჩხვები „ქვესკნელის დედოფლისა“, სადღაც უკვე გამზადებულია „კუბო ცისფერი“ და ისმის ჩხავილი ყვავ-ყორნებისა...

**როცა მფარველ სულს მოწყვეტილ, კაეშნიან პოეტს გაცოფებამდე მიიყვანს ერთფეროვანი დღეების ქრონოლოგიურობა, როცა ხედავს „ვიღაც მესამე როგორ იხლეჩავს ვენას ალესილი სამართლებლით და სიკვდილს თხოულობს“, გრძნობს, რომ არაფერი აღარ დარჩენია:**

— თვითმკვლელობა! თვითმკვლელობა! — გონებაარეული იმეორებს და უმწეოდ აწყდება კედლებს...

მაგრამ ცოტაც კიდევ... ცოტას კიდევ მოითმენს, ჯერ მამა-ღმერთის ძვირფას ხატებას უნდა შეავლოს თვალი, საკუთარ მზერას მზერა გაუსწოროს... ჯვარცმაა მისი ცხოვრება, მაგრამ არც მამის ხვედრია ნაკლები. —„მამა“! — არასოდეს არ ყოფილა ეს სიტყვები ისე მხურვალე და სათუთი, როგორც უკანასკნელ ხანს. ზედა—ზეციური, ქვეშე—შარავანდი მოწამისა. აი, ფურცელი, სადაც ათრთოლებული, მკაფიო ხელით არის ჩაწერილი ლექსი მამისადმი მიძღვნილი:

**„შავჩოხიანი**
**შეისვენებს**
**მგზავრობის შუა,**
**წამოიძინებს,**
**ამის დრო თუა.**
**გზას გაუდგება ლეგა ცხენზე**
**ამხედრებული,**
**არ შეაშინებს დაბრკოლება**
**გზად**
**ხვედრებული!..“**

მკითხველს აკვირვებს დამწყები პოეტის ნიშნობრივი მიგნება, შეფასება, ზუსტი ხატის აღწერა, თვისება ბუნებრივი, შინაგანი ხმის დამაჯერებლობა. **იშვი თად თუ ვინმეს რგებია იქეთი მსგავსი ხვედრი მოწამებრივი აღსრულებისა, როგორც მერაბ და ირაკლი კოსტავებს. ერთმანეთში განსხეულება, შერწყმა! ერთის სიკვდილით მეორის ამაღლება და პირიქით: სიცოცხლე სიკვდილში და სიკვდილი სიცოცხლეში, ორივე ღვთის შვილად კურთხეულნი, სიტყვის ანგელოზნი!..** დღეს კავშირი აღდგენილია, დედის კალთა ცრემლით დალტობილი, მაგრამ საოცარია მსგავსება დედათა ბედისა! ღვთისმშობლის ხვედრი განზოგადებულია, ერთგვარად დედა განზე დგება და მხოლოდ მამისადმი თაყვანისცემა შეიგრძნობა. დედა საწყისია სიცოცხლისა, მამა საძირკველი, ძლიერება სულისა და ვაჟკაცურობისა. ამიტომაც შემთხვევითი არ არის მელანქოლიურობა „ძლიერ სულს“ მოკლებული მგრძნობიარე პოეტისა. ბოლოს კი ყველაფერი ერთბაშად იყრის თავს, უსასოობა, სასოწარკვეთა, „დაშლილი ქვები და ფანტაზია“, კალეიდოსკოპივით ტრიალებს განვლილი ცხოვრების სურათები, ხილვები, ზმანებები, იწყება — „დაღლილი სულის“ აგონია: „თამაში ჰქვია, თორემ ბრძოლაა, პირში ფურთხება ქვების სროლაა“, — გმინავს ოთხკედელს შუა გამომწყვდეული პოეტური სამყაროსთვის ჯერ უცნობი პოეტი, — „ვათენებთ, ვაღამებთ, გადიან დღეები, ითვლის კალენდარი... კვირეები, თვეები“... „თვალებში შეხედვა მრცხვენია ვირისთვის“, — ქირქილებს დონკიხოტისებური ღიმილით და უცებ ბავშვური თვითდაჯერებით აღმოხდება:

**„მე ხომ ლექსად დავიბადე,**
**მერე, რა რომ მალე ვკვდები,**
**ვიღაც მაინც წამიკითხავს**
**და ეპოქებს გადავწვდები“...**

ეს უკვე განწირულის წამოძახილია, ამიტომაც იყურება შლეგი, არეული თვალებით, — ნეტავ როგორია თვითმკვლელის სახე? ნეტავ როგორია თვითმკვლელობის ჟამს! — ჩურჩულებს ტუჩებგამშრალი და უცებ:

**„ჩუმად, გასროლა გაისმის**
**სადღაც,**
**რაღაცა მოხდა,**
**სადღაცა რბილში შევიდა ტყვია,**
**ვიღაცა მოკვდა!..“**

წამოიძახებს წამიერი მოლანდებებით თვალდაბურული და მშვიდად დაამატებს:

**„ზოგს თვითმკვლელობა**
**ჰგონია ვაჟკაცობა,**
**ზოგსაც ლაჩრობა,**
**ზოგს კი საერთოდ სისულელე,**
**ზოგსაც ბავშვობა“.**

ამ სიტყვების მთქმელის განკითხვა არ შეიძლება. მხოლოდ ლექსის ჭეშმარიტ მსახურს, პოეზიისთვის შეწირულ კაცს შეეძლო საკუთარი თავისთვის განაჩენის გამოტანა... ასეთი განაჩენი მოწიწების და თაყვანისცემის ღირსია. ასეთი ყოფილა ბედისწერა პოეზიისთვის წამებულთა... ვინ იცის, უფრო ადრე რომ ღირსებოდა მის ლექსებს გამოქვეყნება, უფრო ადრე რომ გაეცნო მკითხველისთვის თავი, ეგებ სულიერ კრიზისს გადარჩენილიყო და ცხოვრება შემსუბუქებოდა, ეგებ ჩვენც აღარ დაგვჭირდებოდა ნაგვიანები მონანიება ახალგაზრდა კაცის ნათელი სულის წინაშე. „რატომ ვიცინი ნაძალადევად, სად დამეკარგა ბავშვობის ლანდი“-ო, —შემოგვჩიოდა თურმე სიცოცხლეშივე და ჩვენ კი ვერაფრით გავიგეთ. მხოლოდ ახლა, როდესაც ეროვნულმა სულმა გამოიფხიზლა და თავისუფლების სიხარულმა აგვიტაცა, ახლა შეგვიძლია მისი სულის წინაშე მიტევება ვითხოვოთ და ერთმანეთს სინანულით გავუმხილოთ მისივე სტრიქონებით:

**„ის იყო მარტო, უფრო მარტო, ვიდრე მისანი“!...** ამ „მისანმა“ ანდერძად დაგვიტოვა ერთმანეთისადმი სიყვარული და სათნოება, ამ „მისანმა“ უნდა შეარიგოს თაობები ერთმანეთთან.

**ირინე ტალიაშვილი**

**მინაწერი: ეს წერილი დიდი ხანია დაიწერა, მაგრამ გამოქვეყნება ვერ მოხერხდა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკოლოგია

# ოცნება ჭალის ტყეებზე

„ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“... გოდებს პოეტი... ოდესმე მდიდარიც ყოფილა საქართველო. ყველაფერი საკმარისად ჰქონია თავისთვის... ოდესმე ჭალის ტყეებიც ჰქონია საქართველოს — უხვი ნადირ-ფრინველით, ველური ხილით, მერქნით...

„ჭალა — წყლის პირი ნაყოფიერიო“ — ასეთ განმარტებას იძლევა ბრძენი საბა.

ჩვეულებრივად ჭალის ტყეებს უწოდებენ ისეთ ტყეებს, რომელ-



ნიც გვხვდება მდინარეთა სანაპიროს გაყოლებით ვიწრო ზოლზე და პერიოდულად იტბორება ხოლმე.

ჭალის ტყეები საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული სპეციფიკური ფიტოცენოზებია, რომელნიც გამოირჩევა თავისებური სახეობრივი შემადგენლობით, დაწყებული ლიანებიდან, დამთავრებული პირველი იარუსის შემქმნელი მერქნიანებით, როგორიცაა — ჭალის მუხა, ოფი, ხვალო, თელა, კაკალი, პანტა, მაჟალო, ჭაცვი, მაყვალი, ეკალღიჭი, სუროო და მრავალი სხვა.

ერთ დროს მართლაც დიდებული ჭალის ტყეები ჰქონია საქართველოს. ისინი დიდ როლს ასრულებდნენ არა მარტო როგორც ბუნების დაცვის მძლავრი ფაქტორები, არამედ თავიანთი წვლილი შეჰქონდათ ეკონომიკური სიუხვის შექმნაშიც.

მარტო ის რად ღირს, რომ მსოფლიო ფაუნის ერთ-ერთი საოცრება და საქართველოს ბუნების მშვენება კოლხური ხოხობი სწორედ ჩვენი ჭალის ტყეების პირმშოა.

ადრე რომ ჭალის ტყეებს დიდი ფართობები სჭერიათ საქართველოში, ამას ვახუშტი ბატონიშვილი გვიდასტურებს. „გარნა კიდეთა მტკვრისათა ამიერ და იმიერ კლდენი ქარაფოვანნი, უმეტეს ადგილთა ჭალიანი...“

...„ტფილისიდამ გორამდე მტკვრისა კიდე აქათა და იქით არს ჭალიანი, კლდიანი, ნადირნი და ხოხობნი მრავალნი... „არაგვის დასავლით ნარეკვავსა ზედა არს ჭალა ნარეკვავისვე“ ნადირთა და ხოხბითა სავსე...“

...„და დასდევს იორსა მცირე ჭალაცა და ლერწვან-ჩალიანი, და არიან ნადირნი და ფრინველნი მრავალნი და უმეტეს ხოხობნი.“

და ასევე ყოფილა თითქმის მთელ საქართველოში. დღეს კი... ოცნება თუ შეგვიძლია ჭალის ტყეებზე. ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში იავარქმნილა და განადგურებულა ისინი. ამ მხრივ განსაკუთრებული აქტიურობა გამოვიჩინეთ უკანასკნელი ოთხი ათეული წლის მანძილზე. ამჟამად ჭალის ტყეების ნაშთებილაა სპორადულად შემორჩენილი ალაზანსა და იორზე. ესაა და ეს.

ათასგვარი უბედურება დაატყდა თავს ჩვენს ჭალებსა თუ ჭალის ტყეებს. ჯერ იყო და მერქნის გულისათვის გაჩეხეს ხელმისაწვდომ ადგილებზე შემორჩენილი ტყეები. შემდეგ კი „გეგმიურად“ ამოძირკვეს და მათ ადგილზე ვაზი ან სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები გააშენეს. არავინ იფიქრა იმაზე, რომ ჭალის ტყეებმ მიკროკლიმატის, მიკროგარემოს, ბუნების რეგულირების, წონასწორობის ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი იყო. შედეგიც სავალალო მივიღეთ. ჭალის ტყეების განადგურების გამო მდინარეთა კალაპოტების ცვლილება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, რაც აუნაზღაურებელ ზარალს აყენებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს. მთებიდან დაძრულ ღვარცოფებსა და წყალდიდობებს ხომ, თავისთავად ცხადია, ველარ უმკლავდება შიშველი რიყეები.

გაუთავებელი ექსპერიმენტები კი დღესაც გრძელდება. მხედველობაში გვაქვს ე. წ. თევზის სატბორეების მშენებლობა, რომლის მესვეურებს ბუნების კეთილდღეობა მეორეხარისხოვნად მიაჩნიათ. ამის ერთ-ერთი მაგალითია საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმთან ქარხანა — „მიონის“ მიერ წამოწყებული მშენებლობა, რომელმაც ჭაცვისა და სხვა მცენარეთა აქამდე გადარჩენილი რაყები შეიწირა, რამაც მიკროკლიმატის ცვლილება გამოიწვია და, როგორც ამბობენ, ვერც თევზის სიუხვე შექმნა. ყოველივე ამან კი სოფლის მცხოვრებთა, მართალია, დაგვიანებული, მაგრამ სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია, თუმცა წამხდარ საქმეს რაღა ეშველება.

ჭალის ტყეების უნუგეშო მდგომარეობას ამ ორიოდე ათეული წლის წინათაც შეუწუხებია გულშემატკივარნი, მაგრამ გადაწყვეტილება კი უცნაური მიუღიათ — ქართული ჭალის ტყეებში კანადური ვერხვის შეტანა უცდიათ, რაც, რასაკვირველია, მარცხით დამთავრდა. რატომღაც დაავიწყდათ ბრძნული ქართული ნათქვამი: „ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი უნდაო“.

დღეს კიდევ უფრო უარესი უბედურება დასტყდომია თავს ჩვენს ჭალებსა თუ, აქა-იქ შემორჩენილ ჭალის ტყეთა ნაშთებს, ისეთი უბედურება, რომ მათს აღდგენაზე არც ჩვენ და არც მომავალ თაობებს ოცნებაც კი აღარ შეეძლებათ.

კარიერების ბუმია საქართველოში.

ინერტიული სამშენებლო მასალების კარიერებითაა მოფენილი ჩვენი წყალ-ჭალები ქვეყნის ოთხივე მხარეს.

დგანან მდინარეთა ნაპირებზე ექსკავატორებით, ბულდოზერებით,



მიწისმწოველებით... შეიარაღებული კოლხთა და იბერიელთა შთამომავალნი (არამარტო მათი) და ყოველგვარი ექსპერტიზისა და გეგმაზომიერების გარეშე, სადაც უნდათ და როგორც უნდათ, იღებენ ქვიშას, სილას, ხრეშს. მათი მოღვაწეობის წყალობით ნაომარს ჰგავს ჩვენი ჭალები; უსაშველოდ იცვლება და მახინჯდება მდინარეთა კალაპოტები, ნადგურდება აქა-იქ შემორჩენილი მდინარისპირა ტყეთა ნაშთები და სამუდამოდ იკარგება შანსი მათი აღდგენისა.

ჭალის ტყეებს ვინღა ჩივის, ასეთი მოქმედების წყალობით, წყალდიდობის გარეშეც გამუდმებით წყალს მიაქვს ათეულობით ჰექტარი დაუცველი სავარგულები.

დანამდვილებით არვინ უწყის კიდევ რა მოჰყვება ასეთ წინდაუხედავ საქმიანობას, თუმცა რაც მოჰყვა ესეც საკმარისია. ბუნება სამაგიეროს გვიხდის.

ამიტომ გადაუდებელ ამოცანად გვეჩვენება უმაღლეს დონეზე შეიქმნას მდინარეთა კალაპოტების შემსწავლელი კომისია, რომელიც კომპეტენტურ დასკვნებს გააკეთებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეკოლოგიური პირობებიდან გამომდინარე და პირველ რიგში იზრუნებს ჭალის ტყეების შესაძლო გაცოცხლებასა და აღორძინებაზე, რადგან ისინი აუცილებლად სჭირდება საქართველოს ბუნებას, ეკონომიკას და ქართველ ერს.

**ბიძინა თავაძე,**
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

**სურათებზე:** არაგვისპირა ჭალის ტყეები.

**ოლეგ გველესიანის ფოტო.**

# ერეკლე მეორის ორი სურათხატება

ქართველი ხალხის უსაყვარლესი მეფის და მხედართმთავრის ერეკლე მეორის ორი სურათხატება მოგვეპოვება, რომლებიც აგერ უკვე ასი წელია, რაც ვრცელდება ისე, რომ ავტორს არ ვიხსენებთ.

ერეკლეს ორივე სურათი ფერ-



წერული ნახატიდან ფოტოზე გადაიღო პირველმა ქართველმა ფოტოგრაფმა ალექსანდრე რონინაშვილმა.

ამ ამბავს ცოტა შორიდან დავიწყებთ.

1861 წელს თელავიდან დაღესტანში გაემგზავრა ალ. რონინაშვილი, რომელიც იქ მთელი რვა წელი ცხოვრობდა.

ალ. რონინაშვილს დაღესტანი უპირველესად აინტერესებდა როგორც ფოლკლორისტისთვის საუკეთესო მასალის მომცემი და ამავე დროს, აქ საძიებელი იყო საქართველოდან გატაცებული თუ შემთხვევით მოხვედრილი ნივთები, ხელნაწერები და ეთნოგრაფიული მასალები. ერთიც და მეორეც ხელსაყრელი გამოდგა ამ სახელოვანი მამულიშვილისათვის, ვისაც დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ „...გულში ეჯდა პატიოსანი გრძნობა, რომელსაც მამულიშვილურ სიყვარულს ეძახიან, რომელიც დედაა, მშობელია გარჯისა და ძხნეობისა და, რომელიც იქა ჰსადგურობს, საცა უთვალო, უანგარო და პატიოსანი გულია.“

ალ. რონინაშვილმა დაღესტანში შეკრიბა ასობით ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნივთი, ზოგი მათგანი შეისყიდა ან ფოტოზე აღბეჭდა, ხოლო იქ, სადაც ვერც ჯადოსნური ფოტოობიექტივი მიუდგა, გადმოიხატა-გადმოიხაზა.

ყოველი ახალი მიკვლეული მასალის შესახებ ალექსანდრე რონინაშვილი წერილობით აცნობებდა ხოლმე სახელოვან ქართველ ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს. შემონახულ ერთ-ერთ წერილში, რომელიც დაწერილია 1885 წელს ვკითხულობთ: „ბოდიშს ვიხდი თქვენთან, რომ ამდენ ხანს ვერა გაცნობეთ რა ჩემ მოგზაურობაზედ. დღეს ერთი თვეა, რაც დავბრუნდი დაღესტანში მოგზაურობიდან, სადაც თითქმის მთელი ზაფხული ვმოგზაურობდი და ბევრი კარგი ხედები გადავიღე. გარდა ხედებისა, დაღესტანში მცხოვრებლებთაგან ვიყიდე ოცდაათამდინ ძლიერ კარგი და შესანიშნავი ნივთები. მათ შორის, ეხლა გიგზავნით ცხრამეტს ფოტოგრაფიას, რომელნიც გადაღებულნი არიან ჩემს ნივთებიდან.“ (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდი, 481, ანაწ. 1; სხვათა შორის, ეს წერილი დაიბეჭდა თბილისის უნივერსიტეტის შრომებში, ტ. 227, გვ. 269 დაიბეჭდა ადრესატის არასწორი მითითებით).

ცნობილია, რომ ალ. რონინაშვილს მიზნად ჰქონდა შეძენილი ისტორიული მასალებისაგან მოძრავი მუზეუმის გამართვა და მისი გატანა რუსეთში. ეს განზრახვა მან სისრულეში მოიყვანა. ამ მიზნით თავისი მდიდარი კოლექციით იმოგზაურა ასტრახანში, სარატოვში, მოსკოვში და პეტერბურგში. „ტყვეობიდან დახსნილმა“ ამ ნივთებმა, როგორც მას რონინაშვილი უწოდებდა, განცვიფრებაში მოიყვანა რუსი, უკრაინელი და სხვა ეროვნების დამთვალიერებლები.

რონინაშვილის ამ მრავალმხრივ საინტერესო გამოფენის შესახებ იმ დროინდელ რუსულ პრესაში ბევრი საყურადღებო ცნობაა და-



ბეჭდილი. ამაზე არც ქართული ჟურნალ-გაზეთები სდუმან.

საინტერესო ცნობას ვკითხულობთ გაზეთ „დროებაში“ 1885 წელს (№ 54): „ჩვენს თანამემამულეს ბ-ნ რონინაშვილს, რომელიც დიდ ხანია, რაც დაღესტანში იმყოფება და იქაურ ბუნების სურათებს ფოტოგრაფიით იღებს, მოუგროვებია საქართველოს მრავალი ძველი მონეტა და ნივთი, გაუხსნია პატარა მუზეუმი ქალაქ თემიურხანშურაში. ამ დაუღალავ მშრომელს თავის საგნად გაუხდია, რომ ხსენებული მუზეუმი შეძლებისამებრ გაამდიდროს და მასუკან თავის სამშობლო ქვეყანაში გადმოიტანოს“. სწორედ ეს კოლექცია იყო ერთ-ერთი საფუძველთაგანი ქართული ეროვნული მუზეუმის გახსნის დროს.

დაღესტანში მოგზაურობის დროს ნახა ალ. რონინაშვილმა პატარა კახის ფერწერული ტილო, რომლიდანაც გადმოხაზა და შექმნა მისგან ფოტო. ეს გადმონახაზი დაცულია ალ. რონინაშვილის ძმისშვილის ვასილ რონინაშვილის შთამომავლებთან. მას დღეს ვთავაზობთ მკითხველს. გადმონახაზზე ვასილ რონინაშვილს (ესეც კარგად ცნობილი ფოტოგრაფი იყო) ასეთი წარწერა გაუკეთებია: „პატარა კახი — გადაღებული ზეთის წამლის ნახატიდან, რომელიც დაღესტანში იპოვნა“.

მაშასადამე, ხელთა გვაქვს პატარა კახის თანმედროვე უცნობი მხატვრის მიერ შესრულებული ფერწერული ტილოს ალ. რონინაშვილისეული გადმონახაზი, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ერეკლეს ყრმობისდროინდელი სურათხატება.

ეს ფოტო იმდენად პოპულარული გახდა, რომ ცალკეული ეგზემპლარების გარდა, დაიბეჭდა მე-19 საუკუნის ჟურნალ-გაზეთებში („ივერია“, 1898, № 39,) მაგრამ მასზედ მაინც დიდი მოთხოვნილება იყო. 1901 წელს ფოტოგრაფ კ. მესხიშვილს, ალ. რონინაშვილისათვის მიუბაძავს და დაუბეჭდავს აღნიშნული ფოტო, მაგრამ ოდნავ დამახინჯებულად.

რაც შეეხება ერეკლე მეორის ფოტოს, ისიც მეფის თანამედროვე უცნობი იტალიელი მხატვრის ფერწერული ტილოდან არის გადაღებული და დამატებული აქვს განსხვავებული რამდენიმე დეტალი. ფოტოზე გამოსახულია მეფის მხარ-სახის არე. სურათი დამუშავებულია ალექსანდრე რონინაშვილის მიერ იმავე პრინციპით, როგორითაც შოთა რუსთაველის გავრცელებული ფოტოა.

ალ. რონინაშვილი ერეკლეს ორივე სურათხატებას ყველგან უფასოდ ავრცელებდა. ამაზედაც ძველი ჟურნალ-გაზეთები გვაწვდიან ცნობებს. მოვიტანთ მხოლოდ ერთ ცნობას: „11 სექტემბერს კრწანისის ველზე შეიკრიბა მრავალრიცხოვანი საზოგადოება... ჩვენმა ფოტოგრაფმა ალექსანდრე რონინაშვილმა დაბეჭდა ორასი სურათი მეფე ერეკლესი, რომელიც იქვე, ჟამისწირვის დროს, დაურიგა თუშ-ფშავ-ხევსურებს“ („ივერია“). ეს იყო კრწანისის ბრძოლის 100 წლისთავზე.

ასეთია მოკლედ ამ ორი ფოტოს შექმნის ისტორია.

**გიორგი ჯავახიშვილი**

## იჩქარეთ! იჩქარეთ!

საქართველოს რესპუბლიკის ნებისმიერ მოქალაქეს და ორგანიზაციას შეუძლია შეიძინოს ჩვენთან საგზურები საზღვარგარეთ ტურისტული მოგზაურობისათვის, გთავაზობთ:

1. მოგზაურობას სამდინარო კომფორტაბელური გემით დუნაიზე, ეწვევით ბულგარეთს და რუმინეთს. ვუზრუნველყოფთ ტურისტებს სპეციალური ავიო რეისით გადაყვანას ოდესაში და უკან, მოგზაურობის დამთავრების შემდეგ. საგზურის ღირებულება მხოლოდ 2700 მანეთი და 20 დოლარია, ტურისტები იმოგზაურებენ 2-ადგილიანი კაიუტებით, გემზე გელით საინტერესო გასართობი პროგრამა, ხანგრძლივობა — 9 დღეა.

2. მოგზაურობას თურქეთსა და სირიაში, სირიის ტურისტული ფირმის კომფორტაბელური ავტობუსით, თურქეთში ქ. ტოყატი — 2 დღე, სირიაში ქ. ალეპო — 5 დღე, მოგზაურობა დაიწყება ქ. ბათუმიდან. სარფის საზღვარზე გასვლა მოხდება დაყოვნების გარეშე, საგზურების ღირებულება 90 დოლარი და 600 მანეთია.

ჩვენი მისამართია: ტურიზმის გაერთიანება, რკინის შესახვევი №6, მეტეხის ხიდთან, „ინტურისტის“ შენობაში, დაგვირეკეთ ტელეფონით: 93-04-86, 93-07-64.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხმელა პური, იოდი და... კოჯრის ქარი

ეს ხანში შესული, სათნო ქალბატონი სრულიად შემთხვევით გავიცანი. მისმა ერთმა მეზობელმა სიმპათიურმა ქალიშვილმა თავი მოიკლა. სწორედ ამ ქალიშვილის მოსაგონარი, პატარა გულთბილი წერილი მოიტანა ქალბატონმა შუშანამ რედაქციაში. მალე დავუახლოვდით ერთმანეთს. მიამბო თავისი ოჯახის, ახლობლების შესახებ. დიდი სიყვარულით, გატაცებით, დაუფარავი სიამაყით, თან რაღაცნაირი სევდით ლაპარაკობდა დედაზე, მიკითხავდა მის ლექსებს. ნახევარი საუკუნის წინათ, უკიდურეს გაჭირვებასა და დევნაში დაწერილ სტრიქონებში არის ყველაფერი, რასაც ნამდვილი ლექსი, ნამდვილი პოეზია ჰქვია. — მომხიბლავი, დახვეწილი, ლაღი ქართული, უბრალოება და სისადავე, გრძნობათა სიღრმე და სინატიფე, ზომიერი ლირიკულობა. და, რა თქმა უნდა, ტრაგიზმი, იმ ეპოქისათვის ნიშანდობლივი სულისშემძვრელი ტრაგიზმი, რომელიც არა ქედის მოხრის, არამედ ბრძოლის, ამბოხების აპოლოგიაა.

— საფო მგელაძე, საწყალი დედაჩემი... მე მასში ვარ და ის ჩემშია. მისი ტკივილი ჩემი ტკივილია, მისი მწუხარება ჩემი მწუხარებაა, მისი ცხოვრების ისტორია ჩემი ცხოვრების სიმბოლოა. ჩვენს ოჯახს არც ერთი წუთი არ უცხოვრია მისი ნათელი ხსოვნის გარეშე...

თვრამეტი წლის ქალიშვილი, პირმშვენიერი საფო, თავისუფლებისა და პოეზიის სამსახური რომ სწყუროდა, 45 წლის კაცზე გაათხოვეს. განიცდიდა ამას შემდეგში, მოწიფულ-ქალობისას პატარა შუნასა და ნინოს დედა, იმ დროისათვის გახმაურებული რომანის „ლიანა ლორდიას“ ავტორი? — ალბათ, განიცდიდა, მაგრამ არ იმჩნევდა, ამაზე საუბარს გაურბოდა. ბედის ნებიერი არასდროს ყოფილა, მაგრამ, ყველა გაჭირვების მიუხედავად, ბოლომდე უერთგულა ოჯახს, შვილებს, ლიანა ლორდია თავად იყო. მანაც ხომ არ უღალატა თავის მრწამსს, უკან არ დაიხია და შეგნებულად გასწირა თავი მარტოობისა და წამებისათვის.

— თუ რამე მაქვს კარგი, დედაჩემისგან მაქვს. ის მასწავლიდა, როგორ უნდა მეცხოვრა — ღარიბად, მაგრამ ვაჟკაცურად და ადამიანურად. ამასვე ვასწავლი ჩემს შვილებს — ჩემს ქალიშვილებს. ვისაც შიმშილი და გაჭირვება არ გამოუცდია, ვერასდროს იგრძნობს ვერც სიცოცხლის, ვერც შრომის, ვერც მშობლის ფასს და, ვერც საერთოდ, ადამიანის გაჩენისა და არსებობის მიზანს მიხვდება,—ამბობს ქალბატონი შუშანა.

გურიაში კარგი მამული ჰქონიათ. განკულაკების შემდეგ ცარიელ-ტარიელზე დარჩენილან. ერთი ჩემოდნის ამარა ჩამოსულან თბილისში. ერთ-ოთახიან კეთილმოუწყობელ ბინაში დაუწყიათ ცხოვრება... კუჭი პოეტსაც აქვს, პოეტსაც შეიძლება შიოდეს და სწყუროდეს, მითუმეტეს, თუ წვრილშვილიანია და მარტოხელა.

ახლოვდებოდა სტალინური რეპრესიების „ხუთწლედი“... ცა ავად იქუფრებოდა. გალაკტიონი წერდა: „კოჯრიდან მართლაც უბერავს ქარი, აქ მღერის ორი პოეტი ქალი, მთვარე ჰკიდია როგორც ლიმონი, თქვენ გენაცვალოთ გალაკტიონი“.

ამ ქალებს შორის ერთი საფო იყო, ის გოგონები კი, ყურადღებით და სიყვარულით რომ უსმენდნენ პოეტთა მეფეს, — შუნა და ნინო. პატარების ხათრით უკვე მერამდენედ კითხულობდა გალაკტიონი თავის „მე და ღამეს“. ულევი იყო ღვინო, ყვავილები და სიყვარული... ეს ადამიანები ერთადერთ მბრძანებელს ცნობდნენ — თავისუფლებასა და პოეზიას.

— მშვენიერი საღამოები იყო. ხშირად დასთენებიათ კიდეც თავზე. ყველა ტკივილი დაუამდებოდა ხოლმე დედას ამ თავდავიწყების წუთებში. ასეთი წუთების განმცდელს დიქტატორის ჯურღმულიც კი ვერაფერს აკლებს. დიქტატურა ვერ სპობს, უფრო აძლიერებს ძლიერი სულის ადამიანთა სწრაფვას სრული პიროვნული თავისუფლებისაკენ.





ლეონიძის ქუჩაზე, ძველი თბილისის ლამაზ, ეგზოტიკურ უბანში, ერთი გარეგნულად ნაკლებ დასამახსოვრებელი სახლი დგას. სად არ იარა, ვის არ მიაკითხა, ვის არ სთხოვა დახმარება, რომ სახლი საცხოვრებლად ვარგისი გამხდარიყო. ვერა და ვერ ეღირსა დედის მუზეუმის მოწყობას, პატარა მემორიალური დაფის მიმაგრებას შენობის ფასადზე... ასეა, ზოგს დაუმსახურებელი ოქრო-ვერცხლით ვმოსავთ, ზოგისთვის კი საფლავის ქვა გვენანება.

ქალბატონი შუშანა საბავშვო პოეტია. ბუნებით მხიარულსა და სამი სიმპათიური ქალიშვილის დედას თითქოს არა უნდა უჭირდეს რა, მაგრამ მთელი ოჯახის სრულ ბედნიერებას მაინც რაღაც აკლია — ეს საფოა, ამ ოჯახის სიამაყე, სევდა და მოუშუშებელი ტკივილი...

ვათვალიერებ დრო-ჟამისაგან გაცრეცილ ფურცლებს — წერილებს, დღიურებს... „თითოეული ლექსის ან თითოეული მოთხრობის დაბეჭდვას წინ იმდენი ბრძოლა, შრომა და დავიდარაბა უდევს, რომ ამის შესახებ მთელი წიგნი შეიძლება დაიწეროს.

„ლიანა ლორდიას“ ექვსი წლის ბრძოლა დასჭირდა, „ქარიშხლის ფრთებზე“ ცხრა წელი, „გზა და გზა“ ხუთი წლის წინათ დაიწერა და ამ ხნის განმავლობაში ხუთჯერ ამომიგდეს გეგმიდან. და მე შემიძლია შევხედო მათ სუფთა თვალებით? არა და მე მახასიათებს ერთი უცნაურობაც, როცა ადამიანს არ ვხედავ, როცა ადამიანი შორს არის ჩემგან, მე ის მიყვარს...“

დადიოდა გამომცემლობიდან გამომცემლობაში, ერთი პარტიული, პროლეტარული, ფუნქციონერი მწერლისგან — მეორესთან... დადიოდა მშიერ-მწყურვალი. პალტო არ ჰქონდა, რომ შუა ზამთარში „მწერალთა მიწვევა“ მიეღო, ხელოვნების სასახლეში წასულიყო და ლექსი წაეკითხა ან სიტყვა წარმოეთქვა — ლიტერატურაზე, ქალთა უფლებებზე თუ ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებზე, მერე კი, ეშმშილა, მთელი კვირეები ხმელა პურსა და ჩაიზე ყოფილიყო.

ერთხელ „კარგი წინადადება“ შეუთავაზებია ბენიტო ბუაჩიძეს მისთვის: რა ვიცოდი, თუ ასეთ კარგ ლექსებს წერდით; რა გინდათ თქვენ აკადემიურ მწერალთა ჯგუფში, ამ ლექსების ავტორს რა საერთო აქვს ამ მკვდარ ასოციაციასთან, ჩვენ არა გვყავს მწერალი ქალები და თქვენ უნდა გამოხვიდეთ ამ ჯგუფიდანო.

— მე ვერ ვხედავ სხვა ჯგუფს, სადაც შესაძლებლად მიმაჩნდეს შესვლა, — უპასუხა თურმე საფომ.

— უნდა დავაარსოთ ასეთი ჯგუფი. დავარქმევთ „საბჭოთა მწერლების ჯგუფს“. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ვისთან გვაქვს საქმე, ხელს შეგიწყობთ, დაგეხმარებით...

არ დაჰყვა საფო ბენიტო ბუაჩიძის ნებას. რას მიიღებდა, რომ დაჰყოლოდა? — ფულს, ხელისუფლების მიერ აღიარებას, საჭმელსასმელს, ურიგოდ წიგნების გამოცემას, მეგობრების დასმენას, 1936 წლის თავიდან აცილებას. მაგრამ, საკითხავია, ეყვარებოდათ ამ სიყვარულით შვილებს დედა, შვილიშვილებს ბებია. დაიზეპირებდნენ მის ლექსებს? ქალიშვილები ისურვებდნენ ლიანა ლორდიობას? — ვფიქრობ, არა! — ამბობს მასპინძელი... მაგრამ შვილების გულისთვის დედა უცებ დათმობაზე რომ წასულიყო? იცით, ამდენი ხნის ქალი ვარ და პირველად დავფიქრდი ამაზე... მიუხედავად ამისა, მაინც გიპასუხებთ: — დედა ყველა შემთხვევაში მეყვარებოდა, ახლა კი, უბრალოდ, ვამაყობ მისით.

—თუ ყოფილა ისეთი მომენტი, როცა დედათქვენი მოვარდნილა სახლში — სასოწარკვეთილი, ყველაფრით დაღლილი და ხმამაღლა უთქვამს: დავიღალე, არ ვიცი, რა ვაკეთო, თავი მოვიკლა, თუ რა ვქნაო?..

— იკლავდა თავს. — მიპასუხებს ქალბატონი შუშანა. — დედაჩემი ქალი იყო და გასაკვირი არ იქნებოდა, რომ რაღაც მომენტში თავი ვერ შეეკავებინა... თავის მოკვლა თურმე პირველად მაშინ გადაწყვიტა, ჯურუყვეთის ორი კლასი რომ დაამთავრა, სწავლის გაგრძელება სურდა, მაგრამ მშობლებმა უარი უთხრეს: — ერთადერთი შვილი გვყავს, ვერ მოვშორდებითო. თორმეტი წლის გოგოს გრძელი კოჭებამდე კაბა შეუკერეს და დაიწყეს სიარული მაჭანკლებმა. ერთ წელიწადს უთმენია დედაჩემს ეს ამბავი, ერთ დღეს კი ხელში იოდით სავსე ჭიქა აუღია და ბებიაჩემისთვის უთქვამს: თუ ქუთაისში არ წამიყვანთ და არ მასწავლით, თავს მოვიკლავო... სხვა რაღა გზა ჰქონდა ბებიაჩემს და წაუყვანიათ ქუთაისში. მეორედ „კარბოლის სიმჟავით“ აპირებდა თავის მოწამვლას. მაშინ მე გადავარჩინე, ოთახში შევუსწარი და გადავაფიქრებინე... განსაკუთრებით ვუყვარდი...

— ჩვენ ეზოში მაყვალივით გოგომ მოიკლა თავი... ვერ გეტყვით, რა გაუჭირდა ასეთი! ალბათ, ჰქონდა საამისო მიზეზი... ისე, თავის მოკვლა ზოგისთვის უკანასკნელი იმედია...

— სხვათა შორის, საქართველოში ბოლო ხანს მომრავლდა თვითმკვლელობის შემთხვევები...

— ადამიანმა საკუთარ თავს სიცოცხლე არ უნდა წაართვას. — დიდი ცოდვაა ბუნებისა და ღმერთის წინაშე. ამის უფლება ადამიანს არა აქვს... ახალგაზრდობა ხშირად იბნევა, მისი შესაძლებლობები მოთხოვნილებებს არ ემთხვევა. მერე, დროა ასეთი. დიდია ჩვენგან დამოუკიდებელი სტრესი, ადამიანი ადვილად ღიზიანდება... ზოგს ჰგონია, ცივილიზაციის საუკუნეში ადამიანის გული ცივი და უგრძნობელი ხდებაო, პირიქით, სწორედ დღეს სჭირდება ადამიანს განსაკუთრებული სითბო და ერთმანეთს ეს სიკეთე არ უნდა მოვაკლოთ. სიყვარული მართლაც გადაარჩენს კაცობრიობას... მაგრამ დღეს ეს სიყვარული ხალხმა დაკარგა.

— პოეზია თუ შვილი? — ამ კითხვას უსვამდა ხშირად თავის თავს დედაჩემი, — მე არ ვიცი, რომელი უფრო მეტად მიყვარს — პოეზია თუ შვილიო. ვერ პოულობდა განსხვავებას. იცოდა, ამით საკუთარ თავს უღალატებდა, ჰარმონიას დაარღვევდა. ყველაზე მეტად სწორედ ამგვარი თვითმკვლელობისა ეშინოდა.

— დედაჩემი საავადმყოფოში მოკლეს, — განაგრძობს ქალბატონი შუშანა მგელაძე. — ბახმაროდან მოვდიოდით, ცხენმა გადმოაგდო და თირკმელი დაუზიანდა. ექიმმა წულუკიძემ დაამშვიდა, არა უშავს, ქმარი გაიკეთე და კარგად იქნებიო. ერთხელ მწერალთა კავშირში დაეჩივლა: ისე მტკივა წელი, ნამდვილად მოვკვდებიო. მწერალთა კავშირის ექიმი მოვიდა ჩვენთან და დედას უთხრა: პროფილაქტიკის მიზნით „არამიანცის“ საავადმყოფოში უნდა დაწვეო.. საავადმყოფოში — სასწრაფოდ ოპერაცია უნდა გაგიკეთოთო.

— მეც დავიღუპე და ჩემი ნაწერებიცო, —მითხრა დედამ საოპერაციოდან გამოყვანის შემდეგ. — მწერალთა კავშირის ექიმმა სასიკვდილოდ გამომგზავნა აქ. არც გაყუჩება, არც არაფერი, პირდაპირ დანებით მაწამესო... მეორე დღესვე, გარდაიცვალა. გული კიდევ უცემდა, ჯერ გაცივებულიც არ იყო, რომ წაიყვანეს და სადღაც „გადააგდეს“. კატო მიქელაძე, დედაჩემის უახლოესი მეგობარი, დავვეხმარა მიცვალებულის მოძებნაში. საცოდავი სანახავი იყო. გვამი პირდაპირ იატაკზე ეგდო. კატომ აიყვანა, გულზე მიიხუტა, მერე ნელა, ფრთხილად წაიღო, ტახტზე დაასვენა და გაასწორა...

მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტია დადის ქალბატონი შუშანა მწერალთა კავშირში, გამომცემლობიდან გამომცემლობაში... მწერლის დაბადებიდან ასი წელი შესრულდა, ერთი პატარა კრებულის გამოშვება კი არ იქნა და არ მოხერხდა.

საფოს მშობლებს ერთი შვილი ჰყავდათ — ქალიშვილი. ის ორი შვილის დედა იყო— ქალიშვილებისა. ქალბატონ შუშანას სამი შვილი ჰყავს, ქალიშვილები..

ბედნიერი ქალია შუშანა მგელაძე?

რასაკვირველია.

ლიანა ლორდია მისი იდეალია...

**ზაურ მაკარაძე**

## განცხადებები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სპეცფაკულტეტი“ ბიზნესის უმაღლესი სკოლა ფაკულტეტის მსმენელებსა და კერძო პირებს აცნობებს, რომ უცხოეთის ქვეყნების ბიზნესის სკოლებთან არსებული შეთანხმებების საფუძველზე აკომპლექტებს ჯგუფებს 1992 წლისათვის მოსალოდნელ მოკლევადიან სტაჟირებაზე გასამგზავრებლად:

1. აშშ-ნიუ-იორკის შტატის უნივერსიტეტების ბიზნესის სკოლაში, ხანგრძლივობა 14 დღე — 25 კაცი.

2. აშშ-ნიუ-იორკის საქალაქო უნივერსიტეტების ბიზნესის კოლეჯში. ხანგრძლივობა 14 დღე — 20 კაცი.

3. ბერლინის ბიზნესის კოლეჯში — ხანგრძლივობა 7 დღე — 20 კაცი.

სტაჟირების გავლის შემდეგ მსმენელებს მიეცემათ შესაბამისი ბიზნესის სკოლების სერტიფიკატი.

აღნიშნულ ქვეყნებში სტაჟირებისათვის გადასახდელია თანხა, როგორც მანეთებში, ასევე უცხოური ვალუტით.

დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და კერძო პირებს ვთხოვთ ა. წ. 31 დეკემბრამდე მიაკითხონ „სპეცფაკულტეტის“ — ბიზნესის უმაღლესი სკოლის დეკანატის უცხოეთის განყოფილებას.

**მისამართი: უნივერსიტეტის ქ. № 2 (მაღლივი კორპუსი), მე-11 სართული, ოთახი 1107; ტელეფონი: 30-01-07. მსმენელებს, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ბიზნესის უმაღლესი სკოლა და სწავლის თანხის ნაწილი გადახდილი აქვთ ვალუტით, აღნიშნულ ქვეყნებთან მიღწეული შეთანხმებების საფუძველზე მიეცემათ შეღავათი გადახდილი ვალუტის 50%.**

### ვისაც მომავლის სპეციალობა სურს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი მეორე ახალი სპეციალობის მისაღებად აცხადებს მიღებას „სპეცფაკულტეტზე“ ბიზნესის უმაღლეს სკოლაში შემდეგ სპეციალობებზე:

1. წარმოების მართვის ორგანიზაცია (მენეჯერი);

2. ვაჭრობის მართვა და კომერცია (კომერსანტ-მენეჯერი).

3. ტურიზმისა და სასტუმრო მეურნეობის ეკონომიკა (რეკრიაციის მენეჯერი).

აღნიშნული მიმართულებების სპეციალურ საგნებში 1000-ზე მეტი სასწავლო საათის გავლისა და სახელმწიფო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ მსმენელებს მიენიჭებათ ახალი სპეციალობა და მიეცემათ დიპლომი.

ბიზნესის უმაღლესი სკოლის მსმენელებს საშუალება ექნებათ შეისწავლონ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და პრივატიზაციის პრობლემებთან დაკავშირებული ყველა საჭირო საკითხი.

მეცადინეობის 50% დაეთმობა უცხო ენის (ინგლისური) შესწავლასა და კომპიუტერზე მუშაობას.

უცხოეთის ქვეყნებთან არსებული შეთანხმების საფუძველზე მოსალოდნელია წარჩინებულ მსმენელთა მოკლევადიანი სტაჟირება უცხოეთში (დამატებითი საფასურის გადახდით).

ფაკულტეტზე მიიღებიან პირები, რომელთაც აქვთ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება (შესაბამისი პროფილით).

სწავლების ფორმაა — წარმოებიდან სრული ან ნაწილობრივი მოწყვეტით. მეცადინეობები ჩატარდება კვირაში ოთხ დღეს (პარასკევისა და შაბათის გარდა) ლექციების დასაწყისი დღის მეორე ნახევარში 14.00 საათის შემდეგ და გასტანს ორი სემესტრი, 10 თვე.

სპეცფაკულტეტზე — ბიზნესის უმაღლეს სკოლაში სასწავლებლად მოვლინებულმა პირებმა თან უნდა იქონიონ: მომართვა დაწესებულებიდან თანხის გადახდის გარანტიით; დიპლომის ასლი (უმაღლესი ან საშუალო სპეციალური სასწავლებლიდან), კადრების აღრიცხვის ფურცელი; 6 ფოტოსურათი 3X4, განცხადება მიღების თაობაზე — შეივსება ფაკულტეტზე.

საბუთების მიღება ა/წ 31 დეკემბრამდე; გასაუბრება 12-13 იანვარს, ჩარიცხვა 15-17 იანვარს.

მეცადინეობა დაიწყება 20 იანვრიდან და გასტანს 31 დეკემბრამდე. „სპეცფაკულტეტი“ — ბიზნესის უმაღლესი სკოლა სრულ სამეურნეო ანგარიშზეა და ყოველი სტუდენტის მომზადება ორი სემესტრის განმავლობაში ჯდება 10500 მანეთი. თანხის გადახდა შესაძლებელია როგორც გადარიცხვით, ასევე პირადად.

ცნობებისათვის მიმართეთ:

**380043, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 2 (საბურთალო, უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი), მე-11 სართული, ოთახი 1103, „სპეცფაკულტეტი“ — ბიზნესის უმაღლესი სკოლა. ტელეფონი: 30-01-07, ტელექსი 212291, „ჯვარი“.**

### ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედის“ განცხადება

1991 წლის 10 დეკემბერს გაიმართა ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედის“ რიგგარეშე ყრილობა, რომელზეც არჩეული იქნა „იმედის“ ახალი საწინამძღვრო.

დ. ხომასურიძის ნაცვლად არჩეული იქნა მ. კიკნაძე. საწინამძღვრის შემადგენლობაში შევიდნენ ვ. ჯალიაშვილი, ლ. ასლანიკაშვილი ზ. ნიკოლაიშვილი, ზ. ბაგაური.

## განცხადებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპორტი

# შემდლოდ არავინ დარჩა

ბოლო ხანებში სამბისტებმა სპორტული სამყაროს ყურადღება მიიქციეს. ჯერ იყო და ევროპის ფედერაცია შექმნეს, შემდეგ კი საფრანგეთში მსოფლიოს ახალი ფედერაცია ჩამოაყალიბეს და პირველი პრეზიდენტიც ამ ქვეყნის წარმომადგენელი ფრანგი ეტიე ლაბრუსი გახდა.

ახალმა ფედერაციამ საკმაოდ კარგად იმუშავა. ამის დასტურია საფრანგეთის ქალაქ შამბერიში გამართული სამბისტთა მსოფლიო ჩემპიონატი.

ტურნირში მსოფლიოს 26 ქვეყნის წარმომადგენლებთან საპაექროდ საქართველოდან 10 სამბისტი გაემგზავრა. ქართველმა სპორტსმენებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს და საბოლოო ჯამში 12 მედალი მოიპოვეს.

მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ მიხეილ აბაშიძე (56 და 60 კგ) — ჭაბუკთა და ახალგაზრდობას შორის, მევლუდ მელაძე (52 კგ) — ახალგაზრდებს შორის, მამუკა კურდღელაშვილი (62 კგ) — ახალგაზრდებს შორის; არჩილ ჩოხელი (68) — ახალგაზრდებს შორის, ნიკოლოზ გაგნიაშვილი (74) — ახალგაზრდებს შორის, ვეფხია ავალიანი (100) — ახალგაზრდებს შორის, ვალერი პარუნაშვილი (მძიმე წონა) — დიდებში; დიდებში ვერცხლის მედალი — (52 კგ) — მოიპოვა მევლუდ მელაძემ, ბრინჯაოს მედლები — ივანე გამხიტაშვილმა (97 კგ); მურთაზ თურქიამ — 62) დიდებში, გია ნაცვლიშვილმა (68) — დიდებში.

ვულოცავთ ახალგაზრდა მოჭიდავეებს საპატიო ტიტულების მოპოვებას. აქვე გაგაცნობთ საქართველოს ნაკრების მწვრთნელებსაც. ესენი არიან — ანზორ ზურაბაული (უფროსი მწვრთნელი), ოლეგ იაძე, სპარტაკ ჯინორიძე, აბესალომ წიკლაური და ნუგზარ ხუციშვილი (მწვრთნელები).

**საკუთარი ინფორმაცია**

# ახალი შევსება

ქართველ მოჭადრაკე დიდოსტატთა რიგებს კიდევ ერთი დიდოსტატი მიემატა. ეს გახლავთ ახალგაზრდა ნიჭიერი მოჭადრაკე ზურაბ სტურუა, რომელსაც საერთაშორისო დიდოსტატის წოდება ფიდეს ამასწინანდელ კონგრესზე მიენიჭა.



ზურაბ სტურუას კარგად იცნობენ საჭადრაკო სამყაროში. ბოლო წლებში მას საკმაოდ სტაბილური შედეგები ჰქონდა. მოიგო არაერთი საერთაშორისო ტურნირი. ასე რომ, მისი სახით ქართველ მოჭადრაკე ვაჟთა სკოლამ ღირსეული წევრი მიიღო.

სასიხარულოა ისიც, რომ ამავე კონგრესზე საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭა მეორე ქართველ მოჭადრაკეს აკაკი იაშვილს.

ვულოცავთ მათ ამ წარმატებას.

**საკუთარი ინფორმაცია**

**სურათზე: დიდოსტატი ზურაბ სტურუა.**

## რეკლამა


### კავკასიის ბირჟა

დღეს, როცა თითქმის აღარ ფუნქციონირებს სახელმწიფო მომარაგება და განაწილება, სულ უფრო მეტ რეალურ ძალას იძენენ „კავკასიის ბირჟის“ ბროკერები, მათ დიდი შესაძლებლობანი გააჩნიათ.

**საბირჟო ვაჭრობათა ჩემპიონები**

| გაყიდვა | ყიდვა |
| --- | --- |
| აგვისტო — ფირმა „ოდა“ | ფირმა „ლითონი—1“ |
| სექტემბერი — „000“ | „რიონი“ |
| ოქტომბერი — „სოლ-მი“ | „ლითონი—1“ |

ეს ბროკერები პროფესიონალები არიან. მათ მიაღწიეს საქონლის მოძრაობას მაქსიმალური თანხის ფარგლებში.

**ყურადღება!**

ყოველ სამშაბათსა და ხუთშაბათს „კავკასიის ბირჟაზე“ რეგულარულად ტარდება ვაჭრობები.

**ისარგებლეთ ჩვენი ბროკერების ინფორმაციებითა და კავშირებით!**

**თქვენ გემსახურებიან „კავკასიის ბირჟის“ საუკეთესო საბროკერო ფირმები.**

სს "კავკასიის ბირჟის" საბროკერო ფირმების ნუსხა

| | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- |
| 000/1 | " 000" | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 39-23-53 |
| 001/1 | "კვაზრო" | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 41-03-49 |
| 003/1 | "ფიგარო" | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 95-72-01 |
| 007/1 | "მიმინო" | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 31-41-98 |
| 010/1 | "არენდატორი" | -თბილისი | ნინოშვილის 123 | ტ. 96-36-41 |
| 011/1 | "გოლდენ" | -თბილისი | გერგეთის ჩას. 8 | ტ. 98-20-11 |
| 022/1 | "თეზამი" | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 34-44-85 |
| 026/1 | "ექსპ.-ბროკი" | -თბილისი | ლერმონტოვის 19 | ტ. 99-73-70 |
| 028/1 | "ვეძა" | -თბილისი | საკაძის 31 | ტ. 66-62-15 |
| 041/1 | "ძერა" | -თბილისი | რობაქიძის გამ. 6 კორ. 16 | ტ. 51-81-93 |
| 042/1 | "ერგონი" | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 66-41-72 |
| 047/1 | "კოტი" | -ზუგდიდი | სამეგრელოს ქ. 11 | ტ. 2-44-86 |
| 056/1 | "მთაწმინდა" | -თბილისი | რუსთაველის 2/4 | ტ. 93-13-56 |
| 071/1 | "ლითონი-1" | -თბილისი | ქიზიყის 12 | ტ. 71-63-15 |
| 097/1 | "გიო" | -თბილისი | ჯიქიას 5 | ტ. 31-04-11 |
| 128/1 | "ფანტომი" | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 29-93-34 |
| 138/1 | "უნივერსამი" | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 66-10-67 |
| 140/1 | "ზუდა" | -გურჯაანი | სოფ. მუკუზანი 2 | ტ. 38-32-25 |
| 175/1 | "ლაილა" | -თბილისი | ჭიაურელის 9 | ტ. 51-52-84 |
| 180/1 | "მაგი" | -თბილისი | ბაღდადის 9 | ტ. 74-18-01 |
| 183/1 | "ნაბული" | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 35-37-27 |
| 189/1 | "სვავი" | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 98-20-11 |
| 208/1 | "რატიმჟირო" | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 39-65-19 |
| 218/1 | "ტერმინალი" | -თბილისი | ვერეს დაღმ. 12 | ტ. 99-63-41 |
| 227/1 | "მისანი" | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 38-68-00 |
| 007/2 | "ტრანსევრაზია | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 38-48-68 |
| 017/2 | "ელიზ" | -თბილისი | თამარაშვილის მეს. 19 | ტ. 29-26-61 |
| 018/2 | "ჰერმესი" | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 23-19-59 |
| 025/2 | "ბროკდილ" | -თბილისი | თევდორე მღვდლის 36 | ტ. 34-05-60 |
| 050/2 | "ბასა" | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 39-55-72 |
| 051/2 | "დაგიმპექსი" | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 51-18-85 |
| 052/2 | "მიკრიკი" | -თბილისი | ერწოს 4 ბ. 135 | ტ. 61-59-46 |
| 057/2 | მს | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 51-02-07 |
| 061/2 | "სულიკო" | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 96-56-04 |
| 063/2 | "ელვა" | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 67-64-49 |
| 065/2 | "მერანი" | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 36-75-67 |
| 074/2 | "ს ს" | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 99-92-94 |
| 085/2 | "ფრესკა" | -თბილისი | ნუცუბიძის 93 | ტ. 31-30-45 |
| 089/2 | "ლარი" | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 23-52-39 |
| 094/2 | "ზანა" | -თბილისი | ქეთევან წამებულის 2 | ტ. 74-24-87 |
| 104/2 | "დიდგორი" | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 99-78-21 |
| 119/2 | "იმედი" | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 72-44-17 |
| 137/2 | "მეტა" | -თბილისი | კოსტავას 15 | ტ. 93-53-88 |
| 142/2 | "ავირგო-91" | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 38-91-98 |
| 155/2 | "სელუვა" | -თბილისი | გალაკტიონის 18 | ტ. 36-63-74 |
| 159/2 | "ჩელა" | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 38-46-75 |
| 201/2 | "აისი" | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 51-55-05 |
| 213/2 | მს | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 67-76-23 |
| 230/2 | "გიორგი" | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 31-86-50 |
| 236/2 | "სოლ-მი" | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 22-04-86 |
| 239/2 | "სკლამური" | -თბილისი | ვაჟა-ფშაველას 72 | ტ. 61-08-92 |

სააქციონერო საზოგადოება „კავკასიის ბირჟა“.

სარეკლამო სააგენტო „მი-მი-ნო“





თუ გსურთ
იცინოთ
კიდევ და
კიდევ —
უნდა იკითხოთ გაზეთი
„კიდე“
მომავალ კვირას!

კიდე



### კავკასიის ბანკი

**გადაცვალეთ სნეული ფული ჯანსაღ აქციებზე!**

„კავკასიის ბანკში“ დაბანდებული ფული თავისუფლად კონვერტირებადია და მუდმივად მოძრაობს, მუშაობს და გამოიმუშავებს.

აქციის ნომინალური ღირებულებაა 1000 მან.
ამასთან იყიდება აქციების პაკეტები ღირებულებით 10.000 და 100.000 მან.

1992 წლის პირველ იანვრამდე „კავკასიის ბანკის“ აქციები იყიდება ნომინალის მიხედვით.

**ხელმოწერა აქციებზე გრძელდება!**

მისამართი: ვაჟა-ფშაველას, 72.
ტელ: 88-46-78, 10-დან 14 საათამდე.

სააქციონერო-კომერციული ბანკი „კავკასიის ბანკი“.
სარეკლამო სააგენტო „მი-მი-ნო“.



### კავკასიის ბირჟა

**17,5 მილიონი მანეთი ნოემბრის ვაჭრობების ერთ-ერთი რეკორდია**

„კავკასიის ბირჟის“ საბროკერო ფირმების აქტიური საქმიანობა რეალურ პირობებს უქმნის საქართველოში ბაზრის განვითარებას. შორს აღარ არის დრო, როცა საქონლისა და ნედლეულის მთელი ნაკადი ბირჟის მეშვეობით იმოძრავებს.

**ნოემბრის თვის ჩემპიონი საბროკერო ფირმები:**

| გაყიდვა | ყიდვა |
| --- | --- |
| 000/1—„000“ | 000/1—„000“ |
| 000/2—„ენიგმა“ | 071/1—„ლითონი-1“ |
| 231/2—„ბარნასი“ | 028/1 „ვეძა“ |
| | 026/1 „ექსპრეს-ბროკი“ |

ბროკერებო! ხაქმე ხარფიანად ყიდვა-გაყიდვაა!

**ბატონო აქციონერებო და ბროკერებო! „კავკასიის ბირჟა“ აწყობს საქველმოქმედო საუზმეთ აქციას საქართველოს ბავშვთა სახლების აღსაზრდელთათვის.**

გთხოვთ, ფულადი შემოწირულობანი გადარიცხოთ „კავკასიის ბირჟაზე“ სპეციალურად გახსნილ ფონდში „გულმოწყალება“, კოდი 700000, ანგარიშსწორების ანგარიში № 000161828, სააქციონერო კომერციული ბანკი „კავკასიის ბანკი“, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველოში, კოდი 521006, მისამართი ვაჟა-ფშაველას, 72, ტელ. 30-23-07.

მადლობა ჰქენი, ქვას დადევი...

სააქციონერო საზოგადოება „კავკასიის ბირჟა“
სარეკლამო სააგენტო „მი-მი-ნო“


## რეკლამა

# აღორძინება არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინება" და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო".

## ყველას, ვისაც იზიდავს აღმოსავლური ორთაბრძოლები




იწვევს კლუბი „ჯიქი-89"

კლუბში მუშაობენ კვალიფიციური და გამოცდილი მწვრთნელები. ჰყავთ თბილისის და საქართველოს ჩემპიონები, პრიზიორები. კლუბი მიიღებს მონაწილეობას საქართველოსა და საზღვარგარეთ ჩატარებულ ნებისმიერ ჩემპიონატში. კლუბს ურთიერთობა აქვს ამერიკის, იაპონიის და ჩინეთის ქვეყნებთან.

კლუბის პრეზიდენტია გოჩა ჯავახია.

კლუბს სექციები გააჩნია სხვადასხვა უბნებში: საბურთალოს, მთაწმინდის, ნაძალადევის, ორთაჭალის.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოგვაკითხონ. მინისტრთა საბჭოს შენობაში არსებულ დარბაზში. სულხან-საბას ქუჩა №9 (უნივერმაღი „თბილისის" უკან) საღამოს 17 საათიდან 22 საათამდე (სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს).

ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონებზე:
31-02-79, 23-41-55 17 საათიდან 22 საათამდე.

## «ქარვასლა კი+» WSST, Inc

### ამერიკული ტექნოლოგიური ხაზები მანეთებზე

1. ხორცის გადამამუშავებელი, მცირე და საშუალო წარმადობის ხაზები. წარმადობა 200-1500 კგ. ცვლაში. ფასი 1075-4785 ათასი მან.

2. პურფუნთუშეულის და საკონდიტრო ნაწარმის დამამზადებელი ხაზები, წარმადობა 500—700 კგ ცვლაში, ფასი 2000-4500 ათასი მან.

3. ხრაშუნა კარტოფილის (ჩიპსის) წარმოების ხაზი 250-300 კგ. ცვლაში. 918 ათასი მან.

4. ნაყინის წარმოების ავტომატური ხაზები. წარმადობა 34—1300 ლ. ცვლაში, ფასი 830-10510 ათასი მან.

5. სხვადასხვა ტიპის სამაცივრო დანადგარები, მოცულობა 480-13500 ლ. ფასი 175-1060 ათასი მან.

6. მაღალპროფესიული საგამომცემლო კომპლექსი (ლოკალური ქსელის ბაზაზე 5-8 სამუშაო ადგილით). ფასი 900-1125 ათასი მან.

შენიშვნები:

ა) შეგიძლიათ შეიძინოთ ხაზებში შემავალი ცალკეული დანადგარები,

ბ) აღნიშნული ფასები იცვლება სავალუტო ბირჟის მიმდინარე კურსის მიხედვით.

გ) დანადგარის ღირებულებაში შედის მიწოდების, მონტაჟისა და მომსახურე პერსონალის სწავლება-მომზადების ღირებულება.

დ) მიწოდების ვადაა მთლიანი თანხის მიღებიდან 4 თვე. ამ პერიოდში მანეთის სავალუტო კურსის დაცემის შემთხვევაში თანხის დამატება არ იქნება საჭირო.

ე) გარანტია — 1 წელი

ვ) ჩვენ შეგვიძლია აღმოგიჩინოთ დახმარება სხვა საზღვარგარეთული ხაზების როგორც ვალუტაზე, ისე მანეთებზე შეძენაშიც.

ტელ. 51—75-09 (18—22 სთ).

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი"

## მსურს ვიყიდო

ოთახნახევრიანი ბინა ტელეფონით, ქალაქის შემდეგ რაიონებში: საბურთალო, დიდუბე.

დარეკეთ 51—25—76 (ყოველდღე).

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი"

**ფირმა იქირავებს**

მძღოლს საკუთარი, კარგად გამართული ავტომობილით.

ანაზღაურება ურთიერთშეთანხმებით.

დარეკეთ: 37-58-25, ან მოგვაკითხეთ: ბუდაპეშტის ქ. №1.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი"

**მსუბუქი ავტომობილის მართვის მოწმობის მისაღებად ვაცხადებთ მიღებას.**

თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობა მოეწყობა როგორც დილის, ასევე საღამოს საათებში. მეცადინეობის ხანგრძლივობა 1,5 თვეა. კურსებს ხელმძღვანელობენ მაღალკვალიფიციური პედაგოგები და მძღოლი-ინსტრუქტორები. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ (ფსიხო), 2 ფოტოსურათი და პასპორტი.

მისამართი: ახალქალაქის ქ. №2, 32-ე პროფ. სასწავლებლის შენობაში, მეტრო სადგური „ნაძალადევის" უკან $14^{00}$-დან $19^{00}$ საათამდე. ტელეფონი: 66-14-90 ყოველდღე, გარდა კვირისა. იჩქარეთ დარჩა რამოდენიმე ადგილი.

## ორგანიზაციებისა და პირების საყურადღებოდ!

დამთავრდა ქ.თბილისში მეაბრეშუმეობის უნიკალური მუზეუმის რესტავრაცია და რეექსპოზიციის სამუშაოები. მუზეუმი მზადაა მიიღოს ამ ეროვნული დარგით დაინტერესებული ორგანიზაციების კოლექტივები, წარმომადგენლები, ცალკეული პირები, სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობა, რომლებსაც მეგზურობას გაუწევენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. ისინი აქ მოისმენენ აბრეშუმის პარკის მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიის შესახებ საუბრებს, მიიღებენ რეკომენდაციებს და რჩევა დარიგებებს. სურვილის შემთხვევაში მათ ადგილებზე აღმოუჩენენ ყოველმხრივ დახმარებას, რათა პრაქტიკულად დაეუფლონ აბრეშუმხვევიას კვებისა და მოვლის „საიდუმლოებას".

ჩვენი მისამართია: ქ.თბილისი, გ.ცაბაძის ქუჩა №6.

საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს მეაბრეშუმეობის საწარმოო რესპუბლიკური გაერთიანება.

**ვცვლი 2 ოთახიან კეთილმოწყობილ ბინას 3 ოთახიან ბინაზე ქალაქის ნებისმიერ, ცენტრალურ ადგილებში. ტელეფონი: 74-23-77**

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი"



### სამშენებლო ორგანიზაციების საყურადღებოდ!

მცირე საწარმო „კონსტრუქტორი" გთავაზობთ ბლოკების დამამზადებელ ვიბროდანადგარს.

წარმადობა—300 ცალამდე საათში. ბლოკის (390X200X175) დასამზადებლად აღნიშნულ დანადგარში შეიძლება გამოყენებულ იქნას წიდის, პემზის, ღორღის ან სხვა ცემენტოვანი ნარევი.

ტელ.: თბილისი 51-75-09 (18.00-21.00 სთ.)

სოხუმი 4-27-92 (ეშბას ქ.№128).

## შევიძენ

შავი ფერის „რეიბანებს" (სათვალეს), თუნდაც ნახმარს, ტელ.: 93-20-76, 51-45-12 $10^{00}$-დან $22^{00}$ საათამდე.

## მოქალაქეთა საყურადღებოდ!

ფირმა „ჰუმანიზმი" კომერციული საქმიანობისათვის იქირავებს პირველი სართულის, სარდაფის ან ნახევრად სარდაფის ერთ ოთახს.

გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ტელეფონით: 93-20-76, 51-45-12 — $10^{00}$ საათიდან $22^{00}$ საათამდე. ფირმასთან თანამშრომლობით კმაყოფილი დარჩებით...

## მანდილოსანთა საყურადღებოდ!

სამედიცინო კოოპერატივი „დასტაქარი" გთავაზობთ ორსულობის დადგენას საწყის ეტაპზე.

მხოლოდ ჩვენთან, კოოპერატივ „დასტაქარში", შარდის ჩაბარებიდან 4 საათში შეგიძლიათ მიიღოთ უტყუარი პასუხი. დიაგნოსტიკა ხორციელდება იმუნოფერმენტული ანალიზით, საერთაშორისო კლასის პრეპარატების გამოყენებით. მეთოდის მაღალი მგრძნობელობა და სპეციფიურობა საშუალებას იძლევა ფეხმძიმობა დადგინდეს იმ ეტაპზე, როცა სხვა ტესტებით მისი დადგენა შეუძლებელია.

გარდა ამისა, ლაბორატორია გთავაზობთ ტოქსოპლაზმობის, ციტომეგალოვირუსული ინფექციის, ქლამიდიოზის, გენიტალური გერპესის, წითურას და სხვათა დიაგნოსტიკას. აღნიშნულ ინფექციათა გამომწვევები, გადადიან რა დედიდან მუცლადმყოფ ნაყოფზე, ხშირად იწვევენ თავისთავად აბორტებს, უშვილობას, ან ახალშობილთა განვითარების სხვადასხვა მანკს. დასვენების დღე კვირა.

ჩვენი მისამართია: ვაჟა-ფშაველას 27. რესპუბლიკური საავადმყოფოს ბალნეოლოგიური განყოფილება. 10-დან 19სთ-მდე, შაბათს 12სთ-მდე.



ხალხური მედიცინის ასოციაციის ბაზაზე შეიქმნა სამკურნალო ფირმა

## შროშანი

ესაა ახალი ტიპის სამკურნალო დაწესებულება, სადაც კვალიფიცირებული ექიმები მკურნალობენ მხოლოდ მცენარეული საშუალებებით. ფირმა „შროშანი"-ს დევიზია: კლასიკური მედიცინა პლიუს ფიტოთერაპიის თანამედროვე გამოცდილება, დამყარებული ძველ ხალხურ, ტრადიციულ მკურნალობაზე.

ფიტოთერაპიული საშუალებით თქვენ შეგიძლიათ იმკურნალოთ: შინაგანი ორგანოების ქრონიკული დაავადებები (ანთება, წყლული), მაღალი წნევა, ნევროზი, შარდგამომყოფი გზებისა და ღრძილების ანთება, აქვე სპეციალური ხსნარით გიმკურნალებენ ჭარბთმიანობას, ეს ეფექტური საშუალება რამოდენიმე სეანსის შემდეგ მთლიანად აქრობს თმის საფარს კანზე. შეგიძლიათ მობრძანდეთ: გურამიშვილის პროსპექტი №50, მეტრო „ღრმაღელეს" ამოსასვლელის მოპირდაპირე მხარეს მდებარე კორპუსი, I სადარბაზო, III სართული. მიღება წარმოებს: ყოველდღე კვირის გარდა, ხუთშაბათს და შაბათს დილის 10სთ-დან 18სთ-მდე, დანარჩენ დღეებში 13სთ-დან 18სთ-მდე. ტელეფონი: 61-64-18.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი"

**ვიზებისა და დოკუმენტების სათარგმნელად მიმართეთ ფირმა „სერვის ბიუროს" შეკვეთების შესრულება ხდება ერთ დღეში. ჩვენთან მხოლოდ კვალიფიციურ სპეციალისტები თანამშრომლობენ. მისამართი: ლერმონტოვის ქ. № 19 (თავისუფლების მოედანთან).**

ვცვლით საკარმიდამო ადგილს (დაწყებული მშენებლობით) მანგლისიდან თბილისში ერთ ოთახიან ბინაზე.

მანგლისი, რუსთაველის ქ. №18. მერაბი.

ახალგაზრდა ივერიელი

ტელეფონები: მისაღები — 98-97-31;
პასუხისმგებელი მდივანი — 98-31-56;
წერილების განყოფილება — 98-00-49.

ფასი 30 კაპ.

რედაქტორი
ზაზა ხოზზერიძე

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.
НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.